სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

ს�ი საუნჯე

2

ივნისი, 2015

SUMMARY
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე

№ 2(16), 2015



თბილისი
ივნისი, 2015

უაკ: 070 (479.22)
ს-21

სარედაქციო საბჭო

გიორგი გოგოლაშვილი, ბორის დარჩია, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“.**

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2015.

სარჩევი

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავი

ალექსანდრე აბაშელი, 9 მაისი 4

იოსებ სტალინი, ბრძანება (გამარჯვების თაობაზე) 5

იოსებ სტალინი, მიმართვები ხალხისადმი დიდი სამამულო ომის დაწყებისა და დამთავრებისა დროს 6

ზურაბ ცუცქირიძე, დიდი სახალხო ომი 15

ქართლის ცხოვრება

გვანცა კოპლატაძე, შინაური მტრები თუ ეროვნული მოღვაწეები 24

ანზორ თოთაძე, ძალადობა ქალზე?! 40

ბორის დარჩია, ლორეს სომხეთისათვის გადაცემის საკითხი 65

მამუკა ცუხიშვილი, კონსტანტინე ლესელიძე – XX საუკუნის დიდი მხედართმთავარი 74

ხელოვნება. ლიტერატურა

ნათელა არველაძე, იუპიტერ, შენ ცხარობ, მაშასადამე, მართალი არა ხარ! 90

ბორის დარჩია, ბრძოლები იოსებ სტალინის ლექსების წინააღმდეგ 98

პოლიტიკა

თინა ოველაშვილი, ცოტა რამ 1915-1918 წლების „სომხების გენოციდის“ ისტორიიდან 117

თეოლოგია

გრიგოლ რუხაძე, გამოცხადება ახალშესვენებულთა მოსახსენიებელ დღეთათვის 127

ჩვენი ავტორები 133

РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 136

SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 140

ალექსანდრე აბაშელი

9 მაისი

თითქოს ზეციდან უეცარი რეკა მომესმა,
ცისფერ განთიადს თან ჩამოჰყვა ხმა საამური:
დაიჩოქაო ჩვენ წინ მტერმა უბოროტესმა! —
დღესასწაულობს გამარჯვებას ჩვენი მამული.

სხივი მოვარდა, ცხრა მაისის დანაკვესარი,
და თითქო ცხრა მზე შემოვიდა ჩვენს ცაში ერთად.
ჩემო კალამო! გიხაროდეს, ხომ მოვესწარით,
ხომ დავინახეთ სანატრელი შემუსვრა მტერთა?

ჩვენი სამშობლო დღეს ალისფრად მოიფარჩება,
მზე დაფნის გვირგვინს გაანათებს კრემლის კარებთან.
ჩვენი დიდების საუკუნო გრგვინვად დარჩება
ომის გრიგალი, ჩვენს მიწაზე რომ მძვინვარებდა.

ჩვენმა გმირებმა გაარღვიეს ეს ქარტეხილი
და ბედისწერის ჩარხი წაღმა დაატრიალეს.
გდია ბერლინი, ურჩხულივით თავგაჩეხილი
და მაღლა ჩვენი გამარჯვების დროშა ფრიალებს.

დიდება იმათ, ვინც დაეცნენ სამშობლოსათვის,
ვისაც თვალებში სამუდამოდ ჩაუდგა ნისლი!
დე, იმათ სახელს სიყვარულის ალი ჰმოსავდეს, —
ეს გამარჯვება დავიმკვიდრეთ იმათი სისხლით.

დიდება ჩვენს ჯარს, ძლევამოსილს, ჩვენს ბურჯს და იმედს!
საუკუნენი იმის დროშას თან გაჰყვებიან.
დიდება ჩვენს ხალხს, ვინც გაუძლო განსაცდელს მძიმეს
ვინც მტერს მოსეულს ბევრჯერ მკერდით დასჯახებია.

დიდება ბელადს, ვინც ჩვენ გული გაგვიფოლადა,
ვინც ვაჟკაცს ქუდი უსახელა და ქალს მანდილი,
ვინც პირველ დღესვე გაგვინათა გმირულ ბრძოლათა
დიდი მიზანი და ოთხი წლის შორი მანძილი;

ვინც მტრის მუქარას ბრძნული სიტყვის ელვა ესროლა,
როცა ჩვენს ცაზე ღამის ჩრდილმა გადაირბინა,
ვინც წინ გაუძღვა ქვეყანას და ხალხთა ეს ბრძოლა
უბრწყინვალესი გამარჯვებით დააგვირგვინა!

9 მაისი, 1945 წ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა, გერმანია საკვლებით განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, მოგილოცავთ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 9 მაისი. №369.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი

1941 წლის 3 ივლისი

ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რაც 22 ივნისს დაიწყო, — გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერის ჯარმა მოახერხა ხელში ჩაეგდო ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავაიცია აფართოებს თავის ყუმბარმშენთა მოქმედების რაიონებს, ყუმბარას უშენს მურმანსკს, ორშას, მოგილევს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.

როგორ მოხდა, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ფაშისტურ ჯარს დაანება მთელი რიგი ჩვენი ქალაქები და რაიონები? ნუთუ გერმანელ ფაშისტთა ჯარი მართლაც უძლეველი ჯარია, როგორც ამას განუწყვეტლივ გაჰკივიან ფაშისტი მკვეხარა პროპაგანდისტები?

რასაკვირველია, არა! ისტორია გვიჩვენებს, რომ უძლეველი არმიები არ არიან და არც ყოფილან. ნაპოლეონის არმიას უძლეველად სთვლიდნენ, მაგრამ იგი დაამარცხა ხან რუსეთის, ხან ინგლისის, ხან გერმანიის ჯარმა. პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ვილჰელმის გერმანიის არმიასაც უძლეველ არმიად სთვლიდნენ, მაგრამ მან რამდენჯერმე განიცადა მარცხი რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან და, ბოლოს, დამარცხებულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ. იგივე უნდა ითქვას ჰიტლერის ახლანდელ გერმანულ-ფაშისტურ არმიაზე. ამ არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე წააწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგობას. თუ ამ წინააღმდეგობის შედეგად გერმანულ-ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი

არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი მაინც ხელთ იგდო გერმანულ-ფაშისტურმა ჯარმა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფაშისტური გერმანიის ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანული ჯარისათვის ხელსაყრელ პირობებში და საბჭოთა ჯარისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. საქმე ის არის, რომ გერმანიის ჯარი, როგორც ისეთი ქვეყნის ჯარი, რომელიც ომს აწარმოებს, უკვე სავსებით მობილიზებული იყო და გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოყვანილი და სსრ კავშირის საზღვრებთან წამოწეული 170 დივიზია სავსებით მომზადებული იყო და მხოლოდ სიგნალს ელოდა გამოსვლისათვის, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარი ჯერ კიდევ უნდა მობილიზებულიყო და საზღვრებისაკენ წაწეულიყო. აქ ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ფაშისტურმა გერმანიამ მოულოდნელად და მუხანათურად დაარღვია 1939 წელს გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ მას მთელი მსოფლიო თავდამსხმელ მხარედ ჩასთვლიდა. გასაგებია, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას, რომელსაც არ სურდა პაქტის დარღვევის ინიციატივა ეკისრნა, არ შეეძლო ვერაგობის გზას დასდგომოდა.

შეიძლება იკითხონ: როგორ მოხდა, რომ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა, დაედო თავდაუსხმელობის პაქტი ისეთ ვერაგ ადამიანებთან და მტარვალებთან, როგორიც არიან ჰიტლერი და რიბენტროპი? შეცდომა ხომ არ დაუშვია აქ საბჭოთა მთავრობას? რა თქმა უნდა, არა! თავდაუსხმელობის პაქტი არის ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობის შესახებ დადებული პაქტი. სწორედ ასეთი პაქტი შემოგვთავაზა ჩვენ გერმანიამ 1939 წელს. შეეძლო თუ არა საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვა ასეთ წინადადებაზე? ვფიქრობ, რომ არცერთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს არ შეუძლია უარი თქვას მეზობელ სახელმწიფოსთან სამშვიდობო შეთანხმებაზე, თუნდაც ამ სახელმწიფოს სათავეში ედგნენ ისეთი მტარვალები და კაციჭამიები, როგორიც ჰიტლერი და რიბენტროპი არიან. და ეს, რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი პირობით — თუ სამშვიდობო შეთანხმება არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ ლახავს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას. როგორც ცნობილია, გერმანიასა და სსრ კავშირს შო-

რის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი სწორედ ასეთ პაქტს წარმოადგენს. რა მოვიგეთ ჩვენ იმით, რომ თავდაუსხმებლობის პაქტი დავდევით გერმანიასთან? ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა წლინახევრის განმავლობაში და შესაძლებლობა ჩვენი ძალების მომზადებისა მტრის უკუსაგდებად, თუ ფაშისტური გერმანია, პაქტის მიუხედავად, გაბედავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას. ეს გარკვეული მოგებაა ჩვენთვის და წაგება ფაშისტური გერმანიისათვის.

რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ ვერაგულად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში.

აი რატომ არის, რომ მთელი ჩვენი მამაცი არმია, მთელი ჩვენი მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ყველა ჩვენი მფრინავი-შევარდენი, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ევროპის, ამერიკისა და აზიის ყველა საუკეთესო ადამიანი, ბოლოს, გერმანიის ყველა საუკეთესო ადამიანი — ჰგმობენ გერმანიის ფაშისტების ვერაგულ მოქმედებას და თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა მთავრობას, იწონებენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას და ხედავენ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, რომ მტერი დამარცხებულ იქნება, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ცბიერ მტერთან — გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თვითეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ბრძოლაში ებმებიან წითელი არმიის მთავარი ძალები, რომელნიც ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით არიან შეიარაღებულნი. წითელი არმიის მეომართა მამაცობა უმაგალითოა.

მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობა მტკიცდება და ძლიერდება. წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვსპოთ საშიშროება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ შევმუსროთ მტერი?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუაგდონ უდარდელობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასაგები ომამდელ დროში, მაგრამ დამღუპველი ამჟამად, როდესაც ომმა ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გარდაჰქმნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა.

შემდეგ, საჭიროა, რათა ჩვენს რიგებში არ მოიპოვებოდნენ მოწუწუნენი და ლაჩრები, პანიკიორები და დეზერტირები, რათა ჩვენი ადამიანები უშიშარნი იყვნენ ბრძოლაში და თავგანწირულად მიდიოდნენ ჩვენს სამამულო, განმათავისუფლებელ ომში ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შეჰქმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების

წინააღმდეგ. საჭიროა, რათა ბოლშევიკების ეს ჩინებული თვისება ახასიათებდეს წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონებსა და მილიონებს.

ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. საბჭოთა კავშირის ხალხები ახლა ხედავენ, რომ გერმანიის ფაშიზმი დაუცხრომელ ცოფმორეულ გაბოროტებასა და სიძულვილს იჩენს ჩვენი სამშობლოსადმი, რომელმაც ყველა მშრომელისათვის უზრუნველჰყო თავისუფალი შრომა და კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის ხალხები უნდა აღდგნენ თავიანთი უფლებების, თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა იჩენდნენ ჩვენი ხალხის დამახასიათებელ გამბედაობას, ინიციატივასა და გამჭრიახობას.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ყოველმხრივი დახმარება წითელი არმიისადმი, უზრუნველვყოთ მისი რიგების გაძლიერებუოი შევსება, უზრუნველვყოთ მისი მომარაგება ყველაფრით, რაც საჭიროა, მოვაწყოთ ჯარების და სამხედრო ტვირთების ტრანსპორტთა სწრაფად გადაყვანა, დაჭრილთათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი და ამ საქმის ინტერესებს დავუმორჩილოთ მთელი ჩვენი მუშაობა, უნდა უზრუნველვყოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, მეტი შაშხანის, ტყვიამფრქვევის, ქვემეხის, ვაზნის, ჭურვის, თვითმფრინავის წარმოება, უნდა მოვაწყოთ ქარხნების, ელექტროსადგურების, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის დაცვა, უნდა მოვაგროვოთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან. უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგია, ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა დაუყოვნებლივ

მივცეთ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში, განურჩევლად იმისა ვინაა, ყველა, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს.

წითელი არმიის ნაწილების იძულებით გადმონაცვლების დროს უნდა წამოვიღოთ მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა და არ დავუტოვოთ მტერს არცერთი ორთქლმავალი, არცერთი ვაგონი, არ დავუტოვოთ მოწინააღმდეგეს არცერთი კილოგრამი პური, არცერთი ლიტრი საწვავი. კოლმეურნეებმა უნდა გამორეკონ მთელი საქონელი, პური დასაცავად უნდა ჩააბარონ სახელმწიფო ორგანოებს ზურგის რაიონებში გადმოსაზიდად. მთელი ძვირფასი ქონება, მათ შორის ფერადი ლითონები, პური და საწვავი, რომლის გადმოტანაც შეუძლებელი გახდება, უეჭველად უნდა მოისპოს.

მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა შევქმნათ ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები, უნდა შევქმნათ სადივერსიო ჯგუფები მტრის არმიის ნაწილებთან საბრძოლველად, ყველგან და ყოველ ადგილას პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და აღალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. დაპყრობილ რაიონებში უნდა შევქმნათ აუტანელი პირობები მტრისათვის და ყველა მისი დამქაშისათვის, უნდა ვდევნოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, უნდა ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება.

ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად ვერ ჩაითვლება. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ. ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ამ დიდ ომში ჩვენ ერთგულ მოკავშირეებად გვეყოლებიან ევროპისა და ამერიკის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი, რომელიც ჰიტლერელმა მმართველებმა დაიმონეს. ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების

წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დეკლარაცია, რომ იგი მზად არის დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას, — რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა გულში მხოლოდ მადლობის გრძნობა შეუძლია გამოიწვიოს, — საკვებით გასაგები და საგულისხმოა.

ამხანაგებო! ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდის მრავალი ათასობით მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენცია. აღდგებიან ჩვენი ხალხის მილიონიანი მასები. მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები უკვე შეუდგნენ მრავალათასიანი სახალხო ლაშქრის შექმნას წითელი არმიის დასახმარებლად. ყოველ ქალაქში, რომელსაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ჩვენ უნდა შევქმნათ ასეთი სახალხო ლაშქარი, საბრძოლველად გამოვიყვანოთ ყველა მშრომელი, რათა ჩვენი მკერდით დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სამშობლო — ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმთან.

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა თავის მუშაობას და მოუწოდებს მთელ ხალხს, დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება.

მთელი ჩვენი ძალები — ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად.

ხალხის მთელი ძალები — მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

ჟ. ბოლშევიკი, №5-6, 1941.



ამხანაგი ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შვიდ მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შეძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ შეძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!

9 მაისი 1945 წლისა.



ზურაბ ცუცქირიძე

დიდი სახალხო ომი

ომების მეტი რა უნახავს კაცობრიობას: იყო ხანმოკლე და ხანგრძლივი, რაინდული და დაუნდობელი, სამართლიანი და უსამართლო, სეპარატისტული და სამოქალაქო ომები თავიანთი გმირებითა და ანტიგმირებით, მაგრამ ისეთი მასშტაბის დამანგრეველი და სისასტიკით გამორჩეული, როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო, ისტორიას არ ახსოვს. საომარ მოქმედებებში, პირდაპირ თუ ირიბად ჩათრეული აღმოჩნდა ევროპის ყველა ქვეყანა, აზიისა და ამერიკის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

უმიზეზოდ არაფერი ხდება ამ ცისქვეშეთში და, ცხადია, არც ომები. ომის დაწყების საბაბი შეიძლება ერთობ არასერიოზულიც იყოს (მაგალითად, ფეხბურთის მატჩის შედეგის გამო ორმა ლათინურამერიკულმა ქვეყანამ ომი რომ გამოუცხადა ერთმანეთს!), მაგრამ მის უკან სერიოზული მიზეზები იმალება. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის შემთხვევაშიც. ფაშისტური და მილიტარისტული რეჟიმების მოსვლას ევროპისა და აზიის ზოგ ქვეყანაში ერთობ სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებდა. საკმარისია რემარკის „სამი მეგობარი“ წაიკითხო და თვალნათლივ დაინახავ, რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიდუხჭირეშია ჩავარდნილი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია, რომელსაც გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებმა, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობაც ლამის აუკრძალეს. აი, ამ დროს გაიმარჯვეს არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტებმა და გერმანიის კანცლერის პოსტზე ჰიტლერი აღზევდა.

ჰიტლერი უჭკუო კაცი არ იყო. მეტიც! იგი უდავოდ იყო ეროვნული ლიდერის თვისებების მატარებელი და ამიტომაც ზუსტად აუღო ალღო იმ განწყობას, რაც იმდროინდელ გერმანელებში იყო დამ-

კვიდრებული. წარმატებებსაც სწრაფად მიაღწია, განსაკუთრებით პრუსიული მილიტარისტული მისწრაფებების საყოველთაო გერმანულ თვისებად გადაქცევაში.

ახლა გვიკვირს, ისეთი რაციონალური ეთნოფსიქიკის მქონე ერმა, როგორიც გერმანიაა, როგორ დაიჯერა საკუთარი რასობრივი უპირატესობა და თავისი ისტორიული მეზობლები როგორ მიიჩნია მეორეხარისხოვან ხალხებად. არადა დამშეულ და დაჩაგრულ ხალხს ადვილად მოახვევ თავს იმ იდეოლოგიას, რომელიც მას შიმშილისა და ჩაგვრისაგან გათავისუფლების იმედს მისცემს. სწორედ ასე იყო 30-იანი წლების დასაწყისის გერმანიაში.

ევროპის ლიდერი სახელმწიფოები, საფრანგეთი და ინგლისი, კარგად ხედავდნენ (არ შეიძლება, არ დაენახათ!), როგორ დგებოდა ფეხზე მათ მიერ „გალახული“ გერმანია და როგორ ძლიერდებოდა მასში რევანშისტული სულისკვეთება. ჰიტლერი ხომ არც მალავდა ამას! ამის მიუხედავად, ისინი ხელს კი არ უშლიდნენ მის მილიტიზირებულ კურსს, არამედ ყოველნაირად ახალისებდნენ მას, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ იგი აღმოსავლეთისაკენ მიმართავდა თავის ენერგიას, რადგან მისთვის „სასიცოცხლო სივრცე“ სწორედ იქით ეგულებოდათ. იქით კი...

აღმოსავლეთით სრულიად ახალი სამყარო იქმნებოდა საბჭოთა კავშირის სახით, რომლის მხოლოდ არსებობაც კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა „დასავლურ სამყაროს”. ეს „საფრთხე“ დაკავშირებული იყო არა იარაღთან და ჯართან, არამედ მრწამსთან. დასავლური ანუ კაპიტალისტური სამყარო ეფუძნება იმ რწმენას, რომ გამარჯვებული და წარმატებულია ის, ვინც კონკურენციული ბრძოლიდან წაუგებლად გამოვა; კონკურენტული დაპირისპირება განსაზღვრავს — ვინ და რა არის სიცოცხლისუნარიანი, და ვის და რას უწერია გადაშენება. ბუნების კანონიც ხომ ეს არის: სუსტი მარცხდება, ძლიერი იმარჯვებს, ვინმეს სურს თუ არა ეს! მეორე სამყარო კი ეფუძნებოდა პრინციპს: გამარჯვებული უნდა დარჩეს და განვითარდეს ის, რაც საზოგადოების ყველა წევრისათვის არის სასარგებლო, რადგან საზოგადოების ყველა წევრი თანასწორი და თანაბარუფლებიანია იმ ღირებულებების მიმართ, რასაც კაცობრიობა თავისი არსებობის საფუძვლად მიიჩნევს.

ეს უკანასკნელი ერთობ მიმზიდველი და მომხიბვლელია რიგითი ადამიანების, მშრომელთათვის. ამიტომ, მსგავსი იდეოლოგია საფრთხეს უქმნის იმ საზოგადოებას, რომლის სათავეში ქონებრი-

ვი თუ წოდებრივი პრივილეგიების მქონენი არიან თავმოყრილნი. სწორედ ამიტომ, დასავლური კაპიტალი ყოველმხრივ უწყობდა ხელს გერმანიის მილიტარიზმს და ცდილობდა მისი მახვილი საბჭოთა კავშირისკენ მიემართა.

მეორე მსოფლიო ომის წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ევროპაში, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ინგლისისა და საფრანგეთის ხელშეწყობით გაცოცხლებულ-გათამამებულმა გერმანიამ პრეტენზიები ჯერ მათ წაუყენა და კარგადაც წაუთაქა: ერთი მათგანი კიდეც დააჩოქა, მეორის დაჩოქებასაც აღარაფერი აკლდა. ისევ ქართული ანდაზით უნდა ავხსნა გერმანის ასეთი „უმადურობა“: ობოლო, ვის მოკლავო და ვინც გამზარდა იმასო. აი, ასე!

გერმანიამ ევროპა რომ ფეხქვეშ გაიგდო (ზოგი თავის ნებით დაუწვა, შიშით, რა თქმა უნდა!), ისე გადიდგულდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება გასეირნებად ჩათვალა და მაშინდელი გერმანელებიც დაარწმუნა „ბლიც-კრიგის“ უეჭველ წარმატებაში.

ისტორიკოსები ხშირად გამოხატავენ გაკვირვებას იმის გამო, თუ როგორ მოუვიდათ გერმანელ სტრატეგებს ისეთი „იაღლიში“, რომ დასავლეთში ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ინგლისი ჰყავდათ და აღმოსავლეთში უზარმაზარ ქვეყანას დაუწყეს ომი. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ეს „იაღლიში“ გასაკვირია, ფსიქოლოგიურად იგი ადვილად აიხსნება: ჯერ ერთი, ჰიტლერმა და მისმა გარემოცვამ მართლა ირწმუნეს, რომ გერმანული რასა მართლაც რჩეული რასაა და იგი უკონკურენტო იყო იმდროინდელ მსოფლიოში; მეორე ფაქტორი გერმანელთა თავდაჯერებულობისა ის იყო, რომ რაიხს მთელი ევროპის ინდუსტრიული პოტენციალი ეპყრა ხელთ. მას კონკურენციას ვერ გაუწევდა ტექნიკურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყოფილი რუსეთის იმპერია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაჩაღებული სამოქალაქო ომიდან, რომელსაც ანტანტის აგრესიაც ზედ ერთვოდა, სულ ორი ათეული წლის წინ გამოვიდა (გამარჯვებული, რა თქმა უნდა!) და ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჰიტლერისთვის ისიც, რომ საბჭოთა კავშირს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დახმარებისა და გვერდში დგომის იმედი არ უნდა ჰქონოდა, სრული იდეოლოგი-

ური შეუთავსებლობა-შეუგუებლობის გამო.

ისე, რომ გერმანელთა (ჰიტლერელთა!) „იაღლიშს“ მყარი ეკონომიკურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქოდნა.

ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს არ გაუწიეს ანგარიში გერმანელმა და, საერთოდ, დასავლელმა პოლიტიკოსებმა. როგორც ჩანს, მათ არასათანადოდ შეაფასეს პიროვნების როლი ისტორიაში. კერძოდ, მათ ბანალურ ამბად მიიჩნიეს ის, რომ მაშინდელ ტექნიკურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის სათავეში იდგა იოსებ სტალინი.

ჰიტლერული გერმანია, მართალია, მუხანათურად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, მაგრამ მხოლოდ სულელს შეუძლია იფიქროს, რომ ეს თავდასხმა სტალინისათვის მოულოდნელი იყო. სტალინმა კარგად იცოდა, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალი იყო და არც მუხანათურ ანუ „მოულოდნელ“ თავდასხმას გამორიცხავდა, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, მან ისიც კარგად იცოდა, რომ აბსოლუტურად მართალი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს თვალში, რადგან სიმართლეა სწორედ ის დიდი უპირატესობა, რაც, საბოლოოდ, იგებს ლოკალურ და გლობალურ ომებს. ამიტომ იყო, რომ მისმა რკინის ლოგიკამ და ნებისყოფამ იოტიოდენი შანსი არ მისცა არავის, პროვოკაციაზე წამოეგოთ საბჭოთა დიპლომატია თუ შეიარაღებული ძალები.

სტალინს სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და როგორც მასთან დაახლოებული ადამიანები აღნიშნავენ, იგი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო და კარგად იცოდა, რომ „პირველითგან იყო სიტყვა...“ ამიტომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას, რომელიც ვერბალურად მიეწოდებოდა ხალხს, მუსიკით თუ ნახატით. სწორედ ამის გამო იყო, რომ ომისათვის ინტენსიური მზადებისას, საგანგებოდ ზრუნავდა როგორც წითელი არმიის საბრძოლო შეიარაღების, ისე ხალხის სულიერი სიმტკიცისათვის. დღეს უკვე უდავოდ არის მიჩნეული, რომ ალექსანდროვის სიმღერა „წმიდათა წმიდა ომი“ (“Священная война”) და თოიძის პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის” (“Родина-Мат зовет”) ომამდე იყო მომზადებული სტალინის დავალებით, რა თქმა უნდა, და ომის დაწყებიდან მეორე-მესამე დღეს უკვე მთელი ხალხის საკუთრებად იქცა. დიდწილად, სწორედ ამ ორმა მხატვრულმა ქმნილებამ გერმანულ ფაშიზმთან საბჭოთა კავშირის ომი დიდ სახალხო ომად აქცია.

1941 წლის 22 ივნისს მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირი-

სათვის დიდ სამამულო ომად იქცა და მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოსკოვის კრემლი მოექცა, რადგან იქ მუშაობდა ის კაცი, რომლის იმედად იყვნენ გერმანიასთან მეომარი ქვეყნები და მათი ლიდერები: ისინი, რომლებიც ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოეთისადმი და ისინიც, რომლებიც სოციალიზმთან და სტალინთან შეურიგებლობით იყვნენ ცნობილნი. ამის მაგალითია დიდი ბრიტანეთის ცნობილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელსაც, ინგლისელ პუბლიცისტს იან გრეის თუ დავუჯერებთ, 1941 წლის ივნისის ბოლოს უთქვამს, მშვიდად მხოლოდ მას შემდეგ მძინავს, როცა შევიტყვე საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა, რაც ჰიტლერის უთუო დამარცხებას ნიშნავსო.

1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობები და უკან დახევა სრულიად ბუნებრივი და გამართლებული იყო. გერმანიის ვერმახტის შეიარაღებული ძალების უკან მთელი ევროპის ეკონომიკა იდგა განვითარებული ინდუსტრიითა და მძლავრი კაპიტალით. იმდროინდელი მოდერნიზებული რუსეთის იმპერია კი ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებოდა ევროპას. 1931 წელს ი. სტალინი თავის ცნობილ სიტყვაში XVIII პარტკონფერენციაზე ამბობდა: ჩვენ 50 წლით ჩამოვრჩებით ევროპას და თუ ეს ჩამორჩენა ათ წელიწადში არ დავძლიეთ, გაგვანადგურებენო. აი, რას წერს ცნობილი ფრანგი მწერალი როჟე გარუდი, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიით არასოდეს გამოირჩეოდა: „მართალი გამოდგა სტალინი, როცა 1931 წელს ამბობდა, თუ ჩვენ წელიწადში მილიონ ტონა ფოლადის წარმოებას არ გადავაჭარბეთ, ათ წელსაც არ დაგვაცდიან, ისე მოგვიღებენ ბოლოსო. მას რომ ეკონომიკის განვითარების იმ საოცარი ტემპებისათვის არ მიეღწია, დღეს ოსვენციმის გაზის კამერებში ვიქნებოდით ამომხრჩვალნი. გარკვეულ ისტორიულ პირობებში ის უნდა აკეთო, რაც აუცილებელია, თუნდაც არაადამიანური გარჯა დაგჭირდეს. აი, ამგვარად ირჯებოდა საბჭოთა ქვეყნის იმდროინდელი წინამძღოლი და სხვებსაც აიძულებდა ასევე გარჯილიყვნენ. სწორედ ამან ათქმევინა აშშ-ს უდიდეს საავტომობილო მაგნატს ჰენრი ფორდს 1929 წელს ამერიკის სენატში გამოსვლისას: „კომუნისტებმა მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების ისეთ მასშტაბს, რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რაც ისტორიამ იცის“.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ომი, ყველა განზო-

მილების მიხედვით, ისეთი მასშტაბისა იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის სხვა მონაკვეთები პერიფერიებზე უმნიშვნელო კინკლაობად ჩანდა.

რუსული ანდაზაა ასეთი: „Один на поле не войн“ (ბრძოლის ველზე მარტო კაცი, მეომარი არ არის!). დიდმა სამამულო ომმა ეს ანდაზა გააბათილა. რაც უნდა ამტკიცონ ისტორიკოსებმა და პოლიტოლოგებმა „საბჭოთა ხალხის“ უმაგალითო გმირობა, წითელი არმის მეთაურების სტრატეგიული ნიჭიერება და სიმამაცე, იმ დიდ ომში „ძლევაი საკვირველი“ სწორედ ერთი კაცის გენიაზე იყო დამოკიდებული. მარშალმა გიორგი ჟუკოვმა, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში როდესაც ჰკითხეს, რამ გადაწყვიტა ომის ბედიო, უპასუხა: 1941 წლის 7 ნოემბრის პარადზე სტალინის გამოსვლამო.

მართლაც!

ეს არ იყო ჩვეულებრივი აღლუმი, ძალის დემონსტრირება ან დათვალიერება. ეს იყო იმედისა და რწმენის სასწაულებრივი გამოცხადება, რისი ორგანიზებაც ჩვეულებრივ ადამიანურ ბუნებას არ შეუძლია...

1941 წლის შვიდი ნოემბრისათვის გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვის წითელი მოედნიდან 30-40 კილომეტრით იყვნენ დაშორებულები. ვერმახტის გენერლები მოსკოვში საზეიმო შესვლისათვის ემზადებოდნენ და ჰიტლერს მოსკოვის კომენდანტი უკვე დანიშნული ჰყავდა. და როდესაც სტალინმა გენშტაბის ხელმძღვანელებს 7 ნოემბრის სამხედრო პარადის ორგანიზება უბრძანა, ერთ ხანს ისინი გაოგნებულნი შესცქეროდნენ უმაღლეს მთავარსარდალს. სტალინის ბრძანება, რა თქმა უნდა, შესრულდა და მავზოლეუმის ტრიბუნიდან სტალინმა მიმართა წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს და მთელ დაჩაგრულ კაცობრიობას. მიმართა არა როგორც ბელადმა, არამედ როგორც მათმა მეგობარმა, ქრისტესმიერმა მამამ და ძმამ: „დებო და ძმებო, თქვენ მოგმართავთ ჩემო მეგობრებო!“ ასე მიმართვა მხოლოდ ღვთის კაცს შეეძლო. მერე, როგორ დაასრულა ეს ისტორიული სიტყვა! ის კი არ უთქვამს, ჩვენ მრავალრიცხოვანი ჯარი, დიდი ტერიტორია და ამოუწურავი რესურსები გვაქვს და ამიტომ ვერ მოგვერევა მტერიო. არა! ჩვენი საქმე სამართლიანია და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო, — უთხრა. სიმართლეს ვერაფერი მოერევაო, — ეს იყო მთავარი მის სიტყვაში.

ვიმეორებ: სტალინმა კარგად იცოდა სიტყვის ძალა, ისიც იცოდა, რომ „...სიტყვა იყო ღმერთი”. ამიტომ იყო, რომ 7 ნოემბრის პარადზე მისი წარმოთქმული სიტყვის შემდეგ მოსკოვის მისად-

გომებთან ფეხი ვეღარ მოაცვლევინეს წითელარმიელებს. „უკანდასახევი აღარ გვაქვს, ჩვენს უკან მოსკოვია!“ ეს მხოლოდ მამაცი სერჟანტის კლოჩკოვისა და მისი 28 მეომრის რწმენა არ იყო, ის საყოველთაო სახალხო მრწამსად იქცა, რაც სალ კლდედ აღიმართა ფაშისტური ურდოების წინაშე.

ბოროტმოქმედი ხრუშჩოვის ლაქია ვაი-ისტორიკოსები და ნაძირალა გენერლები ანტისტალინური ისტერიის პერიოდში გამოცემულ „ნაშრომებში“ ყბედობდნენ იმაზე, რომ სტალინი სამხედრო საქმეში ვერ ერკვეოდა და რუკის წაკითხვაც არ შეეძლოო. მათგან განსხვავებით, აი, რას ამბობს დიდი ბრიტანეთის მაშინდელი გენშტაბის უფროსი ალან ბრუკი: „მე ძალიან მალე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ კაცს აქვს სამხედრო სპეციალისტის აზროვნება და ისიც ყველაზე დიდი კალიბრისა”. ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იმ პერიოდში წერს: წითელი არმიის წარმატებებს შეიძლება უწოდო საოცრება, თანამედროვე საოცრება, სტალინი კი ამ საოცრების შემოქმედიაო. აი, ასე და არა ისე, როგორც რაძინსკი და პარკეტის გენერალი ვოლკოგონოვი ფიქრობენ.

პატიოსანი ადამიანები საბჭოთა კავშირში სიცოცხლის ფასადაც კი არ ერიდებოდნენ სიმართლის თქმას სტალინზე, ე. წ. „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ ბრძოლის მძვინვარე პერიოდშიც კი. სწორედ ამ პეიროდშია დაწერილი ომგადახდილი ცნობილი რუსი პოეტის კონსტანტინე სიმონოვის ლექსი — „დადგით ბიუსტი სტალინის საფლავზე”:

«Он был велик. Его не оболгать,
Он был наш вождь и мы его любили –
Лежит плита... так сколько-ж можно ждать
Поставтьте бюст на Сталинском могиле!»

ძალიანაც რომ უნდოდეს ვინმეს (უნდოდათ კიდეც!), სტალინის როლს ფაშიზმისაგან კაცობრიობის ხსნაში ვერავინ დაამცრობს და გააბიაბრუებს. სწორედ მის ნებასა და გენიას ემორჩილებოდნენ ფაშიზმის საწინააღმდეგო კოალიციის ბუმბერაზი ქვეყნების — აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელები. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი კი არ ჩამოვიდოდნენ მასთან მოსალაპარაკებლად, პირიქით იქნებოდა, და სრულიად ბუნებრივია ცნობილი რუსი პოეტის ა. ტვარდოვსკის პოეტური განცხადება:

„სხვა დროშიც, სწორედ არის წყლის ნაყვა
მთელ მსოფლიოში იმის მტკიცება,

თითქოს სტალინის სახელს არ დაჰყვა
ფოლადისა და რვალის თვისება“.
(პოემიდან „შორეთს იქითა შორეთი“)

სტალინის სახელთან სამშობლო იყო გაიგივებული, ამიტომ მოწოდება — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ საყოველთაო ლოზუნგად იქცა დიდ სამამულო ომში. ანტისტალინისტები იტყვიან, შიშისგან ყვიროდნენ ამ ლოზუნგსო. უეჭველ სიკვდილზე რომ მიდის კაცი, განა იმის სახელს დაიძახებს, რომლისაც ეშინია, თუ იმისას, ვისიც სწამს და იმედი აქვს? ეს რიტორიკული კითხვაა, რომლის პასუხი ყველა ნორმალურ კაცს აქვს.

”შიში შეიქმს სიყვარულსა”-ო, — რუსთველმა ბრძანა. ეს ოდითგან სადავო დებულება სწორედ სტალინთან დაკავშირებით გაცხადდა დიდი სამამულო ომის პერიოდში: სტალინი უყვარდათ! ყველას თუ არა, უდიდეს უმრავლესობას მაინც. სტალინის ეშინოდა ყველას! როგორ უთავსდება ერთმანეთს ეს ორი ცნება — შიში და სიყვარული? ძალიან ადვილად: ადამიანებს ეშინოდათ ძალისა, მაგრამ უყვართ ის ძალა, რომელიც ამკვიდრებს სიკეთეს, სძულთ ის, რომელიც ნერგავს ბოროტებას. ამიტომ არის, რომ ღმერთის კიდეც გვეშინია და კიდევაც გვიყვარს იგი.

დამთავრდა დიდი სახალხო ომი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი: სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და ამ გამარჯვების შემოქმედი იოსებ სტალინი მთელი პატიოსანი კაცობრიობის სათაყვანებლად იქცა. 1945 წელს, გამარჯვების პარადზე სტალინის გამოჩენა ასე აღწერა საბჭოთა კავშირის გმირმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, გენერალ-მაიორმა მიხეილ დოკუჩაევმა: „რიგითი ჯარისკაცით დაწყებული და მარშლით დამთავრებული, ყველა დაძაბული იდგა წითელ მოედანზე და რაღაც გაუგონარი, ზებუნებრივის მოლოდინში გარინდულიყო. სმენაზე იდგა წითელი მოედანი, სუნთქვა შეეკრა ტრიბუნებზე ჩამწკრივებულ ნაირფერ მუნდირებში გამოწკეპილ გენერლებსა და მარშლებს, ათასობით სტუმარს. საოცარი დუმილი იყო ჩამოწოლილი და უცებ, მავზოლეუმის სიახლოვეს ჯერ კანტიკუნტი ტაში გაისმა, ხოლო შემდეგ მთელმა მოედანმა იგრიალა, კრემლის კედლები ზანზარებდა, ოვაცია მოედო მთელ მოსკოვს, მთელ ქვეყანას — ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიოდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი”.

ვაშინგტონის „ასოშეიტედ პრესის“ სააგენტოს მაშინდელი ხელმძღვანელი ჰენრი კასიდი თავის თაყვანისცემას სტალინისადმი ასე ლაკონიურად გამოხატავს: „ერთი სიტყვით, სტალინი ორი დიუმით მაღლა დგას ნაპოლეონზე“.

უკანასკნელ ათწლეულებში ბევრი დაიწერა მეორე მსოფლიო ომისა და, კერძოდ, სტალინის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც და მის საზღვრებს გარეთაც. ბევრი რამ გაყალბდა, ბევრი ღირებულება გადაფასდა, ბევრგან ფაშიზმის რეანიმაცია მოხდა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენნი გმირებად შერაცხეს, მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტრებზე და ამ გამარჯვების შემოქმედის დამცირება ვერავინ და ვერაფერმა შეძლო, რადგან სიმართლე უძლეველია და როგორც 1941 წლის ნოემბერში იწინასწარმეტყველა სტალინმა, გამარჯვება დარჩება იმას, ვისი საქმეც სამართლიანია, რადგან ასეთია არა მხოლოდ ზეკაცის, არამედ უფლის განაჩენი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ян Грей, «Сталин», М., 1995.
2. Алан Булок, «Сталин и Гитлер», М., 1994.
3. Михаил Докучаев, «История помнит», М., 1988.
4. Александр Василевский, «Дело всей жизни», М., 1988.
5. Владимир Карпов, «Генералиссимус», К., 2002.
6. Элион Рузвельт, «Его глазами», М., 1947.
7. Георгий Жуков, «Воспоминания и размишления», М., 1983.



გვანცა კოპლატაძე

შინაური მტრები თუ ეროვნული მოღვაწეები

XIX საუკუნის 70-ანი წლების დასაწყისში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე ახალგაზრდების ახალი ჯგუფი გამოჩნდა, რომელიც, როგორც ე. წ. თერგდალეულ სამოციანელთა მომდევნო თაობა, ისტორიაში მეორე დასის სახელითაა ცნობილი. მასში შედიოდნენ: **გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი**. მათთან აკაკი წერეთელიც ახლობლობდა. ჯგუფის წევრებმა თავი გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ გარშემო მოიყარეს. ამ დროს ილია მართალი (ჭავჭავაძე) ჯერ კიდევ დუშეთში მსახურობდა, მაგრამ ჯგუფი თავის მეთაურად და საერთო წინამძღოლად მაინც მას მიიჩნევდა. ნიკო ნიკოლაძე იგონებს: როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა საქართველოში ჟურნალისტიკის გამოცოცხლება განიზრახა, პირველად ის ნაბიჯი გადადგა, რომ ახალთაობის მომხრენი შეაგროვა და დაა-ჯერა, დუშეთში წასულიყვნენ და ქართული საქმეების სათავეში ჩადგომა ილიასათვის ეთხოვათ. როგორც თვითონ წერს, 1871-73 წლებში იგი ხუთჯერ მაინც ასულა დუშეთში ილიას დასაყოლიებლად, რომელიც მზად იყო, ყველას დადგომოდა გვერდით, ვინც კი სამშობლოს სამსახურს განიზრახავდა. თავისი კეთილგანწყობილება ზემოხსენებული ჯგუფის მიმართ მან ჟურნალ „კრებულთან“ აქტიური თანამშრომლობით გამოხატა.

1871 წელს „კრებულში“ დაიბეჭდა ილიას მიერ ჯერ კიდევ სტუდენტობაში (1860) დაწერილი პოემა „ქართვლის დედა“ გადამუშავებული სახით, სახელდობრ, ავტორს მასში შეუტანია თავისუფლების სადიდებელი ჰიმნი („თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“) და ლაშქრის სიმღერა („ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დრო დაგვიდ-

გა დიდებისა"), რომელსაც გლეხურ კილოზე გაწყობილს უწოდებდა და თვითონაც მოსწონდა. ამავე წელს „კრებულში" პირველად დაიბეჭდა, აგრეთვე, 1861 წელს დაწერილი „მგზავრის წერილები".

რაც შეეხება ბრწყინვალე მოთხრობას, „გლახის ნაამბობს", მისი პირველი ნაწილი (I-VI თავები) „საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნდა 1863 წელს. „მოამბის" დახურვის შემდეგ ილია სამუშაოდ პროვინციაში წავიდა და მოთხრობაც დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა. „კრებულის" რედაქციის დამოკიდებულებამ მწერალს ნაწარმოების დასამთავრებლად ძალა და ხალისი შეჰმატა. 1873 წლის იანვარში დასრულებული „გლახის ნაამბობი" ჟურნალ „კრებულის" პირველ სამ ნომერში ამავე წელსვე სრულად დაიბეჭდა.

70-იანი წლების ბოლოს, თერგდალეულთა და მეორე დასელთა ერთობას ბზარი გაუჩნდა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ 1873 წელს დაედო, როცა ნიკო ნიკოლაძემ ევროპაში გამგზავრების წინ „დროებაში" გამოსამშვიდობებელი წერილი, სათაურით „მშვიდობით, მშვიდობით" დაბეჭდა. წერილში იგი საყვედურობდა საზოგადოებას, რომელმაც მისი ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის ასპარეზზე ვერ დააფასა და გამოხატავდა სიხარულს, რომ წინ „შავი ზღვის ზამთრის ქარიშხალი, ევროპის აღელვებული ცხოვრება, ახალი წრე, ძველი მეგობრები" ელოდებოდა, რომელნიც მალე დაავიწყებდნენ „აქაური უთავბოლო ბრძოლის დაღლილობას". წერილს არც ქედმაღლური ტონი აკლდა.

ილია, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა ბანკის საქმეების მოსაგვარებლად, მყისვე გამოეხმაურა ნიკოლაძის წერილს და ჩვეული პირდაპირობით ევროპაში გამგზავრება ბრძოლის ველიდან გაქცევად ჩაუთვალა.

„ჯერ რიგიანად ბრძოლაც არ გამართულა და შენ ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნებაა... განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა?"[1] — ეკითხებოდა იგი ნიკოლაძეს და გულდაწყვეტას გამოხატავდა იმის გამო, რომ კაცმა, რომელსაც როგორც ნიჭიერს, რიგიანს, გამბედავს, დაუშრომელ მოღვაწესა და საიმედოს პატივს სცემდა და ვისთან მეგობრობა და ერთად უღელში შებმაც სახარბიელოდ მიაჩნდა, მოულოდნელად ასეთი სისუსტე გამოიჩინა.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961. გვ. 45.

ილიას აზრით, ეს სისუსტე ნიკოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეპატიებოდა, თუ იგი წუთიერი გამოდგებოდა და გაქცევის ნაცვლად მოღვაწეობას გააგრძელებდა, ხოლო თუ პირიქით მოიქცეოდა, მაშინ თავს უფლებას აძლევდა, პირში მიეხალა სიტყვები: „ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე, ქარმა წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება“.[2]

ქართულ ჟურნალისტიკას ევროპამოვლილი ნ. ნიკოლაძე ორი წლის შემდეგ დაუბრუნდა, ოღონდ უკვე ახალი იდეოლოგიით. მან და გიორგი წერეთელმა თერგდალეულებისაგან განსხვავებით, რომელნიც ყველაზე წინ ეროვნულ ინტერესებს აყენებდნენ, უპირატესობა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას მიანიჭეს და საზოგადოებას დაჩაგრული მშრომელი გლეხობის (მაშინ საქართველოში მუშათა კლასი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო) მოსარჩლეებად მოევლინენ. დაჩაგრულთა და უუფლებოთა გამოსარჩლება ილიასა და მის თანამებრძოლებს, არც სიტყვითა და არც საქმით, არავისგან ესწავლებოდა, მაგრამ მეორე დასელებმა ბრძოლის ასპარეზი ადამიანის თავისუფლებისა და უფლებათა დასაცავად მეტისმეტად დაავიწროვეს და გამოდიოდნენ რა მხოლოდ სოციალურად დაბალი ფენების ინტერესთა დამცველებად, ისინი ერის ერთობისაგან არა მხოლოდ გამოთიშეს, არამედ შედარებით მაღალ ფენებს — თავადაზნაურობასა და ინტელიგენციას დაუპირისპირეს. რა თქმა უნდა, ამგვარი დაპირისპირება ეროვნული სხეულის ცალკეული ნაწილებისა, ისედაც სხვისი მფარველობის ქვეშ მყოფ ერს, რომელსაც საკუთარი ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად ყოველდღიურად უნდა ებრძოლა და ეღვაწა, აუცილებლად მძიმე შედეგს მოუტანდა.

1876 წლის სექტემბერში ილიამ ხელისუფლებისგან მიიღო ნებართვა, გამოეშვა ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომლის გამოცემაზეც „საქართველოს მოამბის“ დახურვიდან მოყოლებული ფიქრობდა. „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის პირველ იანვარს გამოვიდა. 1879 წელს „ივერია“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა და ამ სახით შვიდი წელიწადი, ვიდრე 1886 წლის იანვრამდე იარსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიას „ივერია“ და სამოცდაათიანელების „დროება“, რომელსაც ჯერ **სერგეი მესხი**, ხოლო შემდეგ **ივანე მაჩაბელი** რედაქტორობდა, რამდენადაც ერთ პოზიციაზე იდგნენ და ერთი სამოქმედო პროგრამა ჰქონდათ,

[2] იქვე, გვ. 46.

ერთხანად რედაქციულადაც კი იყვნენ გაერთიანებულნი.

თუმცა რედაქტორობა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა (არ დაგვავიწყდეს, რომ ამავდროულად ილია საადგილმამულო ბანკისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეც იყო), ილიამ მხატვრული სიტყვისთვისაც მოიცალა. „ივერიაში“ დაიბეჭდა არა მხოლოდ მისი, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები — მოთხრობა „სარჩობელაზედ“ და პოემა „განდეგილი“; მაგრამ ეს წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი მაინც პუბლიცისტური წერილების შექმნისათვის გამოდგა. მათი უმეტესი ნაწილის მიზანი, როგორც თავად ავტორი წერს, „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან“ იყო. დიდი მამულიშვილი და მოაზროვნე თავისი თაობის უპირველეს დამსახურებად სამოღვაწეო ასპარეზზე ამ მიმართულების მიგნებას თვლიდა და მიუხედავად ცრუ ლიბერალთაგან მძაფრი წინააღმდეგობისა, რომელნიც მცირერიცხოვან ერთა დიდ ერებში გათქვეფის აუცილებლობასა და კოსმოპოლიტურ იდეებს ქადაგებდნენ, მტკიცედ აცხადებდა, რომ ეგ მიმართულება აქტუალური იქნებოდა მანამდე, „ვიდრე ჩვენი ვინაობა ჩვენს ცხოვრებაში თავის შესაფერისსა და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერდა და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცეოდა“.

1878 წელს ნიკო ნიკოლაძემ რუსულენოვანი გაზეთის „Обзор“-ის გამოცემა დაიწყო. ძალიან მალე, გაზეთის მე-10 ნომერში, რომელიც ამავე წლის 11 თებერვალს დაიბეჭდა, გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი (მეთაური), რომელშიც გაზეთის დაარსების მიზანი ნათლად გამოიკვეთა: „Обзор“-ის რედაქციის აზრით, ადგილობრივ პრესას (Туземная печать) და მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართულსაც, რამდენადაც იგი, განსხვავებით რუსული და უცხოური პრესისაგან, ინტელიგენციის განათლებული წრეების გონებრივ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა, მარტივი წერილების ბეჭდვისათვის უნდა მიეყო ხელი, რომელთა ადრესატიც შედარებით დაბალი განათლების მქონე მკითხველები იქნებოდნენ. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ საერთოდ ადგილობრივი პრესის მიმართ გამოხატული დამამცირებელი დამოკიდებულების ობიექტი უწინარესად გაზეთი „ივერია“ და მისი გამომცემელი იყო.

ადგილობრივი პრესის ღირსების დასაცავად საპასუხო წერილი სათაურით „რუსული „Обзор“-ი და ქართველი ნიკოლაძე“, მეორე

ღღესვე დაბეჭდა გაზეთ „დროებაში“ მისმა რედაქტორმა სერგეი მესხმა. თებერვალშივე გამოქვეყნდა, აგრეთვე, „ივერიაში“ (კვირაში ერთხელ გამოდიოდა) ილიას წერილი „ფიქრი და შენიშვნა“.[3] ავტორი წერილის დასაწყისშივე სრულიად სამართლიანად სვამს კითხვას: მაშინ, როცა მთავრობას ჰქონდა საკუთარი ოფიციალური ორგანო — რუსულენოვანი გაზეთი „Кавказ“-ი, რაღა საჭირო იყო საკუთარი ნებით დაარსება იმგვარი რუსული გაზეთისა, რომელსაც ქედმაღლური დამოკიდებულება ექნებოდა ქართულ ჟურნალისტიკასთან და მიზნად ხელისუფლების წინაშე მის დამცირებას განიზრახავდა.

ნ. ნიკოლაძე თავის მართლებისათვის დიდად არ გარჯილა. მართალია, თქვა, რომ რადგანაც ავად იყო, წერილის დაწერა ერთ-ერთ თანამშრომელს, ივანე ჟუკოვს დაავალა და მის ორ ადგილს არც თვითონ ეთანხმებოდა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ის ადგილები წერილის არსებით მხარეს არ შეადგენდა და ძირითადად იგი სამართლიანი იყო. თუმცა ილიას განზრახული ჰქონდა, საფუძვლიანად განეხილა „Обзор“-ის სარედაქციო წერილი, მაგრამ ცენზურამ ამ საკითხებზე კამათი საერთოდ აკრძალა.

36 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1914 წლის 7 იანვრით დათარიღებულ წერილში, იმის იმედით, რომ ილია უკვე ცოცხალი აღარ იყო, ნ. ნიკოლაძე შეეცადა თავისი საქციელისათვის სხვა შინაარსი მიეცა. მისი განცხადებით, იგი თითქოს მხოლოდ იმისთვის წუხდა, რომ ადგილობრივი პრესა მხოლოდ ინტელიგენციის ვიწრო წრეებისათვის წერდა, ვისაც რუსულადაც შეეძლო კითხვა და უყურადღებოდ ტოვებდა უბრალო ხალხს, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე კითხულობდა. ამიტომაც ურჩია, როგორც მეგობარმა, ადგილობრივ გაზეთებს, ხალხისთვის გასაგები მარტივი წერილების გამოქვეყნება.[4]

„Обзор“-ის ზემოხსენებული წერილი რომ არც შემთხვევითა და არც მეგობრული რჩევის მიცემის სურვილით არ იყო დაწერილი და რომ იგი ილიას წინააღმდეგ შეგნებული და კარგად ორგანიზებული ბრძოლის ერთ ეპიზოდთაგანს წარმოადგენდა, ეს მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა.

1878-79 წლებში ორ წიგნად გამოვიდა **გიორგი თუმანიშვილის** ალმანახი. თუმანიშვილს თავი ახალი დროების ადამიანად, პროგრესულ მწერლად მიაჩნდა და ისტორიულ, ეთნოგრაფიულსა და საერთოდ, სამეცნიერო თემებზე დაწერილ სტატიებს ძველსა და

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953.

[4] წერილი დაცულია სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. III, გვ. 499.

დამჭკნარ ამბებს უწოდებდა. ებრძოდა რა ეროვნულ იდეალებს, თავისი ნამდვილი მიზნის შენიღბვას იმით ცდილობდა, რომ თითქოს ისეთ ანბანურ ჭეშმარიტებებზე წერა, როგორიც სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, თავისუფლება, ძმობა და სიყვარულია, ვერაფრად ეჭაშნიკებოდა და თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებსა, და უწინარესად „ივერიასაც“, იმ მიზეზით იწუნებდა, რომ ისინი ძირითადად ამ თემებისადმი მიძღვნილ წერილებს ბეჭდავდნენ; სამაგიეროდ, იწონებდა ძველ მწერლობას, რომელსაც, მისი აზრით, „სხვა მიზანი ჰქონდა, წავიდოდა, ივლიდა, ივლიდა და ბოლოს მაინც ან გლეხის თავისუფლებაზედ დააგუგუნებდა, ან ხალხის სიყვარულზედ და განათლებაზედ“.[5]

ისეთი უნიჭო და ვაი მწერლის სამხილებლად, როგორიც გ. თუმანიშვილი იყო, შეიძლება ილიას არც აეღო ხელში კალამი, რომ არა ის ხოტბა-დიდება, რომელიც ზემოხსენებულ ალმანახს ნიკო ნიკოლაძემ უძღვნა. ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რომ ეს ქება თუმანიშვილმა არა მისი ალმანახის მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებებით, არამედ ილიასა და მის „ივერიას“-თან ბრძოლითა და დაპირისპირებით დაიმსახურა. ამიტომაც სვამდა ირონიულად კითხვას ილია: „განა იმისთანა პირუთვნელი, მიუდგომელი სახელგანთქმული მწერალი ბატონი ნიკოლაძე თავის ძვირფასს კალამს ხელში აიღებდა, რომ გ. თუმანიშვილი ცოტათი მაინც არ ჰგვანებოდა ბატონს ნიკოლაძეს ჭკვითა და სიღრმითა?“[6] სინამდვილეში ეს ირონია იმ გულისტკივილის შედეგი იყო, რომელიც მას ახალგაზრდა ნიჭიერი კაცის მიერ, ვინც ერთ დროს საიმედო თანამდგომად და თანამებრძოლად ეგულებოდა, საპირისპირო პოზიციაზე გადასვლამ განაცდევინა. მაგრამ როცა საქმე სამშობლოს ინტერესთა დაცვას შეეხებოდა, იქ ილიას მხრიდან, რომელიც საერთოდ მგრძნობიარე გულითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა, დათმობა გამორიცხული იყო. ამიტომ „სხარტულა“, რომელიც ახალი იდეოლოგიის მქადაგებელთ მიუძღვნა, მთავრდებოდა რუსთველისებურად გაწყობილი ლექსით, რომელშიც ნიკოლაძის ისეთი თვისებები იყო მხილებული, როგორიცაა გულმშრალობა, ცუღლუტობა და კვეხნა. შეურაცხყოფილ ნიკოლაძეს ილია „სხარტულას“ გამოქვეყნებისთანავე ღუელში გამოუწვევია, რომელიც ღმრთის წყალობითა და, შეიძლება სეკუნდანტების ჩარევითაც, არ შემდგარა.

[5] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 499. თვითონ წერილი დაცულია სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

[6] ი. ჭავჭავაძე, თხზულებები, ტ. III, გვ. 347.

საკუთარ სამშობლოში ქართველი ხალხის არსებობას იმდენი მხრიდან ებრძოდნენ და ისეთ მრავალფეროვან ხერხებს იყენებდნენ, რომ წმინდა ილია მართალი თავისთავს არათუ დასვენების, არამედ წამიერად მოდუნების უფლებასაც კი არ აძლევდა. უცხო ჯიშის მტრებს ვინღა ჩიოდა. ყველაზე გულსატკენი ის იყო, რომ ქვეყანას არც საკუთარი შვილები აკლდა, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცხადად თუ შეფარულად, — ახალი, პროგრესული იდეალების დამკვიდრებისათვის მებრძოლთა ნიღბით — საკუთარი ხალხის ეროვნული გადაგვარების პროცესის დაჩქარებისათვის პირდაპირ განსაცვიფრებელი თავგამოდებითა და გულმოდგინებით „იღვწოდნენ“. რა ზუსტად შეაფასა ხალხურმა სიბრძნემ საკუთარი მოდგმის მტერი, როცა ხეს ათქმევინა: ცული რას დამაკლებდა, ტარი რომ ჩემი ჯიშისა არ ჰქონდესო.

1889 წელს პეტერბურგის ჟურნალში „Северный вестник“ დაიბეჭდა ინიციალებით ხელმოწერილი „Письма о Грузии“. როგორც წერილების ავტორი თავადვე აცხადებდა, მისი მიზანი იყო გამოერკვია: ქართველი ერი მართლა დაბერდა და ღონისაგან დაიცალა, თუ ინტენსიური ცხოვრება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული და თავის ძალ-ღონეს მერმისისათვის ინახავდა. ამის დასადგენად მას გადაეწყვიტა, კრიტიკულად შეესწავლა საქართველოს ისტორია, თუმცა, მისივე თქმით, ამ ისტორიის მთლიანობაში წარმოსადგენად მასალები და წყაროები ვერსად იპოვა(!), ხოლო ამგვარ მასალათა და წყაროთა არარსებობა რომ დაემტკიცებინა, თვით ჩვენი საამაყო მატიანე — „ქართლის ცხოვრებაც“ არ დაინდო და აბუჩად მოიხსენია. ცდილობდა რა, ისტორიული თვალსაზრისით ქართველთა არარაობის დასაბუთებას, მათ მიერ შექმნილ რაიმე ღირებულსა და საინტერესოს ვერც დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქაში ხედავდა, პირიქით, თამარს იგი ეკლესია-მონასტრების მშენებლობისათვის დიდი თანხების გაღებისათვის საყვედურობდა. იწუნებდა, აგრეთვე, ცნობილ ევროპელ მეცნიერთაგან მოწონებულ ქართულ ენას და ანბანსაც და, რაც მეცნიერებს მათ ღირსებებად მიაჩნდათ, ნაკლად უთვლიდა. აღარ გავაგრძელებთ საუბარს იმაზე, კიდევ რამდენ და რა სახის ცილს სწამებდა წერილების ავტორი ქართველ ერს მისი არარაობის წარმოსაჩენად; ერთს კი აღვნიშნავთ, ამგვარი სრულიად დაუსაბუთებელი, თავხედობამდე მისულ ბრალდებათა წამოყენებას მთელი ერის წინააღმდეგ საფუძვლად სრული უვიცობა ედო, რომელსაც სინდისი ვეღარც ამხელდა და ვეღარც

მოთოკავდა, რადგან მის პატრონს იგი უკვე დამწვარი ჰქონდა.

სამწუხაროდ, ამ წერილების ავტორი ქართველი, **ივანე ჯაბადარი** გამოდგა, რომელიც რუსეთის ხალხოსანთა ორგანიზაციის წევრი იყო. 1877 წელს იგი ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს, სადაც ათი წელი გაატარა. მის წერილებს ქართველი ერის ისტორიის დამახინჯებულად წარმოდგენაზე უფრო საშიშ ხასიათს იმ თეორიის პოპულარიზაციის სურვილი აძლევდა, რომლის მიხედვითაც ერი, ვითარცა ცალკეული ინდივიდი, იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ამ თეორიის ისტორიულ კანონზომიერებად აღიარება ისედაც დინებას მიყოლილი ქართველი ერისათვის უკანასკნელი სასოების გადაწურვას უდრიდა. ამიტომაც ჯაბადარის წერილებისათვის დუმილით გვერდის ავლა საზოგადოების მხრიდან უკვე დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა და ისევ ილიამ აიღო ხელში კალამი ამ ძალად შეთხზული თეორიის უაზრობისა და თავად ივანე ჯაბადარის უვიცობის სამხელად. საწინააღმდეგო წერილები მან იმავე წელს „ივერიის“ აპრილიდან ივლისამდე გამოსულ ნომრებში დაბეჭდა, რომელთაც, ერთად აღებულთა, მშვენიერი ისტორიული ნარკვევი „აი ისტორია“ შეადგინეს. ეს თხზულება მრავალმხრივ იწვევს ყურადღებას და მისი ავტორის უნივერსალურ განათლებაზე მეტყველებს. გარდა იმისა, რომ ილიამ სრულიად დასაბუთებულად და მახვილგონივრულად ამხილა სიმცდარე ერების დაბერებისა და კვდომის თეორიისა, გაუგონარი ცილისწამებანი, რომლითაც ჯაბადარი თავისი ხალხის ისტორიას უხვად „ამკობდა“, მან თავისი ღრმა განსწავლულობისა და ქართულ ენასა და ქართულ ანბანზე საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე, ვფიქრობთ, ახალ ეპოქაში ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა.

ივანე ჯაბადარის წერილებზე არანაკლებ გულსატკენი გამოდგა აქაური რუსულენოვანი გაზეთის „Новое обозрение“-ს მეთაური წერილი. წერილის ავტორის აზრით, ერთნაირად უგუნურნი იყვნენ როგორც Письма о Грузии-ის ავტორი, ასევე მისი წერილებით გულამღვრეული ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, „ივერიაში“ გამოქვეყნებული საპასუხო წერილების გამო, უწინარესად ილია ჭავჭავაძე იგულისხმებოდა. ეს უზნეო თუ არა, სრულიად გაუმართლებელი და ერთნაირად ქედმაღლური დამოკიდებულება როგორც საკუთარი ერის ისტორიის შეგნებულად გამყალბებელისა, ისე მისი ისტორიული

წარსულის ობიექტურად შემფასებელისა და დამცველისადმი, წერილის დასაწყისშივე მკვეთრად იგრძნობოდა და ნათლად წარმოაჩენდა პოზიციას ავტორისა, რომლის თვალშიც ერის წარსულს ჩალის ფასი ჰქონდა და ამდენად მისთვის სულერთი იყო, ვინ როგორ წარმოადგენდა და შეაფასებდა მას. ჭკუა და გონება საქართველოში მარტო ამ გაზეთსა და მისი რედაქციის წევრებს მოეკითხებოდათ. ეს ჭკუა-გონება კი, როგორც ილია წერს, იმგვარ გასაშტერებელ ოსტატობაში გამოიხატებოდა, რომ „ერთსა და იმავე დროს კაცმა რუსთაველის მგმობელსაც უთხრას, რომ რუსთაველის მოსარჩლე სულელია, მოსარჩლესაც უფიცოს, რომ სულელი მისი მგმობელია, და ამავე დროს თითონვე ესარჩლებოდეს რუსთაველსა და აინუნშიაც არ მოსდიოდეს, რომ აქ სამს საგანს, ერთმანეთთან შეუწონელსა და შეუფერებელს, ერთმანეთის გამომკლებელს ბურთსავით ხელში ათამაშებს“.[7] ამ მართლაც გასაშტერებელი ოსტატობის გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წერილი ქართულ ინტელიგენციას და კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს, იმპერიის წინაშე ასმენდა, რადგან აცხადებდა, რომ თითქოს მათი აღშფოთება Письма о Грузии-ის რუსულ ენაზე დაწერით იყო გამოწვეული. В грузинском обществе смятение: нашелся „нечестивец“, усомнившийся в самобытности и оргинальности Шота Руставели, творца „Барсовой кожи“. Сомнения свои сей заалазанский Герострат изложил – о, ужас! – на русском языке и предал тиснению в либеральном „Северном Вестнике“ под заглавием „Письма о Грузии“.[8]

ადვილი დასანახია, რომ წერილის ავტორი ივანე ჯაბადარს იცავს, როცა ცოდვილს ბრჭყალებში წერს, მაგრამ იმავდროულად დასცინის კიდეც, როცა მას ალაზნისგაღმელ ჰეროსტრატეს უწოდებს, რითაც თითქოს ერთგვარად საპასუხო წერილების ავტორს — ილიას ანუგეშებს, მაგრამ იქვე ამჟღავნებს მის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებასაც, როცა მისი და საერთოდ ქართული ინტელიგენციის აღშფოთების მიზეზად ჯაბადარის მიერ საქართველოს წარსულისადმი მიძღვნილი წერილების რუსულ ენაზე დაწერას ასახელებს. ანუ, როგორც ილია წერს: „ერთს მეორით ანუგეშებს,

[7] „Новое Обозрение“-ს **წერილის გამო, თხზულებანი, ტ. IV, 1995, გვ. 157.**

[8] **ქართული საზოგადოება აღშფოთებულია: გამოჩნდა „ცოდვილი“, რომელმაც ეჭვი შეიტანა შოთა რუსთაველის ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ თვითმყოფადობასა და ორიგინალობაში. თავისი ეჭვები ამ ალაზნისგაღმელმა ჰეროსტრატემ — ო, საშინელებავ! — რუსულ ენაზე გადმოსცა და დასაბეჭდად ლიბერალურ** Северный Вестник-ს **გადასცა სათაურით „წერილები საქართველოზე“. „**Византийские споры**“,** Новое Обозрение, **1889, №202.**

აქეზებს, მეორეს — ერთითა, და ორივე კი სულელებად გამოჰყავს“.[9]

გარდა ამისა, აქ სრულიად უადგილოდ ნახმარი სიტყვა ужас, რომელიც თითქოს ჯაბადარის წერილების რუსულ ენაზე დაწერამ გამოიწვია, ილიასა და მისთა თანამოაზრეთა დასმენაც იყო იმპერიის ხელისუფლებისა და რუსული საზოგადოების წინაშე, რაც მხედველობიდან არც ილიას გამორჩენია და შესაფერისი პასუხიც გასცა.

ჩვენდა ათასგზის სამწუხაროდ და სავალალოდ „Новое Обозрение“-ს ამ მეთაური წერილით ილიას, უფრო სწორად, ქართველი ერის ინტერესებს ისევ ნიკო ნიკოლაძე დაუპირისპირდა.

პირველად ღიად ილია ჭავჭავაძის სახელის უკადრისად მოხსენიება ივანე მაჩაბელმა გაბედა. მან ილიას მოღვაწეობის განქიქებას მთელი წიგნი მიუძღვნა სახელწოდებით „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“. იგი 1892 წელს დაიბეჭდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში და ანონიმურად გამოიცა, თუმცა არავისთვის იყო საიდუმლო, რომ ივანე მაჩაბელს ეკუთვნოდა.

პამფლეტის ავტორის აზრით, ილიას არა თუ დამსახურება არ მიუძღოდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებიდან წამოწყებულ ეროვნულ საქმეებში, ქართული თეატრი იქნებოდა ეს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, თუ სხვა რამ, არამედ, პირიქით, ხელსაც კი უშლიდა დაწყებულ საქმეთა სასიკეთოდ განვითარებასა და ბოლომდე მიყვანას. პამფლეტი იმ უთანხმოების შედეგად დაიწერა, რომელიც ძველ მეგობრებს შორის ბანკის საქმეების წარმართვასთან დაკავშირებით ჩამოვარდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1895 წლის მარტში საადგილმამულო ბანკის საქმიანობის შესასწავლად პეტერბურგიდან რევიზია ჩამოვიდა. საბედნიეროდ, მთავარი რევიზორი ე. დობეცკი საქმის მცოდნე, გონიერი და გულისხმიერი ადამიანი გამოდგა. რამდენადაც ბანკის მუშაობას წუნი ვერ დასდო, მან საზოგადოებას ილიასა და ივანეს შერიგება ურჩია. როცა მასთან სტუმრობდა, ივანესაც იგივე უთხრა, სახელდობრ, რომ გაბოროტებას არ აჰყოლოდა და საერთო ენა გამოენახა უბადლო საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძესთან, რომლის წყალობითაც ბანკის მართვა-წარმოება ღირსეულად იყო დაყენებული, მაგრამ ამაოდ. ამგვარი მოურიგებელი უთანხმოების მიზეზად მათი პიროვნული თვისებების შეუთავსებლობა — ილიას სიმტკიცე და ვანოს სირბილე ჩანდა, რომელსაც ბანკის საქმიანობის წარმართვისათვის წარმატების მოტანა ნამდვილად არ შეეძლო. გულჩვილობა

[9] **თხზულებანი, ტ. IV, გვ. 159.**

და ვალის გადაუხდელობის პატიება, ჩვეულებრივ, კაცთმოყვარეობის მიმანიშნებელია, მაგრამ არა ბანკთან მიმართებაში. ამგვარ გულჩვილობასა და პატიებას ძალიან სწრაფად მოსდევს მისი გაკოტრება, ხოლო ბანკის დაღუპვასთან ერთად შეჩერდებოდა და ჩაკვდებოდა ყველა ქართული საქმე, რომელთაც მისი შემოსავალი აარსებებდა. რა თქმა უნდა, სიმართლე ილიას მხარეზე იყო, ხოლო თუ რატომ ვერ შეძლო ამ სიმართლეში გარკვევა ივანე მაჩაბელმა და რატომ მოინდომა სრულიად გადაესვა ხაზი ილიას მრავალწლიანი თავდადებული მოღვაწეობისათვის, ამის მიზეზი მხოლოდ ღმერთმა უწყის, რომელიც დაფარულსაც ხედავს.

ივანე მაჩაბლის ილიაზე დაწერილი პამფლეტის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ გამოსვლა დაიწყო სამეცნიერო-ლიტერატურულმა დასურათებულმა გაზეთმა „კვალის“ სახელწოდებით. საგულისხმოა, რომ მოუთმენლობისა და თუ სხვა რამ მიზეზის წყალობით, ჟურნალმა „მწყემსმა“, რომელსაც დეკანოზი **დავით ღამბაშიძე** რედაქტორობდა, მისალოც წერილში გაამჟღავნა ახლადდაარსებული გაზეთის მიზანი: „ყველა ჭეშმარიტი ქართველი, დარწმუნებული ვართ, სიხარულით მიეგებება ამ ახალი ჟურნალის დაბადებას, გარდა „ივერიისა“, რომელსაც მაჰმადებურად სწამს, რომ არ არის გაზეთი თვინიერ „ივერიისა“ და წინასწარმეტყველი მისი არის თავადი ილია ჭავჭავაძე“.

რაკიღა ერთხელ დაიძრა სიტყვა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის შესალახად და თანაც ეს სიტყვა ისეთ ცნობილ მოღვაწეს ეკუთვნოდა, როგორიც ივანე მაჩაბელი იყო, მის გაკვალულ გზაზე სიარული ბევრს გაუადვილდა, მათგან უწინარესად ისეთებს, რომელთა სახელებიც საზოგადოებას არაფერს ეუბნებოდა, მაგალითად, **ნოე ჟორდანიას**. მართალია, „კვალის“ გამომცემელნი **გიორგი წერეთელი** და **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი** იყვნენ და გაზეთს უცვლელად ანასტასია რედაქტორობდა, მაგრამ არც მაშინ იყო და, მით უმეტეს, არც დღეს არაა ვინმესთვის დაფარული, რომ ფაქტობრივად „კვალს“ ნოე ჟორდანია პატრონობდა. 1896 წელს გაზეთში პასუხისმგებელ მდივნად დაიწყო მუშაობა **ფილიპე მახარაძემაც**. ასე რომ, „კვალი“ სამოღვაწეო ასპარეზზე 90-იან წლებში გამოსული თაობის საგამომცემლო ორგანო იყო, რომელსაც თავისი ინტერნაციონალური და კოსმოპოლიტური იდეების გავრცელებისათვის მთავარ დაბრკოლებად, როგორც უკვე ითქვა, ილია ჭავჭავაძე და მისი ეროვნული იდეები მიაჩნდა.

ილია ჭავჭავაძეს, ვისაც სიტყვა მართლაც ბასრი მახვილივით უჭრიდა, არა საკუთარი თავის, არამედ ისევ და ისევ ქართველი ერის დასაცავად, რათა იგი სოციალური თანასწორობის უტოპიური იდეებით მოხიბლული, საბედისწეროდ არ შემცდარიყო და ინტერნაციონალიზმის დროშით მოსულ ოთხმოცდაათიანელთა თაობას ბრმად არ გაჰყოლოდა, ნოე ჟორდანიას უმეცრობისა და ქარაფშუტობის მხილება არ გასძნელებია. მან „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ზედიზედ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც გონიერი მკითხველი აუცილებლად დაინახავდა, რა საშიშროებას უქმნიდა ქართველი ერის არსებობას ფსევდოჰუმანურ იდეებს ამოფარებული რევოლუციურად განწყობილი, ყოველივე არსებულის, განურჩევლად ავისა და კარგისა, ნგრევის ველური ჟინით შეპყრობილი თაობა.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე დასელების მეთაურთათვის ნიღბის ჩამოხსნა და საზოგადოებისათვის მათი ნამდვილი სახით წარდგენა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, ილიას, რომელსაც კარგად ესმოდა რა საბედისწერო როლის შესრულება შეეძლოთ მათ ერის ცხოვრებაში, არცერთი დაუშურებია და არც მეორე. მის არქივში აღმოჩნდა რვეული ამონაწერებით 27 წიგნიდან, მათ შორის მარქსის თხზულებებიდანაც, რომელნიც მწერალს ნოე ჟორდანიას უმეცრების საფუძვლიანი მხილებისათვის წაუკითხავს.

ამგვარი სერიოზული შრომის შედეგად დაიწერა წერილები, რომელთაც ცხადად წარმოაჩინეს გერმანიაში განსწავლული ჟორდანიას სრული უმეცრება ისეთ საკითხებშიც კი, რომლებიც მარქსის კაპიტალში იყო განხილული და რომელთა ცოდნითაც თავი პროგრესულ მოღვაწედ მოჰქონდა და საზოგადოების წინაშე ყელყელაობდა. ამ ქარაფშუტულ ყელყელაობას ვითომდაც საზოგადო მოღვაწისა, მისთვის ჩვეული მახვილ-გონივრულობით, ილიამ ზუსტი სახელი შეურჩია: „უმეცრების ფართიფურთი“.

რადგანაც, უმეცრების გამო, ნოე ჟორდანიასა და მისთა მომხრეთა კალამი ილიას კალამთან შედარებით მეტისმეტად ბლაგვი და უძლური იყო, მათ ისეთ უკადრის ხერხს მიმართეს, როგორიცაა ვითომდაც სხვადასხვა პირის მიერ ხელმოწერილ წერილთა ბეჭდვა, რომლებშიც ისინი ისეთ სასახელო მოღვაწესთან, როგორიც ნოე ჟორდანია იყო, „ახალმოსულისაგან“ კამათის შეწყვეტას კატეგორიულად მოითხოვდნენ. საბედნიეროდ საქმის ნამდვილი ვითარება დაინტერესებული საზოგადოებისთვის უცნობი არ დარჩენილა. მალე გაირკვა, რომ ამ წერილებს თავად „კვალის“ თანამშრომლები თხზა-

ვდნენ და მათზე ხელს ხალხს მოტყუებითა და ძალადობით აწერინებდნენ.

1897-98 წლებში ქართული საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ილიას დაბადებიდან 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს გადახდა მოინდომა, რამაც მოწინააღმდეგეთა გესლიანი შენიშვნები გამოიწვია. როგორც სხვა დროს, ამ შემთხვევაშიც საოცრად ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს ხელისუფლებისა და ილიას ოპოზიციური პრესის პოზიციები. თუ „მწყემსი“ და „კვალი“ მისი მოღვაწეობის გაუფასურებას დაცინვით ცდილობდნენ, მთავრობამ იუბილეს გამართვა, რომელიც საიუბილეო კომიტეტს 1898 წლის 9 აპრილს ჰქონდა განზრახული, საერთოდ აკრძალა. ამის თაობაზე იმავე წლის 28 მარტს **სოფრომ მგალობლიშვილი** ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთო თქვენი ილიაო. ახლა ვუცდით გოლიცინის მოსვლას, მაინცა-დამაინც ვაპირობთ კერძოდ გამართვასა, უკეთუ ოფიციალურად ვერ მოხერხდა“.

მთავრობამ ამ საქმის მესვეურებს იმის ნებაც კი არ დართო, რომ იუბილის გადადება პრესაში გამოეცხადებინათ. რაც შეეხება არაოფიცილურ იუბილეს, მისი გამართვა 24 მაისისთვის იყო განზრახული, მაგრამ არც ის შედგა. მთავრობას არ სურდა რედაქტორისადმი „ივერიისა“, რომელიც ოპოზიციური მიმართულებისა გამო 1896 წ. დახურა, ქართულ საზოგადოებას თავისი პატივისცემა და მადლიერება საჯაროდ გამოეხატა. „ივერიამ“ აკრძალვიდან მხოლოდ რვა თვის შემდეგ, 1897 წლის იანვრიდან, იწყო გამოსვლა. 1897-1900 წლებში ილიას მიერ დაწერილი პუბლიცისტური წერილებიდან განსაკუთრებით „მეცხრამეტე საუკუნე“ გამოირჩევა. მრავალ სიკეთეთა შორის, რომელიც კაცობრიობას ამ საუკუნემ შესძინა, ილია ხაზგასმით ერთს გამოყოფდა, კერძოდ, ქრისტიანული იდეალის განხორციელებას ადამიანთა, მიუხედავად მათი წოდებრივი მდგომარეობისა, თანასწორობის შესახებ.

1900 წელს ილიამ ჯანმრთელობის შერყევა იგრძნო და სამკურნალოდ ევროპაში გაემგზავრა. როგორც მისი გერმანელი მეგობარი **არტურ ლაისტი** გვამცნობს, მან გერმანია და ავსტრია მოიარა, დიდი ინტერესით გაეცნო იქაურთა ცხოვრებას, მაგრამ დიდხანს გული მაინც არ დაუდგა, სამშობლო მოენატრა. უცხოეთიდან დაბრუნებულს თბილისის დანახვამ ცრემლი მოჰგვარა. ევროპაში იგი

მომდევნო წელსაც გაემგზავრა, ოღონდ ამჯერად პარიზში. პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მალევე „ივერიის“ რედაქტორობა ცნობილ მოღვაწეს, **ალექსანდრე სარაჯიშვილს**, ჯერ დროებით, ხოლო 1902 წლიდან საერთოდ გადააბარა.

1905 წლის დასაწყისში ფილიპე მახარაძემ, როგორც თვითონვე იგონებს, საშა წულუკიძესა და სხვებთან ერთად, ყოველკვირეული ჟურნალი „მოგზაური“ დააარსა, რომელმაც „წარმატებით“ გააგრძელა „კვალისა“ და „მწყემსის“ ტრადიციები ილიას წინააღმდეგ ბრძოლისა. ჟურნალში ზედიზედ იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც გლეხობასთან ილიას არაადამიანურად სასტიკი დამოკიდებულების მაგალითები იყო მოთხრობილი. დაკვირვებული, გამოცდილი მკითხველისათვის მათი ცილისმწამებლური ხასიათი ძნელი ამოსაცნობი არ იყო. იმ გლეხების სახელები და გვარებიც კი არ იყო დასახელებული, რომელნიც ილიასაგან შევიწროვებასა და ჩაგვრას უჩიოდნენ: „ერთ-ერთ ახალსოფლელ გლეხს უთქვამს“... „გურამიანთკარელ გლეხს მოუყოლია...“ და ა.შ.

ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა, იმდროინდელმა ცნობილმა მოღვაწეებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, როცა ამგვარ ცილისწამებებს პასუხი არ გასცეს, რითაც ილია აიძულეს, თავის დასაცავად თვითონვე აეღო კალამი. ასე დაიწერა მისი ბრწყინვალე წერილი „ნუთუ?“ რომელსაც სათაურს ქვემოთ ეწერა: „პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა!“ წერილი ადასტურებდა, რომ ილიას კალამი ძველებურად უჭრიდა, მაგრამ, უეჭველია, სჯობდა პასუხი ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს გაეცათ, თანაც არა ერთსა და ორს. მტრებს რომ ილიასთან დამოკიდებულებაში საზოგადოების ერთსულოვნება ეგრძნოთ, შესაძლებელია, უკან დაეხიათ და ის, რაც წიწამურთან მოხდა, აღარ მომხდარიყო.

დაცვასა და გამოქომაგებას ვინ ჩიოდა, „ივერიამ“, რომლის სახელიც მისი დამაარსებლისა და 25 წლის განმავლობაში უცვლელი რედაქტორის სახელთან ასოცირდებოდა, „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ წერილს პოპულარიზაცია გაუკეთა იმით, რომ გადმობეჭდა და თანაც თავის გასამართლებლად იმგვარი შენიშვნა დაურთო, რომლის ფარისევლობაც თვალში საცემი იყო, კერძოდ, რედაქცია კითხულობდა: ნუთუ ეს ყოველივე, რასაც გლეხები ილიაზე ჰყვებიან, მართალიაო? გულსატკენი სწორედ ეს „ნუთუ“ იყო, თითქოსდა საზოგადოებისა და თავად „ივერიის“ რედაქციისათვის ილიას პიროვნება გამოსაცნობი ყოფილიყო.

ცოდვით დაზიანებულ კაცობრივ ბუნებას ჩვეულებად ექცა არა მხოლოდ ყველაზე ამაღლებული და მშვენიერი იდეალების ბიწიერებასთან შეუღლება, არამედ იმ მიღწევათა ბოროტი მიზნებისათვის გამოყენება, რომელთაც უდიდესი როლის შესრულება შეეძლოთ კაცობრიობის ისტორიაში, მიზნად რომ მისი ზნეობრივად დახვეწა და ამაღლება დაესახათ. ერთი ასეთ მიღწევათაგანი ბეჭდვითი სიტყვის გამოგონება და მისი გამავრცელებელი პრესა იყო და არის, მაგრამ კაცთა მოდგმის საუბედუროდ, იგი მეტისმეტად საშიშ იარაღად იქცა ამა ქვეყნის ძლიერთა ხელში სიმართლის ჩახშობისა და, რაც კიდევ უფრო უარესია, სიცრუისა და სიყალბის ჭეშმარიტებად გასაღებისათვის. პრესამ გაანადგურა და დაამხო მართლმსაჯულების კანონი, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში შენდებოდა ადამიანური ურთიერთობა და საერთოდ ყოფა-ცხოვრება, სახელდობრ, თუ ამქვეყნიური მიწიერი მართლმსაჯულება ადამიანს დამნაშავედ მანამდე არ მიიჩნევდა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დასაბუთდებოდა, პრესისათვის პიროვნებებისათვის დაუსაბუთებელი ბრალის წაყენება, რითაც მათ თავის მართლებას აიძულებს, იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ ანგარიშსაც კი ვერ უწევს, რა დიდ უზნეობას სჩადის, როცა უდანაშაულო ადამიანს ცილს სწამებს და თავის მართლებას აიძულებს იმის იმედით, რომ, როგორც არ უნდა ცხადყოს თავისი უბრალოება, მის სახელს რაღაც მწიკვლი მაინც შერჩება. თუმცა ილიამ წერილით „ნუთუ?“ ყველას ნათლად დაანახა, რა თითიდან გამოწოვილ ტყუილებზე იყო აგებული „მოგზაურში“ გამოქვეყნებული გლეხებთან მისი სასტიკი დამოკიდებულების ამსახველი წერილი, მაგრამ თავისი როლი მან მაინც შეასრულა შემდგომი მოვლენების საბედისწეროდ განვითარებაში.

სამწუხაროდ, როგორც მაშინდელი, ისე თანამედროვე პრესისათვის ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა დარჩა ილიას შეგონება: „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა... ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა“...[10]

საუკუნეზე მეტი გავიდა წიწამურის ტრაგედიიდან და ქართულმა საზოგადოებამ და მეცნიერებამ ვერა და ვერ შეძლო დასაბუთებული

[10] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1957, გვ. 273.

პასუხის გაცემა კითხვაზე, კერძოდ, რომელი იდეოლოგიის მიმდევარნი და მსახურნი დაუპირისპირდნენ ილიას და რადგან მასთან კალმით გამართულ ბრძოლაში აშკარად დამარცხდნენ, უბირი გლეხების ხელით მოიშორეს იგი. ვფიქრობთ, ამის ძირითადი მიზეზი რადიკალურად საპირისპირო მოვლენებისა და პიროვნებათა შეფასებისას იმ ორმაგი სტანდარტის გამოყენებაა, რომელსაც თვითონ ილიამ „გასაშტერებელი ოსტატობა“ უწოდა.

მართლაც „გასაშტერებელ ოსტატობას“ მოითხოვს ხომ, ეროვნული მოღვაწე უწოდო ილიასაც და მათაც, რომელნიც მას სწორედ ეროვნული იდეოლოგიის ერთგული სამსახურისთვის ებრძოდნენ.

ამგვარი „გასაშტერებელი ოსტატობა“, სამწუხაროდ, არა მის გამომყენებელთა სიბრძნესა და კეთილშობილებაზე, არამედ, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, სამშობლოს ბედის მიმართ სრულ გულგრილობასა და „სულერთია“ დამოკიდებულებაზე მაინც მიუთითებს. იქნებ უკვე დროა, საკუთარი ხალხის შეცდომაში შეყვანასა და მის მოტყუებაზე ავიღოთ ხელი, თეთრი და შავი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ და ყველას და ყოველივეს ის შეფასება მივცეთ და ის სახელი ვუწოდოთ, რასაც ობიექტურად იმსახურებს.



ანზორ თოთაძე

ძალადობა ქალზე?!

მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა საზოგადოების განვითარების პროცესის აუცილებელი პირობაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გენდერულ თანასწორობას შემდეგნაირად განმარტავს: „თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის (გენდერული თანასწორობა) ნიშნავს ქალისა და კაცის, გოგონასა და ვაჟის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალი და მამაკაცი იდენტურნი უნდა გახდნენ, არამედ ის გულისხმობს, რომ ადამიანის დაბადება მამაკაცად ან ქალად არ განსაზღვრავს მის უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობის მიხედვით როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები განიხილება ქალებისა და მამაკაცების ჯგუფების მრავალფეროვნების და არსებული განსხვავებების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ „ქალთა საკითხი“, იგი სრულად მოიცავს მამაკაცებსაც და ქალებსაც, რადგან თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის განიხილება როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი და, ასევე, როგორც მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობა და მაჩვენებელი“.[1]

საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხი მეტად აქტუალურად მიაჩნიათ, რადგან თითქოს არსებობს ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემაშფოთებელი მონაცემები და სხვ.[2] ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის ფაქტები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის, მეტად განვითარებულ,

[1] **გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში. თბ., 2012, გვ. 12.**
[2] **იქვე.**

ცივილიზებულ ქვეყნებშიც არსებობს და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე საქართველოში. რაც შეეხება ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებს, ეს მაჩვენებელი მართლაც გაიზარდა, მაგრამ არა შემაშფოთებლად. შემაშფოთებელი ის არის, რომ დასავლეთის ქვეყნებში 13-15 წლის გოგონების საკმოდ დიდი ნაწილი სექსუალურ ცხოვრებას ეწევა და გოგონები უამრავ პრობლემას აწყდებიან, მათ შორის ჯანმრთელობისა და განათლების მიღების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ სქესობრივი ცხოვრების მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იღებს პირველ სქესობრივ განცდებს ვაჟი და განსაკუთრებით გოგონა. როდესაც გოგონა სექსუალურ კონტაქტს იღებს როგორც ძირითადს, როგორც ადამიანის არსებობის უმთავრეს მიზანს, მაშინ გოგონები მთელ ახალგაზრდულ ენერგიას ვერ იყენებენ თავიანთი პიროვნების სრულყოფისათვის, ვიწროვდება მათი ინტერესების სფერო, ისინი ინტერესს კარგავენ ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ და ყველაფერი ადამიანური მხოლოდ სქესობრივი ცხოვრების გარშემო იყრის თავს. ხშირად სწორედ ამ მოვლენას აქვს ადგილი და ამდენად გამართლებულია ფ. ბუკონის სიტყვებიც: „თავაშვებული ახალგაზრდობა — შეთქმულებაა სიბერის წინააღმდეგ. ჩვენ ძვირად ვზღავთ საღამოთი დილით ჩადენილი ცელქობისათვის“.[3] შემაშფოთებელი სწორედ ეს არის, რაც მთელ დასავლეთ სამყაროს ემუქრება. რაც შეეხება ადრეულ ასაკში გოგონების ქორწინების ფაქტებს, იგი ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ, სულიერ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი კატაკლიზმების შედეგია და გარკვეულწილად უკანასკნელ წლებში კიდეც შემცირდა. ალბათ, ისიც საჭიროა ითქვას, რომ ამ საკითხში ვაჟებისა და ქალების თანასწორობა კარგს არაფერს მოიტანს. ამ მხრივ შექსპირის, რომლის ეპოქას 400 წელი გვაშორებს და ამ ხნის განმავლობაში ადამიანის ცხოვრების ადათ-წესებში ბევრი რამ დადებითად შეიცვალა, გამონათქვამი „თავისუფლება კაცს მეტი აქვს, ვიდრემდე ქალსა“, უდაოდ ყურადსაღებია. ადრეულ ასაკში გოგონების მიერ სქესობრივი ცხოვრების დაწყება უამრავ უარყოფით მოვლენას უკავშირდება და ეს, ზოგიერთ ფაქტთან ერთად, კარგად უნდა გაითავისონ სრული გენდერული თანასწორობის აპოლოგეტებმა.

ამ საკითხებს ჩვენ ქვემოთ ფართოდ შევეხებით, ამჟამად კი ცოტა რამ ისტორიიდანაც გავიხსენოთ.

---

[3] **ციტირებულია: რ. აჯალიანი. ოჯახის ანატომია. თბ., 1989, გვ. 34.**

თანამედროვე ეპოქაში ქალზე ძალადობის ფორმები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეცვლილა და დღესაც ისინი დიდად არაფრით განსხვავდება, თუ უფრო მძიმეც არ გახდა, ძველ სამყაროში თუ შუა საუკუნეებში არსებულ ფორმებთან შედარებით. ძველ დროში სამართალი და მორალი განსაკუთრებით მკაცრი იყო ქალების მიმართ. ქალის ქმრის დაუკითხავად სახლიდან გასვლა საკმარისი მიზეზი იყო განქორწინებისათვის. ასეთი დრომოჭშული ზნეობრივი ნორმების შეცვლის აუცილებლობას მაშინაც კარგად გრძნობდნენ. ყოველივე ეს კიდევ უფრო შორეულ წარსულში იღებდა სათავეს, როდესაც ქალი სრულიად უუფლებო, ქმრის მონა-მორჩილი და მისი ყოველი სურვილის უყოყმანო შემსრულებელი იყო. შემდეგ საოჯახო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში ქალის აუტანელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად ტრადიციული წეს-ჩვეულებითი ნორმების ფარგლებში მოექცა, ღრმად გაჯდა საზოგადოების გონებაში და ხშირად ადამიანებს დღესაც უჭირთ ათეული საუკუნეების წინათ ჩამოყალიბებული ქალზე შეურაცხმყოფელი შეხედულებებისაგან თავის განთავისუფლება.

ძველ რომში კომედიოგრაფი პლავტე ერთ-ერთ კომედიაში მონა ქალს, რომელიც თანაუგრძნობს თავის ქალბატონს, რომელსაც ქმარი ღალატობს, ათქმევინებს: კანონები უსამართლოა ქალების მიმართ. თუ ქალი სახლიდან ქმრის დაუკითხავად გავა, ქმრისათვის ეს საკმარისი მიზეზია განქორწინებისათვის, მას კი შეუძლია სახლში საყვარელი მოიყვანოს. მართლაც, ბევრ რომაელს შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი, თუ ცოლი მისი ნებართვის გარეშე სახლიდან გავიდოდა. ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 304 წელს კონსული სოვა ცოლს იმის გამო გაშორდა, რომ იგი თეატრში მისი ნებართვის გარეშე წავიდა.[4] ასე იყო ძველ საქართველოშიც. „შუშანიკის წამების“ მიხედვით ქალს არ შეუძლია ოჯახიდან ქმრის დაუკითხავად წავიდეს სადმე და ამით ქმრის „ხატი დაამხოს“. ახლაც, თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში, ბევრ ქვეყანაში სახლიდან ქალის დაუკითხავად გასვლა მიუღებლად და ოჯახის ღირსების შელახვად მიაჩნიათ. იორდანიაში მამამ ქალიშვილი რკინის ჯაჭვის ცემით მხოლოდ იმის გამო მოკლა, რომ იგი დაუკითხავად მეგობრებთან ერთად სასეირნოდ გავიდა ქუჩაში. ამჟამად ყოველწლიურად „ოჯახის ღირსების“ დაცვის მიზეზით მსოფლიოში 4 ათას ქალს უსპობენ სიცოცხლეს.

[4] Л. Винничук. Люди, нрави и обычай древней Греции и Рима. М.,1988, с. 164.

გამოდის, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ თანამედროვე მსოფლიოში არაფერი შეცვლილა? შეიცვალა და თანაც ბევრი რამ. ქალი სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება, იგი ესწრაფვის სრულად გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ზრუნავს თავის კარიერაზე, თანდათანობით ქრება დისკრიმინაცია განათლებისა და დასაქმების სფეროში. ყოველივე ამის განხორციელებაში ქალს მრავალ ქვეყანაში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებიც ეხმარება. მიუხედავად ამისა, ქალის მდგომარეობა მაინც მძიმეა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევაში ქალზე ძალადობა არანაკლები უხეში ფორმებით ხორციელდება, ვიდრე ეს იყო კაცობრიობის გარიჟრაჟზე, ბევრი კულტურა უშვებს ძალადობას ქალზე და, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამას თვით ქალებიც ამართლებენ. საუკუნეების მანძილზე წეს-ჩვეულებას შესისხლხორცებული ქალის მდგომარეობის დამამცირებელი და შემლახველი ფაქტები დღესაც გვახსენებენ თავს. ესეც რომ არ იყოს, თვით ბუნებამ შრომის სქესობრივი დანაწილების შედეგად ქალს, როგორც დედას, დიასახლისს გარკვეულწილად შეუცვლელი და აურაცხელი საქმიანობა დააკისრა.

როგორი იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში?

ქართული საზოგადოებრივი ყოფა, რა თქმა უნდა, არ ვითარდებოდა ჩაკეტილად, მეზობელი თუ შორეული ქვეყნების კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად. ძველი სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ურთიერთგავლენის უამრავ მაგალითს ვხვდებით. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებები ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსებაშიც პოულობდა ასახვას, თუმცა სხვადასხვა კულტურას მათში თავისი კორექტივები შეჰქონდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ადათობრივ ნორმებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ ამა თუ იმ გვარში ან თემში დამკვიდრებულ ქცევის საერთო წესს. შემდეგში ადათობრივი ნორმები შეცვალა ადათობრივმა სამართალმა და იგი გამოხატავდა არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი გაბატონებული ნაწილის ინტერესებს. ადათობრივი სამართალი მოქმედებდა კანონთა პარალელურად და იგი კანონმდებლობას უფრო სრულყოფილს ხდიდა. ბევრი ძველი ადათი საკანონმდებლო ძეგლებშიც იქნა გამოყენებული.

კანონმდებლები სარგებლობდნენ მეზობელი ქვეყნების სამართლებრივი ძეგლებით. უძველესმა შუმერულმა და აქადურმა კანონმდებლობამ დიდი გავლენა მოახდინა ბაბილონის მეფის ხამური-

ბის სამართალზე, რომელმაც, თავის მხრივ, ხეთებისა და ებრაელთა სამეფოს კანონმდებლობაზე იქონია გავლენა. როგორც მიუთითებენ, აქადური, შუმერული, ბაბილონური და ასირიული კანონები ადასტურებენ საერთო მესოპოტამურ სამართლის არსებობას III ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რადგან ყველა მათი ძირითადი პრინციპი ზოგადი აზრით ერთი და იგივეა. მიგვაჩნია, რომ ამას საზოგადოების განვითარების საერთო პრინციპებიც უწყობდა ხელს, რაც გარკვეულწილად საზოგადოების მიერ სამართლებრივი მოთხოვნების იდენტურობასაც განაპირობებდა და, ამდენად, ერთი ქვეყნის კანონმდებლების მიერ მეორე ქვეყნის კანონების გამოყენების ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა.

ოჯახის მეტად მყარი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი გვქონდა ძველ საქართველოშიც. ამას ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“. ნაწარმოებში წარმოდგენილია საოჯახო ცხოვრების ცოცხალი სურათები. მართალია, ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალიან შეზღუდულია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს საერთოდ დამახასიათებელია მაშინდელი ცივილიზებული სამყაროსათვის. ქმარი ოჯახის უფროსია და ქალი უფლებრივად მას ემორჩილება.

„შუშანიკის წამების“ მიხედვით ქალს ნება არ ჰქონდა მამაკაცთან ერთად ეჭამა პური. ამავე დროს ნაწარმოებიდან მაინც არ ჩანს, რომ ქალი მთლიანად ქმრის მონა-მორჩილი იყოს, როგორც ეს ზოგჯერ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაშია მიჩნეული. ამ მხრივ ისაა საყურადღებო, რომ შუშანიკი არასოდეს არ უთმობს არაფერს თავის ქმარს და საკმაოდ უხეშად და გამომწვევადაც იქცევა მასთან. გავიხსენოთ თუნდაც ის სცენა, როდესაც შუშანიკმა ქმრის თანდასწრებით სრულიად მოურიდებლად მაზლის ცოლს „ჭიქა... პირსა შეალეწა“. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მისი ღრმა რწმენით, იქ, საიქიოში მოეღება ბოლო მამაკაცისა და ქალის უთანასწორობას, სადაც „არა არს რჩევაჲ მამაკაცისაჲ და დედაკაცისაჲ“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შუშანიკს გათვითცნობიერებული აქვს ამ უთანასწორობის მთელი არსი, ამ უთანასწორობას ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ებრძვის და, მაშასადამე, ზოგადად ასეთი ქალი არც ქმრის მონა-მორჩილად შეიძლება გამოვაცხადოთ. ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამი სიტყვები, რომელიც უფლისაგან მოისმინა ქართველთა განმანათლებელმა ნინო კაბადოკიელმა მცხეთაში წასვლის წინ: „არცა დედაკაცებაჲ არს, არცა მამაკაცებაჲ, არამედ

თქვენ ყოველნი ერთ ხართ“.[5] ეს ამბავი ქრონოლოგიურად IV საუკუნის პირველ მეოთხედში ხდება.

ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახის სიწმინდეს და ასეთ ოჯახს ერისა და ქვეყნის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქალის, როგორც დედის, მეოჯახის, სიწმინდისა და ნამუსის, როგორც სიცოცხლის მუდმივი და განახლებადი წყაროს კულტი აგრერიგად გამოიკვეთა მთელ ქართულ მწერლობაში. ძველქართულ საერო აპოფთეგმურ ლიტერატურაში შემთხვევით როდია ნათქვამი: „ქალისა მზითევი არს სიწმინდე და ნამუსი“. არც ახალგაზრდობისადმი შემდეგი დარიგებაა შემთხვევითი: „ცოლი ღირსი ირჩიე... და მზითვად ბუნება იკითხე მისი“.[6]

ოჯახური ცხოვრების სიწმინდის ასეთი მორალი დამახასიათებელია მთელი ქართული მწერლობისათვის. მაგალითად, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწისა და მწერალ-მწიგნობრის იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“, რომელიც დაწერილია XIX საუკუნის პირველ მესამედში, ვკითხულობთ: „უნდა პირველად შემრთველმან ცოლისამან გამოარჩიოს და გამოიკითხოს პატიოსნობაჲ და აღზრდილობაჲ, სიმშვიდე და გულმართლობაჲ მისი. და ოდეს ცნას ყოველივე ნამდვილად, მაშინ მიიყვანოს იგი შემწედ თვისად, ვინაიდან გამორჩევასა ზედა მისსა არს დამოკიდებულ მომავალი ბედნიერობაჲ მისი და არა კმარა მხოლოდ მშვენიერებისა გამო მიყუანებად ცოლისა თვისისა და შერთვად... ვინაიდგან დღე ყოველ იგი უწესობათა თვისითა აწუხებდეს ქმარსა თვისსა... გაძულებს ძმათა და სხუათა კეთილსმყოფელთა შენთა... განვალს სახლით თვისით და არა ნიადაგ მყოფს მას შინა, არცა იღწვის სახლის მეურნეობისათვის“... ამავე დროს მამაკაცსაც მართებს ცოლისადმი პატივისცემა და პატიოსნების დაცვა: „ნუ წინა აღუდგები ნებასა მისსა უმიზეზოდ, ვინაიდგან იგი მოზიარე არს შენთანა მწუხარებისა და შექცევისა შენისა. შეცოდებაი მისი განმართე მყუდროებით და ნუ ითხოვ მისგან, ვითომც რომ თანამდებ იყოს იგი პატივისცემად შენისა უთავაზობისათვის... იყავ სარწმუნო საწოლისა ქორწინებისასა, რამეთუ იგი არს დედა შვილთა შენთა“.[7] ამდენად, ოჯახურ სიწმინდესა და ერთგულებას მეუღლეები ყოველთვის უნდა უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ.

ძველ საქართველოში ქალის უფლებრივი მდგომარეობის შეს-

[5] **ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 99.**

[6] **სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. თბ., 1969, გვ. 74, 79.**

[7] **იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა, თბ., წიგნი I, 1990, გვ. 506-507.**

ახებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საცოლის ყიდვა „სრულიად უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის, თუმც მეზობელ სომხეთში საცოლე იყიდებოდა და ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს საგანგებო ნოველის გამოცემაც კი დასჭირდა სომხეთში ამ ჩვეულების აღმოსაფხვრელად. სომხეთისაგან განსხვავებით, სადაც გასათხოვარი ქალი მემკვიდრეობით უფლებებს მოკლებული იყო და მშობლების ქონებაში წილი არ ედო, საქართველოში ქალს გათხოვებისას მშობლების ოჯახიდან მზითვი მიჰქონდა. მზითვის ინსტიტუტის გაჩენასთან ერთად ოჯახის საერთო ქონებაში ქალის წილი გამოიკვეთა, რასაც მისი მდგომარეობა ქმრის ოჯახში სრულიად შეცვალა“.[8]

1881 წელს აკაკი წერეთელი წერდა: „ამ რამდენიმე წლის წინეთ ერთს ქართველ თავადისშვილს შესწამეს, რომ ცოლსა სცემსო, ჩააგდეს სამართალში და სულ ვაი აძახეს. ბევრი იყვირა დამნაშავემ... მაგრამ არა ეშველა-რა: აუკრეს ბარგი და გაისტუმრეს იქითკენ, სადაც ცოლების ცემა-ტყეპა ცხოვრების კანონია“.[9] ამ მოვლენამ მთელ საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და იგი საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ისევ აკაკის თუ დავესესხებით, ყველა აღნიშნავდა: „ახია მაგაზედ... შეურაცხყო ქართველობაო! როგორ თუ დედა-კაცს, იმ სათუთსა და სუსტ-ქმნილებას, სცემსო?! ამით ეგ მთელს ქართველობას არცხვენს და სახელს უტეხსო!..“

ზემოთ მოტანილი ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში ქალის ცემა და, როგორც ჩანს, ოჯახში ძალადობის სხვა ფორმები, საზოგადოების პრობლემა ნაკლებად იყო. უფრო ადრე ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციები მკაცრად განსაზღვრავდა ქალის ადგილს საზოგადოებასა და ოჯახში, მისი როლი და თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო, თუმცა ქართული სამართალი ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ბევრად უფრო ლოიალური იყო, ვიდრე მეზობელ და ევროპის ქვეყნებში. მაშინ, როდესაც ევროპაში მე-16 საუკუნეში კუდიანების დევნამ აპოგეას მიაღწია და ზოგიერთი გაანგარიშებით მილიონზე მეტი „კუდიანი“ სიცოცხლეს საშინელი წამებით გამოასალმეს და, ამასთან, მსხვერპლთა 85 პროცენტს ქალები შეადგენდენ, საქართველოში არც ერთი ქალი სიკვდილით არ დაუსჯიათ და ამას არც სამართალი ითვალისწინებდა. ამასთან, საზოგადოების განვითა-

[8] **საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 2006, გვ. 335.**

[9] **ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 30.**

რების სხვადასხვა პერიოდში საბერძნეთში, სომხეთსა და სხვა ქვეყანაში ქმარს შეეძლო მოეკლა ცოლი, შვილიც კი და იგი ამისთვის პასუხს არ აგებდა. სომხეთში ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში პატრიარქალური ოჯახის უფროსს ოჯახური კოლექტივის წევრების მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება გააჩნდა. ოჯახის უფროსს, მამაკაცს, შეეძლო ცოლის, შვილისა და უშვილო ძმის ან დის მოკვლაც კი. ამის შესახებ მოგვითხრობს სირიელი გნოსტიკოსი — ვარდესანი.[10] ქალის მდგომარეობა იმდენად დაკნინებული ჩანს, რომ სანკრისტში ქალისა და საქონლის აღმნიშვნელი სიტყვა ერთი და იგივეა — დარაგავამ.[11] ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურულ და სამართლებრივ ძეგლებში არაფერი გვხვდება. ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვით ქალის პატივი და ღირსება თუ უფრო მეტად არა, არანაკლებ დაცულია, ვიდრე თუნდაც რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის წოდებრივ კუთვნილებას, როდესაც წოდებრივი კუთვნილების იერარქიის შესაბამისად საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან მინიჭებული პატივი და ღირსებაც მატულობდა. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში ქალის ღირსებისა და პატივის დასაცავად ქართული სამართალი წოდებრივ კუთვნილებას მხედველობაში თითქმის არ იღებს. ბატონიშვილი ვახტანგის სამართალში აღნიშნულია: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დაახელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების“,[12] ე. ი. ფაქტობრივად პასუხს არ აგებსო. სამართლის ნორმებით იკრძალებოდა ადამიანის სიტყვიერი შეურაცხყოფაც — გინება, ლანძღვა და ა. შ.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის ბოლოს ან XIV საუკუნის დამდეგს, იცავს ქალის ღირსებას. ბექას სამართლის 23-ე მუხლის თანახმად, თუ ცოლშვილიანმა კაცმა ქმარ-შვილიანი ქალი შეარცხვინოს და პატივიც ახადოს ნებით თუ უნებურად და გამჟღავნდეს, ცოლის ქმარს სრული სისხლის საფასური უნდა გადაუხადოს, ხოლო მთავარმა და პა-

[10] **გ. ნადარეიშვილი. ადამიანის პატივსა და ღირსების დაცვა ქართველი ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ალმანახი, 14, თბ., 2000, გვ. 54.**

[11] **ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბ., 1971, გვ. 573.**

[12] **ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 493.**

ტრონმა ეს კაცი ნიფხვის ამარა და ყელზე თოკმობმული უბანში უნდა ჩამოატაროს. აღსანიშნავია, რომ ქართული სამართალი ქალის მიმართ ბევრად უფრო ლმობიერია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მრუშობა ქალის ნებით მოხდა. კანონმდებლობა ცოლშვილიან კაცს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ქმარშვილიან ქალთან შედარებით. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მრუშ ქალს სრულიად გააშიშვლებდნენ და აიძულებდნენ მრუშობაში თანამონაწილე შიშველი მამაკაცი სასქესო ორგანოზე თოკმობმული ქუჩაში ჩამოეტარებინა. მაგალითად, ასეთი სასჯელი დაუწესებია ლუი IX-ს (XIII საუკუნე) მრუში ქალისა და მრუშობაში თანამონაწილე რაინდისთვის. იგივე ჩვეულება ცნობილი იყო დანიის ქალაქებში XIII-XV საუკუნეებში.[13] კიდევ კარგი, რომ ეს ჩვეულება ისტორიას ჩაბარდა, თორემ თბილისის ქუჩები აივსებოდა შიშველი მამაკაცების სასქესო ორგანოზე თოკმობმული ასევე შიშველი ქალებით, განსაკუთრებით „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „მაესტროს“, „ტაბულასა“ და მათი მსგავსი სხვა ტელევიზიების საეჭვო რეპუტაციის მქონე ჟურნალისტი გოგო-ბიჭების საკმაო ნაწილითა და მათი სტუმრებით, რომლებმაც თავზე წამოიცვეს საქართველოს ზნეობა.

ფეოდალურ საქართველოში სამართლის ნორმების მეშვეობით იკრძალებოდა ქალის შეურაცხყოფა, ქალზე ფიზიკური ძალადობა, მისი ლანძღვა და გინება. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 64-ე მუხლი სწორედ ამ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას: „კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მოეპყრას. და კათალიკოზმაც ასრე იყოს“.[14] სამაგიეროდ, „თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან“.[15] საერთოდ, „დიაცის გინებისათვის“ მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული.

ფეოდალური ურთიერთობების ეპოქისათვის, ვფიქრობთ, მეტისმეტად ლიბერალურად ჩანს ქალის მრუშობისათვის დაწესებული ქართული სამართლებრივი ნორმები. ამ შემთხვევაშიც კი კანონმდებელი ცდილობს ქალის ღირსება და პატივი არ შელახოს. ასეთი სამართლებრივი ნორმების მქონე ქვეყანაში ძნელია, ვისაუბროთ ქალების მიმართ რაიმე მასობრივ ძალადობაზე. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 67-ე მუხლი: ქმარს, „თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა, გაუშვებს, რომე არცარა

[13] **გ. ნადარეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 127.**

[14] **ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 498.**

[15] **იქვე, გვ. 499.**

ამ სოფელს ეკითხვის და არცარა იმ სოფელსა; და თუ უნდა, არ გაუშვებს, ორივე კაცის ხელით არის. მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექმნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს.

მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლაც არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქუს, ნახევარი ანუ უმცროსი; ან არა, რამდენიც შვილი ყუანდეს, შვილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცენ ყველას სწორედ.

რომელიც ზითევი ავის ქნამდის თვითონ დაუხარჯავს თავისის ნებით, იმას ველარ ითხოვს".[16]

ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი ასევე, შეიძლება ითქვას, უზადოა სამართლებრივი ნორმების მოწესრიგების თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცისა და ქალის ოჯახური თანაცხოვრების პირობებში ოჯახს შვილი არ უჩნდება ან კიდევ კაცი ცვედანი ამოჩნდება. ვახტანგის სამართლის 67-ე მუხლის მიხედვით, „უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს, და თუ დააგდებს, სრული სისხლი უნდა მისცეს.

იქნების კაცი ასრე ჭანი (კაცი, რომელსაც შვილის შექმნა არ შეუძლია — ა. თ.) იყოს, რომე ცოლთან წოლა კი შეეძლოს და შვილის შექნა კი არ შეეძლოს, ამისთვინაც არ გაიყრებიან. და თუ სულ ასრე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია, უნდა კაცმან ცოლს დასტური მისცეს სხვის ქმრის შერთვისა.

თუ, ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა, და ან ქორწილის უწინაც, და მერმე ქორწილზედ დამცვედნებულა, არ გაიყრებიან".[17]

მოტანილი სამართლებრივი ნორმა მეტი სიცხადისათვის კომენტარს საჭიროებს. დანაშაულისათვის სასჯელად ძირითადად სისხლის სხვადასხვა რაოდენობით გადახდა იყო დაწესებული. ჩვენს შემთხვევაში თუ კაცი ქალს გაშორდებოდა (უბრალოდ დააგდებდა) ქალისათვის სრული სისხლი უნდა გადაეხადა. ამდენად სისხლის ფასში აისახებოდა ადამიანის პატივი და ღირსება. სისხლის ფასი ან სამართლის წიგნში ან სათანადო სიგელში იყო დაფიქსირებული. როგორც პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი განმარტავს, ეს პატივი და ღირსება მით უფრო მაღალი იყო, რაც უფრო დიდი „სისხლი სდიოდა" ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს. „სისხლის ფასზე" გავლენას ახდენდა ქონება, თანამდებობა, მოყვარულ-

[16] **ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 499.**
[17] **იქვე, გვ. 523.**

ნათესაური კავშირები და სხვ. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის (შედგენილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) ზემოთ აღნიშნულ მუხლში ცოლის უბრალო დაგდებაზე ბევრად უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული („სრული სისხლის მიცემა“), ვიდრე გაცილებით ადრე შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესისა (XIII საუკუნის დასასრული — XIV საუკუნის დასაწყისი) და გიორგი ბრწყინვალის (1335 წელი) სამართლის ძეგლებში, რომლებშიდაც ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის სისხლის ნახევრის გადახდაა დადგენილი. კანონმდებლები ქალის პატივისა და ღირსების დაცვისათვის სულ უფრო ლიბერალურ სამართლის ნორმებს აწესებდნენ.

ზემოთ მოტანილი ფაქტების ანალიზის შედეგად, რა თქმა უნდა, ისეთი დასკვნა არ შეიძლება გამოვიტანოთ, რომ გენდერული თანასწორობა საქართველოში იდეალური იყო. ქალის უფლებრივი მდგომარეობა, მამაკაცებთან შედარებით, დამცირებულად განიხილებოდა და საზოგადოებრივი შეგნება ჯერ კიდევ არ იყო მზად თამამად ემსჯელა ამ მეტად მტკივნეულ პრობლემაზე. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ქალი ქმრის მონა-მორჩილი, მისი ყოველგვარი სურვილის უსიტყვო აღმსრულებელი იყო. სამართლებრივი ნორმების გარდა, ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჰაგიოგრაფიული და საერო ლიტერატურა, იტალიელი მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების ნაშრომები. მაგალითად, ფრანგი კონსული გამბა, რომელმაც 1820-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავს: „ჩვენი მასპინძლის გვარი იყო ჯორჯიკია. მან თავისი მეუღლე წარმოგვიდგინა — მაღალი, ტანწერწეტა და მეტად მშვენიერი ქალი... ოცდაექვსი წლისა ძლივს იქნებოდა... იგი ძალზე თავაზიანად მოგვესალმა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მათთან დავრჩით, თამამად ეჭირა თავი, რამაც მეტისმეტად გაგვაოცა“.[18] ასეთივე აზრისაა ქართველი ქალების შესახებ იტალიელი მისიონერი კასტელი და სხვ. რუსთაველმა კი დაგვიხატა „უთვალავი ფერით“ შემკული მშვენიერი სამყარო, სადაც ქალი ყოველმხრივ სრულყოფილ ადამიანად არის მიჩნეული, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო შუა საუკუნეების ისტორიაში.

მიუხედავად ყველაფრისა, ამჟამად, ერთხელ კიდევ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, „რუსთავმა 2“-მა და მისმა მსგავსმა ტელევიზიებმა ერთი ამბავი ატეხეს — საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა მძვინვარებს, სამართალდამცავი ორგანოები კი ამ მძიმე

[18] ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბ., 1987. გვ. 120.

პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებენო. ისინი განსაკუთრებით ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ აქტიურდებიან. რამდენიმე თვის წინათ ყოფილმა ქმარმა ილიას უნივერსიტეტში ლექტორ მეუღლეს მიაკითხა, ლექციიდან გამოიყვანა, იქვე იარაღის გასროლით მოკლა და თვითონაც თავი მოიკლა. ახლახან კიდევ თელავში შემზარავი ფაქტი მოხდა: მამაკაცმა ქალი სასიკვდილოდ დაჭრა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. ორივე შემთხვევაში ფსიქიკურ დარღვევასთან გვაქვს საქმე და სამართალდამცავი ორგანოები არაფერ შუაშია. არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები, განსაკუთრებით ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია და კახა კოჟორიძე, როდესაც მძიმე ეროვნული პრობლემებია გადასაწყვეტი, ხმას არ იღებენ, ასეთ შემთხვევაში კი კაკანს მოჰყვებიან და ყველაფერს მთავრობას აბრალებენ. და როდესაც ჩვენ ჯიუტად ვნერგავთ გენდერული სრული თანასწორობის იდეას, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, ეს ყველაფერი ოჯახის კრიზისს ხომ არ გამოიწვევს, რომლის ნიშნები თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში სულ უფრო აშკარად იკვეთება. ბუნებამ ქალს სიცოცხლის გაგრძელების ყველაზე დიდი მისია დააკისრა. ბავშვის დაბადება, „ბუნების უმშვენიერესი აქტი“, როგორც მას ოსი ხალხის დიდმა შვილმა კოსტა ხეთაგუროვმა უწოდა, არსთა გამრიგემ ქალს დააკისრა და ჩვილის მოვლის პრიორიტეტიც მასვე არგუნა წილად. გოეთეს სიტყვები — „მარად ქალური გვიზიდავს ჩვენ“, — სულაც არ ნიშნავს ქალის მთავარ დანიშნულებასა და ფუნქციებში უცერემონიოდ შეჭრას. ჩვენს წინაპრებს ოჯახი ერის, ქვეყნის ბურჯად, ხოლო ქალები ჩვენი ცხოვრების ჭახრაკებად, ეროვნული სულიერი ცხოვრების დამცველებად, ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მთავარ ძალად მიაჩნდათ და მათდამი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდნენ, მაგრამ ამავდროულად ისინი არც ასე უთავბოლო გენდერული თანასწორობის მომხრენი იყვნენ.

ცხოვრება ისე როდია მოწყობილი, რომ მეუღლეთა შესაძლებლობები იდეალურად დაემთხვეს ერთმანეთს. ბუნებამ მეტი შესაძლებლობები მამაკაცებს უბოძა და ისიც უნდა შევძლოთ, რომ ამ უპირატესობებისადმი პატივისცემა ვისწავლოთ, უპირველესად ოჯახში, რათა ოჯახური ცხოვრების ჰარმონია დისჰარმონიად არ გადაგვექცეს. უფალმა ღმერთმა ამ ცხოვრებაში ქალსა და მამაკაცს თავ-თავისი როლი დააკისრა და ნუ ვეცდებით ამ როლების შესრულებაში ხელოვნურად ჩარევას. თავის დროზე ცნობილი რუსი

მეცნიერი ივანე მიჩურინი ამბობდა: ჩვემ არ უნდა დაველოდოთ წყალობას ბუნებისაგან, ჩვენ უნდა წავართვათ იგი მას. ამ წართმევამ რა შედეგიც მოიტანა, არაერთხელ დავინახეთ და ვიგემეთ.

მამაკაცისა და ქალის შრომას შორის დიდი განსხვავებაა. მამაკაცის ფსიქიკა ისეა მოყწობილი, რომ იგი უფრო მეტად შემოქმედებითი შრომისათვის არის მოწოდებული, ხოლო ქალი მონოტონურ შრომასაც სიამოვნებით ასრულებს. მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულება სხვადასხვაა სხვადასხვა შრომისადმი. ხშირად მკვეთრად გამიჯნულია პროფესიები სქესის მიხედვით. ვერსად ნახავთ კონვეიერზე მომუშავე მამაკაცს, სადაც შრომა ერთფეროვანია და მონოტონური. საბავშვო ბაგა-ბაღშიც მხოლოდ ქალებია დასაქმებული, მედიცინის დებადაც მხოლოდ ქალები მუშაობენ, მაგრამ სამაგიეროდ ვერსად ნახავთ ტელევიზორის, სხვადასხვა ტექნიკის შეკეთებაზე დასაქმებულ ქალს, თუმცა ეს სამუშაოები კარგად ანაზღაურებადია და არც მაინცდამაინც მძიმე. ქირურგების დიდი უმრავლესობაც მამაკაცები არიან და ა. შ.

ამასთან, არსებობს სხვადასხვა პროფესია, სხვადასხვა ხასიათის შრომა, რომლებიც მოითხოვენ დიდ ფიზიკურ ძალას და ამტანობას. ასეთ პროფესიებს, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცები ეუფლებიან, მძიმე ფიზიკურ შრომასაც მამაკაცები ასრულებენ. სამაგიეროდ, შედარებით მონოტონური, მაგალითად, ოპერატორის და მოლარის, შრომა, რომელსაც განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ საბანკო სექტორში, ასე ვთქვათ, ქალების მიერაა დაჯაჯშნული. ისტორიულად ქსოვაც მხოლოდ ქალების საქმე იყო. შემთხვევით არ უთქვამს დიდ რუსთაველს: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“. ასეთი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მამაკაცი ბუნების მიერ უფრო შემოქმედებითი, ახლის ძიების უნარით არის დაჯილდოებული. მსოფლიოში ცნობილი კონსტრუქტორები, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს ტექნიკაში, მამაკაცებია. აქ იმის აღნიშვნაც ღირს, რომ მოაზროვნე ადამიანის ფორმირებიდან მოყოლებული, რაც სულიერი ცხოვრების საგანძური შეიქმნა, მამაკაცის ჭკუისა და გონების ნაყოფია. დიდი ტექნიკური მიღწევები, კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის ნაწარმოებები, ხუროთმოძღვრების ძეგლები, უკლებლივ მამაკაცების შექმნილია, მათი დამსახურებაა და იქ უშუალოდ ქალის ხელი საერთოდ არ ურევია, თუმცა ქალის თანადგომის, მათი როგორც შთაგონების წყ-

აროს გარეშეც, ღირებული არაფერი შექმნილა.

რაც ზემოთ აღვნიშნეთ, ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ გენდერული თანასწორობის მომხრე არ ვიყოთ, სქესთა თანასწორუფლებიანობას პატივს არ ვცემდეთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თანასწორობა ყოველდღიური სადილის დამზადებაზე, ჭურჭლის რეცხვაზე, სახლის დალაგებაზე, პროდუქტების ყიდვაზე, ჩვილისათვის პამპერსის გამოცვლაზე არ უნდა დავიყვანოთ. განათლებული საზოგადოება ამ სფეროში მეუღლეთა ურთიერთობას ხმაურის გარეშეც მიაღწევს. ის რომ, მაგალითად, გამოკვლევის შედეგად საფრანგეთთან შედარებით საქართველოში კვლავ ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ტრადიციული გენდერული ურთიერთობები ყოველდღიურ ოჯახურ ცხოვრებაში (საქართველოში ყოველ მეხუთე შინამეურნეობაში მამაკაცი დომინირებს საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაშინ, როდესაც საფრანგეთში ასეთი ოჯახების წილი არ აღემატება 7 პროცენტს[19]), ამით ქვეყანა არ იქცევა. აქ, ალბათ, ღირს გავიხსენოთ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს-მორალისტის, ისტორიკოსის პლუტარქეს მიერ დაწერილი სპარტელი კანონმდებლის ლიკურგეს ბიოგრაფიიდან ერთი ადგილი: „ერთი კაცი ლიკურგეს ურჩევდა, სპარტაში დემოკრატია დაამყარეო“. ლიკურგემ ამ კაცს უპასუხა: „ჯერ შენ სცადე, შენს ოჯახში დაამყარო დემოკრატიაო“.[20] თუ საოჯახო საკითხების გადაწყვეტაში უმეტესად მამაკაცი დომინირებს, მით უმეტეს მეუღლეთა შორის ასაკობრივი სხვაობისა და განათლების დონის პირობებში (როდესაც მამაკაცი მეუღლეზე ასაკით შესამჩნევად უფროსია და განათლების დონით მაღალი), ეს ოჯახის ნორმალური ფორმირების, განვითარებისა და საზოგადოებისათვისაც უკეთესია.

ჩვენ დავახასიათეთ და გავაანალიზეთ ქალებზე მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტები. მაგრამ ძალადობას მამაკაცებიც განიცდიან ქალების მხრიდან და ამის მომსწრენიც ვართ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა ამ პრობლემას არავინ იკვლევს. ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევებში მამაკაცებზე ძალადობის ფაქტებს გვერდი აქვს აცილილი, არადა შეიძლება ზოგიერთი ძალადობის სახეობა, კერძოდ, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც მოიცავს ლანძღვა-გინებას, მუქარას, ფსიქოლოგიურ

[19] **ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში, თბ., 2010, გვ. 28.**

[20] **პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ტ. I, თბ., 1957, გვ. 33.**

დაშინებას და ფიზიკური ანგარიშსწორების მიმანიშნებელ ჟესტიკულაციას, არანაკლებ გავრცელებული იყოს. ეს განსაკუთრებით შეეხება ბოლო წლებს, როდესაც ბევრი ოჯახი სიდუხჭირეში ცხოვრობს და, ამასთან, ოჯახში ძირითადი შემომტანი ქალი გახდა, რომელსაც ქანგამცლელი შრომა უხდება დილიდან საღამომდე. ამასთან, ტელევიზიის არხები ხშირად აჩვენებენ ისეთ ფილმებსა და პროგრამებს, რომელშიც ქალები ეწევიან აღვირახსნილ ცხოვრებას და ქმრებისა თუ პარტნიორების მიმართ არავითარ უშვერ გინებასა და ლანძღვას არ ერიდებიან ფიზიკური ძალადობის ჩათვლითაც კი. ზოგჯერ ოჯახში ქალის დაბალი განათლების დონეც საკმარისია ასეთი სცენების მოსაწყობად, კერძოდ, მაშინ როდესაც, ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს, „დიაცს ჭკვა ენაზე აკრავს, ფიქრი თმებშია წასული“.

უკანასკნელ ხანს ბეჭდვითი და განსაკუთრებით ელექტრონული მედიასაშუალებები ერთხმად აღნიშნავენ საქართველოში გენდერული უთანასწორობისა და საერთოდ ქალების მიმართ გაზრდილი ძალადობის შესახებ. განსაკურებით ამ მიმართულებით, როგორც აღვნიშნეთ, აქტიურობენ არასამთარობო ორგანიზაციები, რადგან თუ მათ პრობლემა მწვავედ არ წარმოაჩინეს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს არავინ დააფინანსებს. ამის შედეგად ჩვენ გვიქმნიან არასწორ, ხშირად მეტად უაღრესად მძიმე წარმოდგენას ქვეყანაში ქალების მდგომარეობის შესახებ — თითქოს მსოფლიოში ქალების მდგომარეობა ჩვენთან ყველა ქვეყანაზე წარმოუდგენლად მძიმე იყოს. ამ საკითხში ძნელია, არ დავეთანხმოთ ბატონ ლევან ვასაძეს: „ოჯახური ძალადობის თემატიკის პედალირება არასამთავროებისა და მედიის მიერ არის წინაპირობა იმისათვის, რომ გააძლიერონ ფაშისტური იუვენალური იუსტიცია და სოცსამსახურის როლი და დაასუსტონ ოჯახები. ოჯახური ძალადობა ხდება, მაგრამ მისი პედალირება და პროპაგანდის როლში აყვანა და ამის შედეგად სოცმუშაკების როლის გაძლიერება, არის ძალიან ცბიერი საერთაშორისო პროგრამის ნაწილი“.[21] აღსანიშნავია, რომ ჩვენთან ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები არასამთავრებო ორგანიზაციების მიერ ჯიუტად განზრახ დაჩემებული მოსაზრებების საწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს. კერძოდ, 2006 წელს მოსახლეობის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ეროვნული ინსტიტუტის და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქა-

[21] **გზ. „ასავალ-დასავალი“, №8, 2015.**

რთველოს ოფისის მხარდაჭერით ჩაატარა გამოკვლევის „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ პირველი ტალღა. საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში გამოკითხულ იქნა 18-79 წლის ათი ათასი რესპოდენტი, მათ შორის 4405 მამაკაცი და 5595 ქალი. 2009 წელს ჩატარდა გამოკვლევის მეორე ტალღა. 2006 წელს გამოკითხული ათი ათასი რესპონდენტიდან მოიძებნა და განმეორებით გამოიკითხა 8303 რესპონდენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოკვლევა პანელური ხასიათის იყო — მსგავსი პროგრამით გამოიკითხა ერთი და იგივე რესპონდენტები.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის მხრივ კატასტროფული ან რამდენადმე მძიმე ვითარებაა, როგორც ეს სურთ წარმოაჩინონ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა, მათი ჯიბის ტელევიზიებმა და ნაციონალების მხარდამჭერმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა მიზანია არევ-დარევა გამოიწვიონ და გაურკვევლობა დათესონ საზოგადოებაში.

ოჯახში გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მამაკაცისა და ქალის თანაბარი მონაწილეობა ბიუჯეტის მართვაში. აღნიშნული გამოკვლევის მიხედვით, თანაბარი უფლებებით სარგებლობენ საქართველოში ნახევარზე მეტ ოჯახებში მეუღლეები ოჯახის ბიუჯეტის ხარჯვაში, თუმცა ქვეყნის ყოველი მეხუთე ოჯახში მთელ ფულად შემოსავალს ქმარი განაგებს.

გენდერული თანასწორობის ხასრისხს შესამჩნევად განსაზღვრავს, აგრეთვე, საოჯახო საკითხებში მამაკაცისა და ქალის მონაწილეობა. ამ შემთხვევაშიც ვერ ვიტყვით, რომ გენდერული უთანასწორობის პრობლემები შესამჩნევად იჩენს თავს განსაკუთრებით საოჯახო საყიდლების, ბავშვების აღზრდისა და თავისუფალი დროის გატარების სფეროებში. მაგალითად, საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხულ რესპოდენტთა 36,4 პროცენტის აზრით, ქალებსა და მამაკაცებს შორის სრული თანასწორუფლებიანობაა, ანალოგიური გამოკვლევის მიხედვით, საფრანგეთში იგივე მდგომარეობაა (36,6 პროცენტი). ამასთან საქართველოში ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებისას დომინირებს ქალები — 41,3 პროცენტი, ხოლო საფრანგეთში — 56,0 პროცენტი, მამაკაცების დომინირება საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისად 22,3 და 7,4 პროცენტით გამოიხატება.[22] ამრიგად,

[22] **ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში თბ., 2010, გვ. 6, 27.**

გამოკვლევის მიხედვით, „გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალის როლის თვალსაზრისით საქართველო დიდად არ ჩამორჩება საფრანგეთს. ორივე ქვეყანაში ყველაზე მეტად არის გავრცელებული ისეთი ოჯახები, სადაც ქალი დომინირებს საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ან პარტნიორები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ყველა საოჯახო საკითხზე“.[23]

საქართველოსა და საფრანგეთში შედარებით საგრძნობია განსხვავება საოჯახო საქმიანობის შესრულებაში ქალისა და მამაკაცის მონაწილეობის მიხედვით. კერძოდ, საქართველოში ყოველდღიურ სადილს ამზადებს გამოკითხულ რესპოდენტ ქალთა 97,9 პროცენტი, ჭურჭელს რეცხავს 98,7 პროცენტი, ხოლო სახლს ალაგებს 98,0 პროცენტი. ანალოგიური მაჩვენებლები საფრანგეთში შესაბამისად 71,0; 43,0 და 54,0 პროცენტს უდრის. სამაგიეროდ, საქართველოში პროდუქტებს ყიდულობს ქალების 43,4 პროცენტი, საფრანგეთში — 53,0 პროცენტი, გადასახადებს იხდის საქართველოში ქალების 22,5 პროცენტი, საფრანგეთში — 45,0 პროცენტი, ოჯახის გართობა-დასვენებას ორგანიზაციას უკეთებს საქართველოში ქალების 13,4 პროცენტი და საფრანგეთში — 27,0 პროცენტი.[24] მიუხედავად ამისა, არა გვგონია ზემოთ აღნიშნული უთანასწორობები დიდ ცოდვად ითვლებოდეს საქართველოსა და საფრანგეთში.

გენდერული თანასწორობის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეუღლეთა და, ან როგორც ამჟამად ამბობენ, პარტნიორთა (რაც ოჯახის კრიზისის მომასწავებელია) შორის ასაკობრივი განსხვავება. როდესაც მამაკაცი გაცილებით უფროსია ქალზე, მაშინ იგი უფრო ხშირად ერთპიროვნულად წყვეტს საოჯახო ბიუჯეტის მართვის საკითხებს და იღებს ოჯახის ყოველდღიურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივი და მართებულია. ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო სწორი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება გენდერულ უთანასწორობაზე ვისაუბროთ. აქ იქნებ მოლიერის სიტყვების გახსენებაც ღირდეს: „ქალებს ძალიან უყვართ, როცა მათ ბევრს ახარჯავენ“. მეუღლეთა სხვადასხვა განათლების დონის პირობებშიც შეიძლება იგივე ითქვას. ასე რომ, გენდერული უთანასწორობა ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მისაღებიც არის. ამდენად, ყოველთვის როდია მოსახერხებელი და მისაღები

[23] იქვე, გვ. 27.
[24] იქვე, გვ. 31,33.

სრული გენდერული თანასწორობა. ასეთი სხვა ფაქტებიც საკმაოდ არსებობს. მეუღლეებსა და საერთოდ, ოჯახის წევრებს შორის განათლების დონისა და ინტელექტის საგრძნობი განსხვავების პირობებში გენდერული თანასწორუფლებიანობაზე, საოჯახო საქმიანობის შესრულებაში ქალისა და მამაკაცის თანაბრად მონაწილეობაზე შეიძლება აბსურდამდეც მიგვიყვანოს. მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ, როდესაც ქმარი საკმაოდ უფროსია ცოლზე, რაც არც ისე იშვიათი მოვლენაა, ოჯახური შრომის მთელი სიმძიმე ქალს აწვება კისერზე.

ქალთა ძალადობაზე დაბალი მაჩვენებლები გამოავლინა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ფუნდამენტურმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა საქართველოში 2010 წელს 15-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებში. ინტერვიუ აღებულ იქნა 6292 ქალისაგან ქვეყნის ყველა რეგიონში. კვლევა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად. კვლევისას ტექნიკური დახმარება კვლევის დიზაინის, შერჩევის, კითხვარის შემუშავების, ტრენინგის, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების დავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა გაწია. „კვლევამ გამოავლინა ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის დაბალი მაჩვენებლები... უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში“.[25] კერძოდ, გამოკითხული ქალების მხოლოდ 1,4 პროცენტმა აღნიშნა პარტნიორისაგან ფიზიკური ძალადობის, ხოლო 0,5 პროცენტმა სქესობრივი ძალადობის შემთხვევები. სიტყვიერი ძალადობის მაჩვენებელი 8,4 პროცენტს უდრიდა, ქართველებში კი — 7,7 პროცენტს, რაც გენდერული თანასწორობის სტატუსის მიხედვით მაღალი გენდერული თანასწორობის მაჩვენებელია.[26]

2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ გამოავლინა, აგრეთვე, ცოლისა და ქმრის როლი და პასუხისმგებლობა ოჯახში. რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ — 71,5 პროცენტმა აღნიშნა, რომ მეუღლეები ერთად ინაწილებენ ოჯახურ მოვალეობებს (ეთნიკური კუთვნილების მიხედვით: ქართველი — 73,5 პროცენტი), გამოკითხულ ქალების ნახევარმა — 49,6 პროცენტმა კი განაცხადა, რომ ოჯახში საბოლოო გადაწვეტილებას ქმარი იღებს

[25] **ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2000. თბ., 2012, გვ. 357.**

[26] **იქვე, გვ. 362, 365.**

(ქართველი — 47,8 პროცენტი, სხვა — 60,3 პროცენტი), ქმარს სურს ყოველთვის იცოდეს სად არის მისი მეუღლე — 31,8 პროცენტი (ქართველი — 30,0 პროცენტი, სხვა — 43,0 პროცენტი), ქმარი ეჭვიანობს, რომ ცოლი სხვასთან ღალატობს — 4,2 პროცენტი (ქართველი — 3,5 პროცენტი, სხვა — 8,1 პროცენტი).

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები თითქმის ყველა კვლევაში განხილულია მეტად დაწვრილებით. უამრავი და ხშირად თვით სტატისტიკოსებისათვისაც კი ძნელად გასაგები ცხრილები აბრკოლებენ მის გამოყენებას. ამიტომ არის, რომ კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს თითქმის არავინ იყენებს. ანალიზიც არ არის სრულყოფილი. ერთ-ერთ კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში „7-17 წლის ასაკის ბავშვების 59 პროცენტი სწავლასა და მუშაობას ერთმანეთს უთავსებს. მათი უმრავლესობა მიჩვეულია საკუთარ სახლში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობას“.[27] გაუგებარია, რას ნიშნავს საკუთარ სახლში ანაზღაურების გარეშე მუშაობა. თუ ბავშვი სოფლად მშობლებს ეხმარება, ვთქვათ, ბოსტნეულის დარგვასა და მოყვანაში, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ბავშვის მოთხოვნილებაცაა, იგი იძენს შრომით ჩვევებს და გაუგებარია, რა მიჩვევაზე და ანაზღაურებაზეა საუბარი. რაც მთავარია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში 7-17 წლის ასაკის ბავშვების 59 პროცენტი სულაც არ უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და მუშაობას.

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლის შედეგად, ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ „საქართველოში შედარებით დაბალი რაოდენობა აღიარებს მათ მიმართ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის განხორციელების ფაქტს“,[28] ეს იმასაც ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალადობის მაჩვენებლები ქვეყანაში დაბალია, რადგან იმავე გამოკვლევებში სწორადაა მითითებული, რომ „მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ადამიანები ინფორმაციის გამჟღავნებას ერიდებიან“,[29] ე. ი. ინფორმაციის სრულად მოპოვება სქესობრივი ძალადობის შესახებ შეუძლებელია. საერთოდ ადამიანს, და მით უმეტეს ქალს, არ ეპიტნავება მის ცხოვრებაში ვინმეს ჩახედვა (თუნდაც ეს ანონიმურად ხდებოდეს), ყველაფრის გამომზეურება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ინტიმური ცხოვრების სფეროს, ან ღალატს შეეხება. ცოლქმრული ცხოვრება

[27] ქალები და ბავშვები საქართველოში: სიტუაციური ანალიზი. თბ., 2000, გვ. 109.
[28] ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის... გვ. 39.
[29] იქვე, გვ. 48.

და, მით უმეტეს, ინტიმური ისეთი ფაქიზი სფეროა, რომ საჩოთიროა ყველაფრის თქმა და ყველაფერზე ლაპარაკი, რაც ზოგჯერ პირადი თავმოყვარეობის შელახვასაც გულისხმობს. აქ, ალბათ, ღირს ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მონათხრობიც გავიხსენოთ ერთი რომაელის შესახებ, რომელიც საყვედურებით აავსეს ყოველგვარი ღირსებით შემკულ, განათლებულ, ლამაზ და მდიდარ მეუღლესთან გაყრის გამო. რომაელმა ამის საპასუხოდ ფეხი, რომელზედაც ლამაზი და მოხდენილი ფეხსაცმელი ეცვა, გამოსწია და გარშემო მყოფთ მიმართა: ეს ფეხსაცმელიც ახალი და კარგია, მაგრამ არავინ იცის სად მიჭერსო.

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლის დროს ზოგიერთი კითხვა სრულიად უადგილოდ და არაფრის მომცემად მიგვაჩნია. ერთ-ერთი კითხვა ითვალისწინებდა იმ მიზეზების შესწავლას, რომელთა გამოც ქალს შეუძლია მეუღლეს უარი უთხრას სქესობრივ კავშირზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ცოლს არ სურს. გავბედავ და ვიტყვი, რომ საქმე სწორედ ისეა, როგორც დავით გურამიშვილი აღნიშნავს „ქაცვია მწყემსში“: „ქმარს რომ უნდოდეს მასთან მიდება, ეტყვის: დამეხსენ, მე არ მინდება“.[30] მაგრამ დავით გურამიშვილთან ისეთ ცოლზეა საუბარი, რომელიც „მალვითა, ფარვითა, ქურდულად პარვითა უცხოს კი მისცეს“, მთავარი აქ ისაა, თუ რატომ უვარდებით რესპონდენტს ლოგინში. ქართული სიბრძნე ამბობს: „ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო“. და თუ ქმარმა მრავლისმომსწრე ლოგინში მეუღლე მრავალჯერ ნაცნობ საკითხზე ცოტა დაჟინებითაც შეაწუხა, მით უმეტეს, „როცა სისხლი დუღს, ენა ფიცით არ იღლება“ და თუნდაც სურვილის გარეშე დაითანხმა, ეს უკვე ცოლის გაუპატიურებად ითვლება. საინტერესოა, რას დაარქმევენ ამ გამოკვლევის ავტორები საპირისპირო შემთხვევას.

„ცოლის გაუპატიურებასთან“ დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია კოსმონავტ ნილ არმსტრონგთან, რომელმაც მსოფლიოში პირველმა დაადგა ფეხი მთვარეზე. დიდი ხნის წინათ წაკითხული ეს ფაქტი ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა. ნილ არმსტრონგის ახლო ნაცნობი შემთხვევით ფარულად შეესწრო მისი მეზობელი ვოლსკის ცოლთან საუბარს. ვოლსკი ცდილობდა ცოლი სქესობრივ კავშირზე დაეყოლებინა, მაგრამ მეუღლის მხრიდან მტკიცე უარი მიიღო: სანამ კაცს ფეხი მთვარეზე არ დაუდ-

[30] **ქართული მწერლობა. ოცდაათ ტომად, ტ. VII, თბ., 1989, გვ. 556.**

გამს, ამაზე არც კი იოცნებოო. ნილ არმსტრონგმა ეს ამბავი ნაცნობის მხრიდან იცოდა და როდესაც იგი მთვარიდან დედამიწაზე დაბრუნდა, მისი პირველი სიტყვები იყო: წარმატებას გისურვებთ, ბატონო ვოლსკი!

ის, რის შესახებაც ზემოთ ვისმჯელეთ, უშუალოდ უკავშირდება სქესსა და სექსუალურობას. მამაკაცი და საერთოდ მამრი უფრო მეტად ავლენს ინიციატივას სექსში. ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს დევიდ მაიერს მოყავს ამის დამადასტურებელი ფაქტები. 177 გამოკვლევაში, რომელმაც მოიცვა 130 000 კაცი, გაირკვა, რომ მამაკაცებს, ქალებთან შედარებით, გაცილებით ხშირად აქვთ შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და ასევე ხშირად ეწევიან მასტურბაციას.

ამერიკაში 1996 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით 251 000 პირველკურსელიდან ვაჟების 54 და გოგონების მხოლოდ 32 პროცენტის აზრით, „თუ ორ ადამიანს ერთმანეთი ნამდვილად მოსწონთ, მაშინ მათთვის არ არის პრობლემა დაამყარონ სქესობრივი ურთიერთობა, თუნდაც ისინი ერთმანეთს ძალიან ცოტა ხანი იცნობდნენ“. ამასთან, 18-59 წლების ასაკის 3432 ამერიკელის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალების 19 პროცენტი და მამაკაცების 54 პროცენტი „ყოველ დღე“ ან „რამდენჯერმე დღეში“ ფიქრობს სქესობრივ ურთიერთობებზე.[31]

გენდერული სხვაობა სექსუალურ განწყობაში გავლენას ახდენს მათ ქცევაზეც. მამაკაცები, მათ შორის დაოჯახებულებიც, გაცილებით ხშირად არიან სქესობრივი ურთიერთობების ინიციატორები, ვიდრე ქალები. როგორც მიუთითებენ, ცხოველთა სამყაროშიც მამრი უფრო აქტიურია სექსუალური პლანით და ნაკლებად მომთხოვნი პარტნიორის არჩევაში.[32] საერთოდ, სექსუალურ განწყობაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და მამაკაცებისა და ქალების სექსუალური განწყობა შეუძლებელია ყოველთვის იდეალურად დაემთხვეს ერთმანეთს. თავი რომ დავანებოთ მამაკაცისათვის ბუნებით მინიჭებულ სექსუალურ აქტიურობას, სულ უფრო დაძაბული ცხოვრების რიტმიც აღარ იძლევა ამის საშუალებას. ამიტომაა, რომ სექსოლოგებს სექსუალური ურთიერთობებისათვის დროის ყველაზე უკეთეს მონაკვეთად დილა მიაჩნიათ.

დასკვნის სახით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისტორიულად საქართველოში სამართლებრივი ნორმები, ადათები, ტრადიციები

[31] Давид Майерс. Психология, Минск, 2001,с. 512.

[32] Давид Майерс. Социальная психология, Санкт-Петербург, 2001, с. 237.

და თვით ცხოვრების წესი ბევრად უფრო იცავდა ქალის ღირსებასა და პატივს, ვიდრე რიგ მეზობელ თუ ევროპის ქვეყნებში, რა თქმა უნდა, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცნობიერების ფარგლებში. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული გამოკვლევებიც გვიჩვენებს, რომ ქალებზე ძალადობის მაჩვენებლები დაბალია. მიუხედავად ამისა **საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არ ცხრებიან და მოვლენას ისე წარმოაჩენენ, თითქოს ქალების ჩაგვრისა და მათზე ძალადობის მეტი საქართველოში არაფერი ხდება, რათა პრობლემა შექმნან და მსუყე დაფინანსებაც მიიღონ**. მართლაც, ასიათასობით ღირებულების, თუ მილიონობით არა, გრანტებს ღებულობენ და სამაგიეროდ ისინი დამფინანსებლების ინტერესებს კბილებით იცავენ ეროვნული ინტერესების საზიანოდ. ამიტომ არის, რომ ასეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მაგალითად, გიგაურები, ლომჯარიები, კოჟორიძეები, ეროვნული სატკივარის შესახებ კრინტს არ ძრავენ, პირში წყალს იგუბებენ და მხოლოდ გარეშე ძალის ინტერესების ყურმოკრულ დამცველებად გვევლინებიან. ისინი ყოველდღიურად ტელევიზიის ერთი არხიდან მეორე არხზე დარბიან და ცდილობენ, ყური გაუხედნონ მაყურებელს ქართული სულიერების, ქართული ცხოვრების წესის დაკნინების მიზნით. მათი ასეთი სირბილი წააგავს ერთ ამბავს, რომელიც გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერს ერნესთ რეზერფორდს გადახდა თავს. იგი „საღამო ხანს თავის ლაბორატორიაში მიბრუნდა და იქ ერთი მოწაფე დახვდა.

— ასე გვიან აქ რას აკეთებთ? — გაიკვირვა მეცნიერმა.

— ვმუშაობ.

— დღისით რითა ხართ დაკავებული?

— ვმუშაობ.

— დილითაც მუშაობთ?

— რასაკვირველია!

— ერთი ეს მითხარით, ყმაწვილო, — ჰკითხა პროფესორმა, — როდისღა ფიქრობთ?“[33]

გიგაურები, ლომჯარიები, კოჟორიძეები და მათი მსგავსნიც არ ფიქრობენ, ისინი მხოლოდ ტელევიზიის ერთი არხიდან მეორე არხზე დარბიან და თავიანთი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ — თუთიყუშივით თავიანთი პატრონების აზრებს იმეორებენ, რის შესახებაც არაერთხელ დაიწერა ქართულ პრესაში. ისინი ამისთვის საკმაოდ დიდ გასამრჯელოს იღებენ. სულ ახლახან

[33] **ღიმილი. თბ., 2013, გვ. 92.**

ეკა გიგაურს ტელევიზიაში კიდევაც წამოცდა — უცხოელები ორი მილიონით გვაფინანსებენო, ოღონდ არ დაუზუსტებია. — ლარით თუ დოლარით. ამ დროს ჩვენი ერისათვის, მართლაც, სასიცოცხლო ფონდებს ერთი თეთრითაც არავინ აფინანსებს — არც შინაური და არც გარეული (მაგალითად, დემოგრაფიული აღორძინებისა და დემოგრაფიული განვითარების ფონდებს. მათ მხოლოდ საკუთარი ძალებით უწევთ მუშაობა). შორს რომ არ წავიდეთ, რუსთაველის ფონდში მეტად საჭირო თემის — „თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი გაუმჯობესების გზები“ — დაფინანსება წლებია არ მოხერხდა, კატეგორიულად არ აფინანსებენ.

დასასრულ, მიგვაჩნია, რომ საქართველოში ქალთა ძალადობის შემაშფოთებელ ვითარებაზე საუბარი ზედმეტია. ჩვენი ეს მოსაზრება გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებითაც. ალისა დელტუვის წიგნში „ოჯახური ძალადობა“ მოყვანილია ქალების მიმართ ჩადენილი, მართლაც, შემაშფოთებელი მონაცემები. ჯერ კიდევ 1967-1973 წლებში მოძალადე მამაკაცების მიერ მოკლული იყო 17 500 ამერიკელი ქალი და ბავშვი. აშშ-ში მოკლულ ქალთა სამოცი პროცენტი მოკლულია საკუთარი ქმრის ან მეგობარი მამაკაცის მიერ. რამდენიმე წლის წინათ რუსული გაზეთი „არგუმენტები და ფაქტები“ იტყობინებოდა: „რუსეთში ყოველწლიურად ქმრის მიერ ცემის შედეგად 12 ათასი ქალი იღუპება, ხოლო 54 ათასი სხეულის დაზიანებას იღებს“. შვედეთში პარტნიორის მსხვერპლია 16 ქალი, რაც წლის განმავლობაში ჩადენილი მკვლელობის ერთ მეექვსედს შეადგენს. ამ მონაცემების მიხედვით ქალებზე ძალადობის დონე (მაგალითად, მოსახლეობის ყოველ 100 ათას კაცზე მოძალადე მამაკაცების მიერ მოკლული ქალების რაოდენობა) შეუდარებლად უფრო მაღალია დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში, ვიდრე საქართველოში. ამავე დროს ქალზე ძალადობა უკანასკნელ წლებში საქართველოში რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ამ მოვლენაში, ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს სატელევიზიო არხები „რუსთავი-2“-ის მეთაურობით. **ტელევიზია წლებია განაგრძობს უშინაარსო, მხატვრული და შემეცნებით ღირებულებას მოკლებული ფილმების ჩვენებას, რომლებშიდაც წინა პლანზეა წამოწეული აღვირახსნილი და გაუკუღმართებული სექსი, უაზრო მკვლელობები და სხვა საშინელება**. „რუსთავი-2“-ის ძმაცუა (ძველი ქართული სიტყვაა, ვერაგს ნიშნავს) უფროსმა და უმრავლესმა თანამშრომელმა მსუქანი ჯამაგირის გამო კუჭს ზევით ვეღარ

აიხედეს, ყოფილ პრეზიდენტს საფლავში ყვებიან და მოსახლეობა ფსიქიკურად დაავადეს. ვანო ჯავახიშვილისა და კომედი შოუს მსგავსმა გადაცემებმა, იქს ფაქტორმა და ასევე სხვა გადაცემების ჟიურის წევრების უაღრესად პროვინციულმა დონემ ახალგაზრდობა ხელიდან გამოგვაცალა. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე სექსს დროებით გაბრუებას უწოდებდა, ჩვენი ტელევიზიების ეკრანებიდან კი სულ გაბრუებულები იმზირებიან. ნუთუ გაშიშვლებული სექსის შემდეგ ჩვენს მსახიობებს არ რცხვენიათ, არ ჰყავთ დედა, მამა, დები, ძმები, შვილები, მეგობრები, მეზობლები... ასე ხომ ნამდვილად არ მოიქცეოდნენ წინა თაობის მსახიობები. ცნობილი ფრანგი მსახიობი ლინო ვენტურა ფილმში კოცნასაც კი ერიდებოდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, მას ოჯახი, ცოლი და შვილები ჰყავდა. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი აღნიშნავდა: ადამიანს რომ შეეძლოს თავისი თავის დანახვა უდიდესი აღტყინების ჟამს, ადამიანთა მოდგმა დაიღუპებოდაო. ბევრი ჩვენი ვითომ მსახიობი კიდევ, რომელთა ეკრანზე გამოჩენაც კი სამარცხვინოა, ქართული სულიერების, ქართული ოჯახის დაღუპვას ემსახურება. სწორედ ეროვნული გადაგვარების ასაცილებლად ბატონმა ლევან ვასაძემ მიმართა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს: „მივმართავ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს, მის მეუღლეს, ქალბატონ **ინა გუდავაძეს,** მის დას, ქალბატონ **ნანა პატარკაციშვილს,** ასევე ბადრის ოჯახის ქონების მმართველ მოურავებს, — თქვენი ოჯახის მიერ კონტროლირებულმა ტელევიზია „იმედმა“ ამ ბოლო დროს ყველა რეკორდი მოხსნა უზნეობისა და უმსგავსობის ქადაგებაში. ამ საქმეში მან სააკაშვილის „რუსთავი-2“-საც აჯობა, ჩვენი საზოგადოების ბევრი წევრი გაოგნებული უსმენს იმ ბაკქანალიას, რომელიც ტელეიმედის ეთერში მიმდინარეობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ არ გესმით და ამ ფორმით არცხვენთ ბადრი პატარკაციშვილის სახელს.

იმედი გვაქვს, რომ შეისმენთ ჩვენი საზოგადოების წევრების და, მათ შორის, ჩემს არაერთ შეგონებას და გამოასწორებთ მდგომარეობას თქვენს ტელევიზიაში“.[34] ამ ცოტა ხნის წინათ მის უწმინდესობასთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან მქონდა საუბარი ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს დემოგრაფიულ პრობლემებზე. ეს პრობლემები მისივე ინიციატივით წმინდა სინოდსაც მოხსენდა. პატრიარქის მოსაზრებით, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამო საჭიროა შეიქმნას მთავრობასთან მუდმივ-

[34] **გაზ. „ასავალ-დასავალი“, №21, 2015.**

მოქმედი საბჭო, ხოლო ახალგაზრდობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ მთავრობამ, ეკლესიამ და ოჯახმა. ჩვენი ბრძენი პატრიარქის ამ დიდ ეროვნულ მოწოდებას საჭიროა ტელევიზიებმაც რეალურად აუბან მხარი. პატრიარქთან საუბარში განსაკუთრებით გამოიკვეთა, აგრეთვე, მტკიცე ოჯახების შექმნის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამასთან, ქალის როლზე ოჯახსა და საერთოდ საზოგადოებაში, საჭიროდ მივიჩნიეთ მოგვეტანა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის თავისთავად საინტერესო ციტატა, რომელიც მკითხველის მიერ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება არც იქნეს აღქმული: „ქალი, როგორც ქალი ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ როგორც მეუღლე და დედა, არამედ როგორც *დიასახლისი,* და არა მხოლოდ შვილების, არამედ საერთოდ სახლის *დედა* — როგორც ოჯახის სითბოს, სიტკბოების, მშვენიერების, მყუდროების, მეუღლის (ქმრის) ყოველდღიური სიმშვიდის, კმაყოფილების, იმედის, ჰუმანურობის და დავანების დღენიადაგ განახლებადი წყარო. ამ უაღრესად აუცილებელი, უმაღლესი, უდიდესი და მარად ნათელი მოვალეობისაგან, რაც ქალს შრომის სქესობრივი დანაწილების ძალით თვით ბუნებამ და საზოგადოებამ დააკისრა, მისი ემანსიპაცია იმავდროულად ადამიანთა სულით და ხორცით ჯანსაღი მოდგმის აღწარმოების დეგრადაციის მომასწავებელი იქნებოდა“.[35] ამ ფონზე შეიძლება მკითხველს ინგლისური ხალხური სიბრძნეც შევახსენოთ: „სახლი, რომელშიც მამალი დუმს და დედალი ყივის, უბედური სახლია“.



[35] პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973, გვ. 73.



ბორის დარჩია

ლორეს სომხეთისათვის გადაცემის საკითხი

ბოლო ხანს ამაში გადაჭრით ადანაშაულებენ ი. სტალინს. კერძოდ, ბრალს სდებს ჟურნალ „ისტორიანში“ გამოაქვეყნებულ საგანგებო წერილში ამავე ჟურნალის რედაქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ჯაბა სამუშია.** ეს წერილი **ბონდო არველაძემ** უცვლელად გადაბეჭდა მის მიერვე შედგენილ და რედაქტირებულ უაღრესად საყურადღებო და საჭირო კრებულში *„დავიცვათ ქართული ეკლესიები, ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია“* (თბ., 2014, გვ. 117-119). ვიდრე საუბარს გავაგრძელებდეთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, ეს წიგნი ჩვენი ერისათვის იმდენად უმნიშვნელოვანეს საჭირბოროტო სინამდვილეს გვიხატავს, იგი საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ოჯახში უნდა იყოს[1].

ჯაბა სამუშია ჯერ გვაცნობს, საქართველოში სომხეთის შემოჭრის შემდეგ რა ვითარება სუფევდა აღნიშნულ მხარეში: „1818 წლის დეკემბერში სომხეთის სამხედრო ნაწილებმა ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელეს ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს მიმართულებით.

ქართულმა ნაწილებმა მოახერხეს მტრის შეჩერება, ხოლო შემდეგ მისი განდევნა ქვეყნის ტერიტორიიდან. ამ კონფლიქტის შემდეგ სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმდა საგანგებო შეთანხმება, რომლითაც სადავო — ბორჩალოს მაზრის ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ტერიტორიად გამოცხადდა, მის ჩრდილოეთ ნაწილში იდგებოდა ქართული არმია, ხოლო სამხრეთ ნაწილში — სომხეთის.

---

[1] **გული დამწყდა, რომ აქ არ არის შემოტანილი მცხეთის ჯვრის ირგვლივ პარუირ მურადიანის გამოხდომასთან დაკავშირებით ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების — აკაკი შანიძის, ილია აბულაძის, გიორგი ჩუბინაშვილის, ვახტანგ ბერიძის, მარიკა ლორთქიფანიძის, პარმენ ზაქარაიასა და სხვათა მიერ დაბეჭდილი მამხილებელი გამოხმაურებანი. თავად ბონდო არველაძე პ. მურადიანის ამგვარ გადახრებს „მურადიანიზმს“ უწოდებს.**

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობდა საქართველოსთან შეერთებას და ამ ხელშეკრულებას უკანონოდ მიიჩნევდა“. ამის თაობაზე ლორეს ექვსი სოფლის მოსახლეობას საქართველოს დამფუძნებელი კრებისთვისაც კი მიუმართავს (გვ. 117). „მიუხედავად ამისა, — განაგრძობს ბატონი ჯაბა, — ლორეს ოლქთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა უყოყმანოდ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სადავო ტერიტორია მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში დაიკავა, ისიც სომხეთის მთავრობის თხოვნით.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ალექსანდრ ბეკზადიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საგანგებო ნოტით მოსთხოვა ქართული ჯარის მიერ ლორეს ოლქის დატოვება, მაგრამ საქართველოს მთავრობამ სომეხი კომუნისტების ამ პრეტენზიას დასაბუთებული პასუხი შეუთვალა.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ლორესთვის უკვე აღარავის ეცალა. ამით ისარგებლეს სომეხმა ბოლშევიკებმა და ოლქის შენიღბული ინკორპორაცია მოახდინეს (...).

სამწუხაროდ, ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოსთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ლორეს ოლქის მითვისებისა. სომხეთის ახალჩამოყალიბებულმა საბჭოთა რეჟიმმა ლორეს ოლქში თავისი რწმუნებული დანიშნა. ფაქტობრივად, ეს ტერიტორია ამიერიდან სომხეთის მთავრობის გავლენის ზონაში მოექცა“ (იქვე, გვ. 117-118).

შემდეგ მოვლენებში ერთვება ი. სტალინი. ჯ. სამუშია განაგრძობს: „ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული საკითხის სირთულეს კარგად ხედავდნენ ბოლშევიკები და ამიტომ უკვე 1921 წელს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის 2 მაისს შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა, მოემზადებინა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების გამიჯნვის საკითხი.

ამ კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 1921 წლის 25-27 ივნისს თბილისში. *ჩვენამდე მოაღწია* ამ მეტად საინტერესო სხდომის *ოქმმა,* რომელიც სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის *წარმომადგენლის*, ვ. *მურადიანის მიერაა შედგენილი*. სადემარკაციო კომისიის 25 ივნისის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის სსრ წარმომადგენელი «ამხ. ბეკზადიანი». იგი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარზე ისე საუბრობს, არ შეიძლება მისმა გამონათქვამებმა

მკითხველს ღიმილი არ მოჰგვაროს.

სხდომის ოქმში ვკითხულობთ: «სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბეკზადიანს, რომელმაც განაცხადა: სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად. ამხ. ბეკზადიანს საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ, როცა მოსკოვში ამხ. მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. ***სტალინი*** *ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი საკვლევად გაიზიარა.*

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხ. ქართველებს, თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ, უაღრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისათვის დაგვთანხმდნენ განსაზღვრული ტერიტორიების დათმობას»" (გვ. 118).

ბატონი ჯაბა დასძენს: „სომეხი ბოლშევიკები არა მარტო ლორეს ოლქს ითხოვდნენ საქართველოსგან, არამედ ახალქალაქის მაზრასა და ბორჩალოს მაზრის ნაწილს. სადემარკაციო კომისიამ საბოლოო შეთანხმება ვერ მოახერხა, ამიტომ შიდა საზღვრების გამიჯნვის საკითხი რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტმა რკპ(ბ) კავბიუროს მიანდეს.

1921 წლის 7 ივლისს კავბიურომ *იოსებ სტალინის მონაწილეობით საგანგებოდ განიხილა და დაადგინა*, რომ ე. წ. ნეიტრალური ზონა — *ლორეს ოლქი — გადაეცეს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას*" (იქვე, 118).

ჯაბა სამუშია დაასკვნის: „ამდენად, 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით, *ლორეს ოლქზე საქართველოს პრეტენზიები გაუქმდა*. ამ ეტაპზე ლორეს ოლქი კი არა, ხრამისა და ახალქალაქის რაიონები იყო შესანარჩუნებელი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოში გავრცელებულია მოარული ხმები, თითქოსდა *სტალინმა არაფერი იცოდა საქართველოს ტერიტორიის გასაჩუქრების შესახებ და რომ ეს ყველაფერი სერგო ორჯონიკიძის ნამოქმედარი იყო*, დოკუმენტებით არ დასტურდება. მეტიც, «ხალხთა დიდი ბელადი» *არათუ ყველაფრის საქმის კურსში* იყო, არამედ *თავად მონაწილეობდა* ამ პროცესში" (იქვე გვ. 118).

სამწუხაროდ, ბატონი ჯაბა ამ საკითხს მეცნიერული სიზუსტით არ მისდგომია. სად არის დასახელებული ოქმი დაცული? ვინ იყო

ამ სხდომის თავმჯდომარე და ოქმს ის ხელს აწერს თუ არა? უამისოდ ოქმის სიზუსტე შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი შემდგენელი სომხეთის წარმომადგენელია!

სომხეთთან საზღვრის საქმე ამით არ დამთავრებულა. ჯაბა სამუშია განაგრძობს: „ამიერკავკასიის კავბიუროს დადგენილების საფუძველზე 1921 წლის 16 ივლისს შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. ნეიტრალური ზონისა და 2. ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საბჭოთა სომხეთისათვის გადაცემის საკითხები. პოლიტბიუროს დადგენილებაში ვკითხულობთ: 1. დადასტურდეს რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს დადგენილება საბჭოთა სომხეთისთვის ამ ზონის გადაცემის შესახებ.

2. პოლიტიკური მოსაზრებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალ-ქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, ამხანაგი სომხების წინადადება მიუღებლად მიგვაჩნია. იგივე საკითხი 1921 წლის 3 აგვისტოს განიხილა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა. ქართველი კომუნისტების გაფართოებულმა შემადგენლობამ კვლავ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, მაგრამ პლენუმზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლორეს ოლქის უყოყმანოდ სომხეთისადმი გადაცემამ. სწორედ ამიტომ პლენუმის დადგენილებაში გაჩნდა ახალი მუხლი: «*იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონდათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავბიუროს, ხელახლა განიხილოს ეს საკითხი. თავის მხრივ, ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში*» (გვ. 119).

ბატონი ჯაბა სამუშია საბოლოო შედეგს ასე გადმოგვცემს: „მიუხედავად ქართველი კომუნისტების პრინციპული მოთხოვნისა ლორეს ნეიტრალურ ზონაში რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკ-ავშირებით, კავბიურომ არ გაითვალისწინა პლენუმის ეს გად-აწყვეტილება. მთლიანობაში, მართალია, ახალქალაქისა და ხრამის რაიონები დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ სამაგიეროდ, ლორეს ოლქი ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე სომხეთის სსრ-ს გადაეცა.

ამდენად, 1921 წელს კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პოლიტბიუროს დადგენილებით სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი ე. წ. ლორეს რაიონი — 2367 კვ.კმ. მოგვიანებით, 1925 წელს

სომხეთს ასევე გადაეცა ბორჩალოს მაზრის კიდევ ერთი ნაწილი 207, 94 კვ.კმ ფართობი. ერთობლიობაში 1921-1925 წლებში სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 2575, 38 კვ.კმ“ (გვ. 119).

ბატონი ჯაბა სამუშია არაფერს გვეუბნება, რა ვითარებაში მიმდინარეობდა კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროსა და პლენუმის სხდომები, ვის რა პოზიციები ეჭირა და რა საბუთები ჰქონდა.

მეცნიერების ვალია არა მარტო ფაქტების აღრიცხვა, არამედ მასთან ერთად მათი ანალიზი. აშკარაა, ი. სტალინი თავიდანვე კიდევაც მონაწილეობდა ლორეს გადაცემაში და მერმე თვალყურსაც ადევნებდა როგორც მის რატიფიკაციას საქართველოში, ისე 1925 წლის ამბებსაც. გასარკვევია, რატომ იქცეოდა ასე — არ უყვარდა, არ ენაღვლებოდა სამშობლო და მშობლიური მიწა, თუ ისიც დაბრმავებული იყო კომუნისტური იდეით — საზღვრებს რა მნიშვნელობა აქვს, როცა ერთიანი სოციალისტური სახელმწიფო იქმნებაო? პირველი გადაჭრით გამოსარიცხავია, მეორე, გარკვეული დოზით ალბათ სავარაუდებელია. მე კი უფრო სხვა რამ მგონია: 1921, 1925 და მომდევნო წლებში მას არ ჰქონდა იმდენი ძალაუფლება, ასეთი რთული და ფაქიზი საქმე თავის ჭკუაზე გადაეწყვიტა, მაშინ როდესაც სადავო და დასანარჩუნებელი ახალქალაქისა და ხრამის ტერიტორიები გახლდათ.

სხვაგან მიწერია: მიუხედავად იმისა, რომ მალაქია ტოროშელიძემ 1926 წელს პირადად მოისმინა ი. სტალინის უმაღლესი შეფასება ილია ჭავჭავაძის შესახებ, მან იმდენად არაფრად ჩააგდო მისი მოსაზრება, რომ 1934 წელს მიხეილ ზანდუკელის წიგნის წინააღმდეგ ჟურნალ „მნათობის“ მთელი ნომერი ააწყო. ამ წიგნის „ნაკლი“ კი ის გახლდათ, რომ ილიას ღვაწლი დადებითად იყო შეფასებული. დიახ, დიახ, მაშინ მ. ტოროშელიძე ფილიპე მახარაძის მხარეზე უყომანოდ იდგა. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც სტალინმა სტალინობა დაიწყო!

რაღა გასაკვირია, თუ ცოტა მოგვიანებითაც კი მ. ტოროშელიძეს ვერაფერი შეასმინა, 20-იან წლებში ი. სტალინს, ვიმეორებთ, ათასჯერ რთულ საქმეში მეზობელი ხალხისთვის ყველა სადავო უნდა ვიგულისხმოთ, ლორეს საკითხში მაშინ ი. სტალინს ღია წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ ექნებოდა! სომხეთს მაშინ კრემლში უთუოდ თავგამოდებული დამცველები ეყოლებოდა.

ამავე შეხედულებას გამოთქვამს ისტორიკოსი **სიმონ კილაძე**. კო-

რესპონდენტის შეკითხვაზე: „კიდევ ერთი მითი, რომ სტალინმა დაგვაკარგვინა ლორე-ტაშირი და საინგილო...“. ბატონი სიმონი ბრძანებს: „ასე პირდაპირ მე არსად მინახავს, რომ სტალინმა ერთ-პიროვნულად გადასცა სომხეთს ლორე-ტაშირი, ხოლო აზერბაიჯანს — საინგილო! თუმცა მე არც ის მინახავს სადმე, რომ სტალინს ამ დროს ხმა აემაღლებინოს ქართული მიწების გასხვისების წინააღმდეგ!

ჩვენ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის 1921-1922 წლები, როდესაც ჯერ საბჭოთა რუსეთს და შემდეგ კი საბჭოთა კავშირს არ ჰყავს ერ-თპიროვნული ლიდერი! ყველაფერს უმაღლესი პარტიული სტრუ-ქტურები წყვეტენ! სტალინი კი იყო ეროვნებათაშორისი კომისარი, ანუ მინისტრი, მაგრამ, ჯერ-ერთი, ის თავად იყო ჩაბმული ტროცკისთან და მის მომხრეებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გავლენის მოსაპოვებლად, მეორეც, მოდით, სიმართლე ვთქვათ, რომ სტალინი საქართველოს საბჭოთა სივრცის ნაწილად განიხილავდა“ (გაზ. „ას-ავალ-დასავალი“, 27 აპრილი — 3 მაისი, 2015, № 17, გვ. 28).

როგორც ვხედავთ, ბატონი სიმონი სათანადო მასალებს ჯეროვნად არ იცნობს, მაგრამ იმაში მართალია, რომ ი. სტალინს იმ დროს ჯერ კიდევ საჭირო ძალაუფლება მოპოვებული არ ჰქონდა.

რადგან ბატონი სიმონი საინგილოსაც შეეხო, იმასაც ვიტყვით, რომ ის სათანადოდ არც ამ საკითხს იცნობს. მოდით, ამაზეც ვისაუბროთ, რადგან სირთულის მხრივ ესეც ლორეს ჰგავს.

ამ კუთხის აზერბაიჯანისადმი გადაცემას საგანგებოდ ეხება გელა ჩარკვიანი მამამისთან, კანდიდ ჩარკვიანთან, საუბრისას[2]. მამას ეკითხება: **„რას ფიქრობდა სტალინი იმის შესახებ, რომ თავის დროზე საინგილო აზერბაიჯანს გადაეცა?“**

პასუხიდან ირკვევა, ი. სტალინი ამაზე ფიქრობდა და კიდევაც წუხდა, მაგრამ სირთულის გამო ვერაფერს წყვეტდა. ბატონი კანდიდი გვიყვება: „ეს საკითხი მე რამდენჯერმე დავაყენე სტალინთან, მხოლოდ არაოფიციალურად. მე საერთოდ ამგვარი დიდი საკითხების დაყენებას ვუფრთხილდებოდი. ჯერ უნდა მიმეღო ერთგვარი თანხმობა, ყოველ შემთხვევაში, დავრწმუნებულიყავი, რომ წინააღმდეგობა დიდი არ იქნებოდა და მერე შემეძლო დამეყენებინა. ასეთი წესით რამდენჯერმე ველაპარაკე სტალინს საინგილოს შესახებ, მაგრამ მან ეს ამბავი არ გაიზიარა *იმიტომ კი არა*, რომ *საერთოდ საინგილოს საქართველოსადმი კუთვნილება საეჭვოდ მიაჩნდა*, იმიტომ, რომ საზღვრები უკვე დადგენილია, ამ საზღვრების დარღვევა არ შეიძლება.

[2] **გელა ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან, 2013.**

და ერთხელ ისიც კი მითხრა, რომ, კაცო, ორჯონიკიძემ გადაწყვიტა ეს საკითხი თავის დროზე. ახლა მე რომ წავართვა აზერბაიჯანელებს ეს ტერიტორია, არ ივარგებსო. *სტალინი ამის მონაწილე არ ყოფილა*. აქ, ამიერკავკასიაში, ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული იყო ორჯონიკიძე და საკითხებს ის წყვეტდა. აზერბაიჯანისათვის საინგილოს გადაცემა, თუ შეიძლება ამას გადაცემა დავარქვათ, ასე მოხდა. გადაცემაზე მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ ყოფილიყო გამიჯნული რესპუბლიკების ტერიტორიები. *ეს ტერიტორია ითვლებოდა სადავოდ*. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული ელემენტი იქ თითქმის არ იყო. მარტო ერთი სოფელი კახია, ალიბეგლო, კიდევ რამდენიმე სოფელი, ამის გარდა, არის ქართული მაჰმადიანური სოფლები. მე იქ ბევრთან მისაუბრია, ასე რომ, აზერბაიჯანს ჰქონდა თავისი პრეტენზიები, როგორც მუსლიმანური რაიონის მიმართ. მოსახლეობა იქ აზერბაიჯანული არ იყო, *მოსახლეობა ძირითადად იყო დაღესტნური ტომებისაგან შემდგარი, ლეკები იყვნენ*. ისტორიულადაც ასეა, რომ ეროვნებას იმდენად არ უყურებდნენ, როგორც სარწმუნოებას. საქართველოს ის იმდენად ეკუთვნის, რამდენადაც მიეკუთვნება ისტორიულად, სარწმუნოებით კი ისინი მუსულმანები იყვნენ. სწორედ აქედან მომდინარეობდა მათი პრეტენზია ამ რაიონის მიმართ. აზერბაიჯანსა და მენშევიკურ საქართველოს შორის იყო შეტაკებები იმ მიწის გამო, რომელსაც ზაქათალის ოლქს ეძახდნენ. მოხდა აზერბაიჯანის გასაბჭოება. გასაბჭოების მეთაური იყო ორჯონიკიძე. ამ პირობებში მისთვის ძნელი იყო, მხარი დაეჭირა მენშევიკური საქართველოსათვის ამ ტერიტორიების საკითხში. მოხდა ისე, რომ ორჯონიკიძის ლოცვაკურთხევით, ეს ტერიტორია გადაეცა აზერბაიჯანს“ (გვ. 33-35).

ბატონი გელა კვლავ ეკითხება: „**სტალინს თუ ჰქონდა რაიმე აზრი ამის შესახებ?**“

პასუხი ძალიან საინტერესოა: „სანამ მე დავაყენებდი ამ საკითხს, — განაგრძობს ბატონი კანდიდი, — მანამ ბევრი წერილი მისდიოდა მოსახლეობისაგან. იყო ერთი აგრონომი, გვარს ვერ ვიხსენებ[3], სწერდა ძალიან ბევრს. მეც მივიღე ის კაცი და მითხრა, ეს საკითხი ჟორდანიასთან დავაყენეო და ვხედავ, რუკაზე საინგილოს დასავლეთით

[3] **ეს უნდა ყოფილიყო ბათუმელი პარტიული მუშაკი, ერთ ხანს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრიც იყო, რომელმაც ი. სტალინს აგარაკზე გორული ატმის ნერგები ჩაუტანა და დაურგო. სამწუხაროდ, გვარს ვერც მე ვიხსენებ.. თავის მოგონებებში ის სწორედ მასთან ქართული მიწებზე საუბარს გადმოგვცემს, კერძოდ, რატომაა აჭარა ავტონომიური რესპუბლიკა.**

ეძებსო, იმის ნაცვლად, რომ აღმოსავლეთისკენ მოეძებნაო. მაშინ ვიტკიცე შუბლში ხელი, ვაი, ჩვენი ცოდვა, ჩვენი საინგილო მართლა დაკარგულაო. ის წერდა და არ შეიძლებოდა, სტალინთან მისი წერილები არ მისულიყო. შემდეგ ეს საკითხი დავაყენე მე. როგორც უკვე ვთქვი, ასე მითხრა: ორჯონიკიძემ მისცა საინგილო მათ და ეს ძალიან ძნელი საქმე იქნებაო“ (გვ. 35).

კანდიდ ჩარკვიანის შემდეგი მონაყოლიდან ვხედავთ, ი. სტალინი მაინც ფიქრობდა საინგილოს საქართველოსთვის შემოერთებაზე და ამის დროსა და პირობებს ელოდებოდა. ბატონი კანდიდი განაგრძობს: „ეს ხდება ომის შემდეგ, 1946-ში. მაშინ თითქმის რეალურად იდგა *ჩრდილოეთ სპარსეთის გასაბჭოების საკითხი, ირანის აზერბაიჯანის. ვნახოთ, როგორ წავა საქმეო. და თუ ის შემოიერთა აზერბაიჯანმა, მაშინ მოგცემთო.*

ამის შემდეგ მოსკოვიდან პოსკრიბიშევმა დამირეკა და მითხრა, რომ ამხანაგმა სტალინმა რომ გთხოვათ, წადით საინგილოში და შეხვდით იქ ბაგიროვსო, მოაწესრიგეთ იქ სკოლების საკითხიო. იდგა იქ ეს საკითხი. მე წავედი, შევხვდი ბაგიროვს, შემოვიარეთ საინგილო, შევედით ერთ სოფელში და იმას ჰგონია, რომ აზერბაიჯანულად დაუწყებენ ლაპარაკს, ამ დროს გვხვდებიან ჩვენი კახელი გლეხები და ქართულად გველაპარაკებიან. ზის ერთი კაცი, რომელიც არ ჰგავს ქართველს. «შენ ვინ ხარ?“ — ჰკითხა ბაგიროვმა. «მე ლეკი ვარ», — უპასუხა კაცმა. «მერე ქართულად როგორ ლაპარაკობ?». «ქართულია ჩემი ენა და, აბა, როგორ უნდა ვილაპარაკო», — უთხრა კაცმა. მაშინ მოვიარეთ სკოლები. ერთი შედარებით ნორმალური სკოლა ჰქონდათ ქართველებს. გადავწყვიტეთ, დავხმარებოდით. სკოლებში რემონტის საკითხი იდგა და ქართული სექტორებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა იყო საჭირო. *ბაგიროვმა მითხრა, თუ ეს არის ასე სადავო, წაიღეთ და ბორჩალო მოგვეცითო*“. ბატონი გელა ისევ ერთვება და ეკითხება: „**ეს ხუმრობა იყო?**“ — პასუხი: „რომ დავთანხმებულიყავით, შეიძლება ხუმრობა აღარ ყოფილიყო, მაგრამ ეს საკითხი სერიოზულად არ იდგა. ჩვენთვის ეს ხელსაყრელი არ იყო, როგორ გავცვლიდით. მერე ირანის გასაბჭოება არ მოხდა და ეს საკითხიც გადაუჭრელი დარჩა. ასე რომ, *სტალინი პრინციპულად წინააღმდეგი არ იყო, რომ ეს ტერიტორია ჩვენ მიგვეღო*, მაგრამ უფრთხილდებოდა აზერბაიჯანს. ახლა ხომ ხედავთ, მთიანი ყარაბაღის საკითხი ვერ წყდება, იმიტომ რომ, საზღვრები, რომელიც თავის დროზე დამყარდა, არავინ არ უნდა შეცვალოს“ (გვ 36).

ამის შემდეგ საუბარი ეხება თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული მიწების დაბრუნების საკითხს. და, თუ რა ალიქოთი მოჰყვა ამას მსოფლიოში, ბარემ ბატონი კანდიდის ნაამბობს კვლავ დავიმოწმებ. ბატონი გელას შეკითხვა: „**მახსოვს, რომ ომის შემდეგ ლაპარაკი იყო ქართული მიწების დაბრუნების შესახებ თურქეთიდან? საიდან მოდიოდა ეს პოლიტიკა**?“ — პასუხი: „ეს საკითხი *აღიძრა სტალინის მიერ.* სომხებმა დააყენეს თავისი ტერიტორიების საკითხი, წერილი დაწერეს. დაიბეჭდა ეს წერილი, თუ რა პრეტენზიებს უყენებენ თურქეთს. ხოდა, *სტალინმა თქვა, თქვენი, ქართული მიწების ასეთი რაოდენობაა დარჩენილი იქით და რატომ არ აყენებთ ამ საკითხსო?* ჩვენ ვთქვით, რომ დავაყენებდით, თუ რაიმე დახმარება იქნებოდა. ავიღე და დავწერინე ეს წერილი ჯანაშიასა და ბერძენიშვილს. დავჯექი მე და გავუკეთე რედაქტირება, შემდეგ გავუგზავნე სტალინს. მერე ვუთხარი, «პრავდამ» გამოაქვეყნოს-მეთქი. რატომ «პრავდამ», თქვენი ინიციატივაა და გამოაქვეყნეთ თქვენო, «პრავდა» კი გადაბეჭდავსო. მართლაც გამოვაქვეყნეთ და «პრავდამ» გადაბეჭდა. *რეაქცია თურქეთის მხრიდან იყო ძალიან მწვავე. წითელკანიანებადაც კი მოგვნათლეს,* შეიძლება, მათ პრეტენზია ჰქონდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზეო. მეტი შედეგი ამ წერილს არ მოჰყვა, გარდა იმისა, რომ *შეაშფოთა მსოფლიო“.*

ამაზე ჩვენში ბევრია დაწერილი, კერძოდ, თუ რა როლი შეასრულა ატომური ბომბის გამოჩენამ!

ერთი სიტყვით, ი. სტალინს არავისზე ნაკლებ არ უყვარდა სამშობლო, საქართველო, და ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე. მაგრამ ის უდიდესი პოლიტიკოსი გახლდათ, არასოდეს ეხვევოდა მოჩვენებების საბურველში, ზედმიწევნით ხედავდა და ანგარიშს უწევდა სინამდვილეს და ამიტომაც იმარჯვებდა. *ჩვენ მას ყოვლის შემძლეობას ვთხოვთ,* ყოვლისშემძლე არავინაა და არც თვითონ იყო!

დასასრულ, ჩვენს საკითხს რომ დავუბრუნდეთ, ბეჯითად უნდა ვთქვათ: ლორეს სომხეთისათვის გადაცემის საკითხს კვლავაც გაღრმავებული შესწავლა სჭირდება. იქნებ, აღმოჩნდეს ისეთი მასალები, რაც უფრო ხელშესახებად წარმოგვიდგენს მის დეტალებს.



მამუკა ცუხიშვილი

კონსტანტინე ლესელიძე – XX საუკუნის დიდი მხედართმთავარი

1941 წლის 22 ივნისის დილის 4 საათზე ვერმახტის 149-ე დივიზიამ (მათ შორის გერმანიის სატანკო-მოტორიზებულმა ძალებმა) გადალახა სსრ კავშირის საზღვრები, 2 დივიზია სამხედრო შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 განლაგებული იყო ნორვეგიაში, 1 დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 ბალკანეთზე.

1941 წლის 6 მაისს სტალინი არჩეული იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. ომის დაწყებიდან მერვე დღეს, 1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით. 1941 წლის 19 ივლისს სტალინი აირჩიეს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად, ხოლო იმავე წლის 8 აგვისტოს — სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

გერმანიამ დაიწყო 1940 წელს შედგენილი ელვისებური ომის „ბარბაროსას გეგმის“ პრაქტიკულად განხორციელება (ეს იყო კოდური სახელწოდება ჰიტლერის გეგმისა, რომელიც მას „რომის საღმრთო იმპერიის“ იმპერატორის ფრიდრიხ I ბარბაროსას სახელის მიხედვით მიეცა).

ყველა ობიექტური ისტორიკოსი, ომების სპეციალისტი, პოლიტიკოსი და სამხედრო ჩინოსანი თანხმდება იმაზე, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ გადაწყვიტა ფინალი მეორე მსოფლიო ომისა და შესაბამისად განუხორციელებლობა გერმანიის განზრახვისა გაბატონებულიყო მსოფლიოზე.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემა დაიშალა, ე.წ. დემოკრატიულ

რელსებზე შემდგარი საქართველოს პოლიტიკური "ელიტა" და მისი მიმდევრები მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას აუფასურებენ, თორემ პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო ყველა დროის ყველაზე დიდ გამარჯვებად სწორედ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ გამარჯვებას მიიჩნევს.

1941 წლის 27 ივნისისთვის საქართველოდან ომში ჩაება 6183 უფროსი და საშუალო თანრიგის მეთაური, 7086 უმცროსი მეთაური, 68385 რიგითი ჯარისკაცი, შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4319 ავტომანქანა, 334 ტრაქტორი, 18226 ცხენი და სხვ. თადარიგიდან გაიწვიეს 1206 ქალი, უმეტესად ექიმები, ფერშლები და მედიცინის დები. საერთოდ, 1941 წლის 23 ივნისიდან 1942 წლის 15 აპრილის ჩათვლით ყველა ფრონტზე სამხედრო ნაწილებში საქართველოდან გაწვეული იქნა 354332 კაცი სხვადასვა დანიშნულებით. ზურგის გამაგრების თვალსაზრისით 250-300 მებრძოლისგან შემდგარი რაზმები იქმნებოდა, სადაც გაწვევრიანებული იყვნენ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და არასრულწლოვნებიც კი.

გარდა იმისა, რომ უშუალოდ ბრძოლის ველზე ათიათასობით ქართველი მებრძოლი იცავდა დედასამშობლოს, საქართველოში მყისიერად იქნა გამოყენებული ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ ქვეყანას მიეღო დაჭრილები და ლტოლვილები. სანატორიუმები, საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები და სასტუმროები სასწრაფოდ გადაკეთდა ჰოსპიტლებად. 1941 წლის ბოლოსათვის საქართველოში იყო 62 საევაკუაციო ჰოსპიტალი 24760 საწოლით, კერძოდ, თბილისში — 29, ქუთაისში — 5, წყალტუბოში — 2, ბორჯომში — 3, თელავში — 2, თითო-თითო გაიხსნა აბასთუმანში, ბათუმში, ცემში, ქობულეთში.

1942 წლის დეკემბერში საქართველოში საავიაციო-საჰაერო თავდაცვის სამსახურისთვის მობილიზებული იქნა 19-დან 30 წლამდე ასაკის 4500 ქალი, ზურგის ნაწილებში მეომარ მამაკაცთა შესაცვლელად 602 ქალი, ხოლო 2700 ქალი გაიგზავნა საავტომობილო კურსებზე. მთელი საქართველო ფეხზე იდგა, მთელი საქართველო ომობდა, შრომობდა, იბრძოდა წარსულის დასაცავად და მომავლის გადასარჩენად. 1941 წლის აგვისტოდან დაიწყო თავდაცვითი ნაგებობების, სანგრების, სიმაგრეების, გზებისა და ხიდების მშენებლობა. გაგრის, ფოთის, დუშეთის, ყაზბეგის, ჯავის, ონის რაიონებში მიმდინარე სამუშაობზე დასაქმებული იყო 7000-

მდე ადამიანი, რომლებიც დღედაღამ შრომობდნენ ზღვის სანაპირო უღელტეხილების გზების გასამაგრებლად და ტანკსაწინააღმდეგო ზღუდეთა ასაგებად.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე, რაც გულისხმობდა მთელი ძალითა და ენერგიით იარაღის, ტყვია-წამალის, სამეურნეო ნედლეულის, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას.

ქართველები იბრძოდნენ ყველგან, სადაც კი მტრის ურდოები აწარმოებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო საომარ მოქმედებებს – ბალტიისპირეთში, უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის ტერიტორიებზე, ბრესტის ციხე-სიმაგრესთან, სმოლენსკსა თუ კიევთან. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა მოსკოვისათვის. გერმანელთა მთავარი სამიზნე სსრ კავშირის დედაქალაქი იყო და ამის შესაბამისად მათ გადაწყვიტეს გეგმა „ტაიფუნის“ ამოქმედება, რაც გულისხმობდა მოსკოვისთვის ბრძოლას მის სრულ დაპრობამდე. ამ ბრძოლაში თავის ისახელეს გენერლების პ. ჩანჩიბაძისა და მ. კიკნაძის ბრიგადებმა.

ომის ისტორიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1941 წლის დეკემბრის კონტრშეტევას ფაშისტური გერმანიის ჯარების მოსაგერიებლად. მოსკოვის მისადგომებთან საბჭოთა ჯარების დამაჯერებელმა და გმირულმა გამარჯვებამ რადიკალურად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის მთელი მიმდინარეობა.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო კავკასიის დაპყრობის ფაშისტური გეგმის „ედელვაისის“ ჩაშლა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის არა მარტო დაპრობას და მთავარი გზით იმ ქვეყნებისკენ გასვლას, სადაც მოიპოვებოდა სასარგებლო წიაღისეული, მათ შორის ნავთობი, არამედ ევრაზიის კონტინენტის მთელს სამხრეთ დერეფანზე ჰეგემონობის მოპოვებას.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოს ცკ პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის მოგონება ლავრენტი ბერიას შესახებ: „მან გააერთიანა ამიერკავკასიის ჯარები და ადგილობრივი სამხედრო ორგანიზაციები კავკასიის დასაცავად და რკინისებური ხელით დაამყარა ჯეროვანი წესრიგი როგორც ფრონტზე, ისე ზურგში“. ლ. ბერია ამ დროს იყო საკავშირო უშიშროებისა და თავდაცვის გარეთიანებული მთავარი კომიტეტის წევრი. მან სტალინთან შეთანხმებით თანამდებობიდან დაითხოვა 46-ე არმიის სარდალი ე. სერგაცკოვი და მის ადგილზე დანიშნა კონსტანტინე ლესელიძე,

სწორედ ამ გადაწყვეტილებამ განსაზღვრა ძირითადად ფაშისტების დამარცხება კავკასიის მისადგომებთან.

ომის უმძიმეს წლებზე და მის მძიმე შედეგებზე საუბარი შორს წაგვიყვანს და არც გვეყოფა იმის კომპეტენცია, შევაფასოთ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების მნიშვნელობა. ჩვენ გადავწყვიტეთ დიდ სამამულო ომში ერთ-ერთი უაღრესად გამორჩეული მხედართმათავრის კონსტანტინე ლესელიძის გახსენება, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე ძლევამოსილ გამარჯვებაში.

„ნიკოლოზ ლესელიძე, ჩვენს ამხანაგებში გამოირჩეოდა როგორც უაღრესად უშიშარი და გაბედული ადამიანი. ამავე დროს იგი დიდად გამჭრიახი გონებისა და კარგად მოლაპარაკე კაცი იყო. ამ თვისებების გამო იგი ხშირად დავების მომრიგებლის როლს ასრულებდა. ის იყო აქტიური, მშრომელი და მებრძოლი ადამიანი“, — იგონებს კონსტანტინე ლესელიძის მამის ნიკოლოზ ლესელიძის ბავშვობის მეგობარი თეოფილე ქვილითაია.[1]

1906 წლის აგვისტოში მოკლეს გენერალი ერმოლოვი, რის გამოც ჟანდარმერიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო აქტიური ადამიანების დაპატიმრება, მათ შორის აღმოჩნდა ნიკოლოზ ლესელიძეც; იგი სხვებთან ერთად გაუსამართლებლად, 5 წლის ვადით გადაასახლეს ცენტრალურ რუსეთში, კერძოდ პერმის გუბერნიის ჩერდინის მაზრაში. ნიკოლოზს შინ, ოზურგეთში დარჩა მეუღლე სამი მცირეწლოვანი ვაჟით, მათგან ერთ-ერთი იყო კონსტანტინე, რომელიც 1903 წლის 2/15 ოქტომბერს დაიბადა.

კ. ლესელიძემ 1917 წელს დაასრულა ოზურგეთის რაიონის სოფელ ზვანის დაწყებითი ორკლასიანი სკოლა და იმავე წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ოზურგეთის ორკლასიან საქალაქო სასწავლებელში. მის მიერვე შევსებული კადრების აღრიცხვის ანკეტაში იგი წერს: „ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის პლანტაციებში შავ მუშად ვმუშაობდი 1912 წლის მაისიდან 1917 წლის მაისამდე. გარდა ამისა, ვმუშაობდი ოზურგეთის რაიონის სოფელ ზვანის ჩაის პლანტაციებში ზაფხულში, ზამთარში კი ვსწავლობდი“.

ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1919 წელს სწავლა განაგრძო ოზურგეთის გიმნაზიაში, სადაც ის

[1] **საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო ისტორიული არქივი, ფ. 1777, ს. 450, ფ. 2 (შემდგომში ყველგან: არქივი).**

გამოირჩეოდა სიდინჯით, სიბეჯითით, თავმდაბლობითა და თავაზიანობით. „კოტე ლესელიძე შესანიშნავი მოწაფე იყო. იგი ყველა საგანს კარგად სწავლობდა. განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ ჩვენს ჯგუფში მას ტოლი არ ჰყავდა მათემატიკაში. გამოცდების დროს პირველი გადიოდა გამოცდაზე და შემდეგ ამხანაგებს ეხმარებოდა. კოტე ბევრს კითხულობდა, კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში. ჩვენ ხშირად ვესწრებოდით რეფერატებს, რომლებსაც უფროსი კლასის მოწაფეები კითხულობდნენ, კოტე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა, სვამდა შეკითხვებს და მონაწილეობდა დისკუსიებში“,[2] — იხსენებს მისი გიმნაზიელი მეგობარი შალვა ხუჭუა.

ოზურგეთის გიმნაზიის საქმეთა მმართველი ვასა ჯინჭარაძე იხსენებს: „ოზურგეთის გიმნაზიაში კოტე ლესელიძე საუკეთესოდ სწავლობდა. იგი იყო სამაგალითო მოწაფე. მე ხშირად მომისმენია მასწავლებელთა ქება კოტესადმი, ხოლო ერთხელ ისტორიის მასწავლებელმა ალექსანდრე დანელიამ ყველას გასაგონად ბრძანა: „ამ ახალგაზრდას დიდი მომავალი აქვს“.[3]

1921 წლის აპრილში შეიქმნა მეთაურთა მოსამზადებელი სამხედრო კურსები, რომელსაც უნდა მოემზადებინა ოცეულის მეთაურები ქვეითი, არტილერიის, ცხენოსანი და საინჟინრო სამწყობრო ჯარის ნაწილებისათვის. კონსტანტინე ლესელიძემ წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში და 1921 წლის 8 აგვისტოს ჩაირიცხა საარტილერიო განყოფილების კურსანტად. იმავე წლის ოქტომბერში ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა გადაყვანილი იქნა ორწლიან სწავლებაზე. სკოლაში ისწავლებოდა ქართული და რუსული ენები, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ასევე მთავარი პრიორიტეტები ენიჭებოდა ტოპოგრაფიას, სამხედრო ადმინისტრირებას, სამხედრო ქიმიას, საინჟინრო, საარტილერიო და სასროლო საქმეს, სამხედრო წესდებას და სხვ. „სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მომავალი მეთაურების სამწყობრო მომზადებას, ფიზიკურ წვრთნას, გარეგნობას, დისციპლინას, რათა ისინი მაგალითის მიმცემი ყოფილიყვნენ ყველასათვის“[4]

1922 წლის 5 დეკემბერს კ. ლესელიძემ წარჩინებით დაასრულა ქართული გაერთიანებული სამხედრო სასწავლებლის საარტილე-

[2] იქვე, ს. 52, ფ. 2.

[3] იქვე, ს. 4, ფ. 1.

[4] ლ. გოგატიშვილი, ვ. ონიანი, ქართული დივიზიები დიდ სამამულო ომში, თბ., 1965, გვ. 64.

რიო განყოფილება, მიენიჭა ოცმეთაურის სამხედრო წოდება და დატოვებულ იქნა სასწავლებელში სამუშაოდ, სადაც 1925 წლის მაისამდე მსახურობდა.

ყველა სიკეთესთან ერთად „იგი იყო მტკიცე ნებისყოფის, პრინციპული ადამიანი; მას ახასიათებდა უდიდესი გამბედაობა; დროს უქმად არასდროს კარგავდა. სახლში იყო თუ ლეგიონში, ყოველთვის კითხულობდა, კითხულობდა არა მარტო სამხედრო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, არამედ გულმოდგინედ ეცნობოდა მხატვრულ ლიტერატურასაც“,[5] — წერს მიხეილ გეთია.

1925 წელს კონსტანტინე დაოჯახდა და ცოლად ნინო შეწირული შეირთო.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის 1927 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით კ. ლესელიძე დაინიშნა პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონში ბატარეის მეთაურად, სადაც მუშაობდა 1928 წლის ოქტომბრამდე. 1928 წლის ოქტომბერში იგი გაგზავნილი იქნა ლენინგრადში, არტილერიის მეთაურთა დახელოვნების კურსებზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის ოქტომბერში.

1930 წლის იანვარში კ. ლესელიძე მე-5 ქართულ მსროლელ ლეგიონში დივიზიონის მეთაურად, ხოლო 1931 წლის აპრილში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ბრძანებით, ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მეთაურად და კომისრად დაინიშნა; ამავე დროს ასრულებდა დივიზიის არტილერიის უფროსის მოვალეობასაც.

იმავე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის 1937 წლის 30 ივლისის ბრძანებით, პოლკოვნიკი კ. ლესელიძე დაინიშნა ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურად, რომელსაც 1938 წლის 19 ივნისამდე ხელმძღვანელობდა.

ქართული ეროვნული ნაწილების დაშლასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის 1938 წლის 14 ივნისის ბრძანებით, კ. ლესელიძე გადაყვანილ იქნა ბელორუსიის ტერიტორიაზე განლაგებული მე-5 მსროლელი დივიზიის არტილერიის უფროსად, სადაც იმუშავა 1941 წლის თებერვლამდე. 1941 წლის 10 თებერვალს კ. ლესელიძე დაინიშნა მეორე მსროლელი კორპუსის არტილერიის უფროსად. მეორე მსოფლიო ომმა მას მინსკში მოუსწრო.

[5] **არქივი, 1777, ს. 47, ფ. 3.**

სსრ კავშირის თავდაცვის სახალსო კომისრის 1941 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით, პოლკოვნიკი კ. ლესელიძე დაინიშნა 50-ე არმიის სარდლის მოადგილედ და არმიის არტილერიის უფროსად. ერთ-ერთ წერილში, რომელსაც მეუღლეს, ნინოს წერდა, ვკითხულობთ: „ვიმყოფებით დასავლეთის უბანზე, სმოლენსკის მიმართულებით, ალბათ თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები და ჩვენ შემმუსრველ დარტყმებს ვაყენებთ მტერს“.[6]

პოლკოვნიკ კ. ლესელიძის შესახებ მისი სამხედრო მეგობარი და თანამებრძოლი გ. ყურაშვილი იგონებს: „ყველა დაუღალავად შრომობდა, ყველა ცდილობდა ბრიანსკი მტრისთვის მიუვალ ციხესიმაგრედ გადაექცია. დაიწყო იერიშები. ფაშისტთა ურდოებს წინ მიუძღოდა მრავალრიცხოვანი ტანკები, სიკვდილის მთესველი მანქანები, რომლებსაც ემბლემად კაცის თავის ქალა ეხატათ. მათ უკან ფეხდაფეხ მოდიოდნენ გერმანელი ოკუპანტები. ჰაერიდან ჩვენი ჯარების საბრძოლო განლაგებას ათასობით ბომბს უშენდა ჰიტლერელთა თვითმფრინავები. ათეულ ათასობით ავტომატი, ტყვიამფრქვევი და შაშხანა აფრქვევდა ცეცხლს. ისმოდა ტყვიების სტვენა-ზუზუნი. მიუხედავად ამისა, მტერმა ჩვენი მეომრების მტკიცე ნებისყოფა ვერ გასტეხა. კ. ლესელიძის არტილერისტებმა დიდი სამსახური გაუწიეს ქვეით შენაერთებს. მისი არტილერიის ზუსტმა ცეცხლმა მტრის „ქებული“ ბევრი ტანკი ნამსხვრევებად აქცია. რამდენიმე გააფთრებული იერიში უკუგდებულ იქნა“.[7]

საკავშირო თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების სარდლობის მიერ ბრიანსკში მაღალ დონეზე შესრულებული დავალებების, მამაცობისა და გმირობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით, პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[8]

ფრონტის ხაზიდან კონსტანტინე თავის ოჯახს სწერდა: „ძვირფასო ნინო, 25 დღეა ბრძოლაში ვართ. წმინდა ვალი სამშობლოს წინაშე ყველაფერზე მაღლა დგას. სტალინისათვის არ დავიშურებ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სისხლს. მკლავი და თვალი კარგად მიჭრის,

[6] “Заря Востока”, თბ., 1941, 16. 09.

[7] გ. ყურაშვილი, სამშობლოს ერთგული შვილები, თბ., 1965, გვ. 22.

[8] „წითელი ვარსკვლავის ორდენი” იყო უმაღლესი სამხედრო ორდენი, რომელიც დააწესა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1930 წლის 6 აპრილს. ორდენით აჯილდოებდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითებს და მეთაურებს; აგრეთვე ჯარის ნაწილებს, გემებს, დაწესებულებებს სსრკ თავდაცვის განმტკიცების საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი ღვაწლისა და დამსახურებისათვის.

მტერს არ გავახარებ. ჩემო საყვარელო მშობლებო! იცით, ჩემო კარგებო, რომ მე ვიბრძვი სახელოვან წითელარმიელებთან ერთად გამხეცებული მტრის — ფაშისტების — წინააღმდეგ. ერთ-ერთ ბრძოლაში ჩემმა მეგობრებმა ქვემეხის ცეცხლით გაარღვიეს მტრის რკალი. ჩვენ მიწა-წყალზე მტერი ვერ გაიხარებს, იყავით კარგად, თქვენი შვილი კოტე".[9]

ქ. ტულის ხელში ჩაგდებას გერმანელები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაც მათ მოსკოვზე იერიშის მიტანას გაუადვილებდა. სულ განხორციელდა სამი ფართომასშტაბიანი შეტევა: პირველი — 1941 წლის 9 ოქტომბერს, მეორე — 1941 წლის 6 ნოემბერს, ამ დროს პარალელური შეტევა მიმდინარეობდა მოსკოვისა და კალუგის ახლოს, ხოლო მესამე — იმავე წლის 18 ნოემბერს. საბჭოთა ჯარებმა, პოლკოვნიკ კ. ლესელიძის სარდლობით, გაათავისუფლეს ქალაქები: კალუგა, ალექსინი, სტალინგორსკი, ვენიოვი.

ტულასთან მიმდინარე ბრძოლებში დამაჯერებელი გამარჯვების აღსანიშნავად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 2 იანვრის ბრძანებულებით, კ. ლესელიძეს მიენიჭა გენერლის სამხედრო წოდება, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით, იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ტულას და კალუგას, ასევე ქალაქების: მასალსკის, მეშევსკის, სუხინიჩის და კოზელსკის განთავისუფლების შემდეგ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის განკარგულებით, გენერალი კ. ლესელიძე გადაყვანილ იქნა ამიერკავკასიის ფრონტზე და დაინიშნა მესამე მსროლელი კორპუსის მეთაურად. ამ კორპუსს დავალებული ჰქონდა უღელტეხილების: ქლუხორის[10], მარუხის,[11] სანჭაროს, აიშხას, პსეაშხას, ბელორეჩენსკაიას და ხოკუჩის დაცვა-გამაგრება.

გერმანელთა გეგმა იყო დაეკავებინათ: სტალინგრადი, სარატოვი, ბორისოგლები, კუიბიშევი და არზამასი, ამის შემდეგ უნდა აეღოთ საქართველო და შეჭრილიყვნენ აზერბაიჯანში. უშუალოდ ამ გეგმის ჩასაშლელად დაუყოვნებლივ შეიქმნა 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია გენერალ გ. ყურაშვილისა და პოდპოლკოვნიკის, პროფესორ ვ. ონიანის ხელმძღვანელობით, ხოლო მთავარ ძალას შეადგენდა

[9] **გაზ. კომუნისტი, თბ., 1941, 9 სექტემბერი.**

[10] **უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. კოდორის ხეობას აკავშირებს თებერდის ხეობასთან. სიმაღლე 2781 მ. აქ გადადის სოხუმის სამხედრო გზა.**

[11] **უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვერვალ მარუხის დასავლეთით, სიმაღლე 2746 მ. საცალფეხო გზა გადადის ყარაჩაი-ჩერქეზეთისკენ (პიატიგორსკისკენ).**

სვანებისგან დაკომპლექტებული რაზმები, რომელთაც კარგად იცოდნენ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის უღელტეხილები.

გერმანიის ცნობილი 49-ე დივიზია, რომელსაც სისასტიკით განთქმული გენერალი კონრადი მეთაურობდა, სხვადასხვა დანაყოფებით, ერთდროულად მოადგა ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილებს.

გენერალიტეტის გადაწყვეტილებით დამატებით შეიქმნა საგანგებო საბრძოლო გეგმა კავკასიის დაცვისთვის და ამ გეგმის განხორციელება და პასუხისმგებლობა სწორედ გენერალ ლესელიძეს დაევალა. 1942 წლის 3 აგვისტოდან კავკასიის მისადგომებთან დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები, გერმანულმა საავიაციო ბომბდამშენებმა 14 აგვისტოს დაბომბეს ქალაქი სოხუმი, მართალია, ზიანი დიდი არ იყო, მაგრამ საშიშროება თანდათან ახლოვდებოდა.

გენერალ ლესელიძის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით, 46-ე არმიის გენერალური შტაბი განთავსდა სოხუმში, თუმცა ფაშისტებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ქლუხორისა და მარუხის, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, სანჭაროს უღელტეხილიც.

ბრძოლები ხანგამოშვებით, მცირედი შესვენებებით, მაგრამ გააფთრებით მიდიოდა. ცხადია, სუსხიან და ცივ ზამთარში ფაშისტებმა ვერ შეძლეს უპირატესობის მოპოვება, ამას დაემატა მებრძოლთა თავდადება, გმირობა, სიმტკიცე, გამბედაობა და შედეგმაც არ დააყოვნა, 1943 წლის მარტში ფაშისტების მიერ დაკავებული ამიერკავკასიის ყველა მთავარი ქალაქი და უღელტეხილი, მათ შორის: მაიკოპი, ბელორეჩენსკაია, გუნურხვეტი, ტუაფსე, სოჭი, გუდაუთა.... განთავისუფლებულ იქნა!

ამ ბრძოლების შემდეგ, სსრ კავშირის მთავარსარდლის 1943 წლის 25 მარტის ბრძანებულებით, გენერალი კ. ლესელიძე დაინიშნა 47-ე არმიის სარდლად, ხოლო ორიოდე თვეში გადაყვანილ იქნა მე-18 არმიის სარდლად. სწორედ ამ არმიას მოუწია ბრძოლების წარმოება ნოვოროსიისკისა და კუნძულ ტამანის განთავისუფლებისათვის.

ბრძოლა ნოვოროსიისკისათვის იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უაღრესად მძიმე. ამის მიუხედავად სამშობლოს სიყვარულითა და გამარჯვების ჟინით შეპყრობილმა ჯარისკაცებმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს, რათა ფაშისტ დამპყრობლებისგან ეხსნათ განსაცდელში მყოფი ქალაქი და მისი მოსახლეობა.

გენერალ კ. ლესელიძის არმიის დანაყოფები წინ მედგრად მიიწევდნენ და 1943 წლის სექტემბერში ბრძოლა საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.[12]

ამ ისტორიული მოვლენის მეორე დღეს სტალინი წერდა: „ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შავი ზღვის ფლოტის გემებისა და ნაწილების თანამონაწილეობით, გაბედული ოპერაციის შედეგად, ხმელეთიდან დარტყმით და ზღვიდან დესანტის გადმოსხმით, ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, 1943 წლის 16 სექტემბერს იერიშით დაიკავეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადური და ქალაქი ნოვოროსიისკი. ამ ბრძოლაში თავი ისახელა გენერალი ლესელიძის ჯარებმა...“[13]

ამ მოვლენის აღსანიშნავად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1943 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულებით გენერალი კ. ლესელიძე დაჯილდოვდა სუვოროვის I ხარისხის ორდენით.[14]

ამის შემდეგ იყო ბრძოლა ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის მანძილზე.

13 თვის განმავლობაში (1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის ოქტომბრამდე) გერმანელი ფაშისტები შეუჩერებლად უტევდნენ შავი და აზოვის ზღვებისა და ქერჩის სრუტის მისადგომებს, კრასნოდარის მხარის პატარა ნახევარკუნძულს, უტევდნენ დასახლებულ პუნქტებსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, დაუნდობელი და მუხანათური ბრძოლებით თავს ესხმოდნენ ახლომახლო სოფლებს; მე-18 არმიის სარდლობისა და ჯარისკაცების უნარიანი, ტაქტიანი და გაბედული ბრძოლების წყალობით ტამანის ნახევარკუნძული გაათავისუფლეს 1943 წლის ოქტომბრის დასაწყისში.

ამის შესახებ იმავე თვის ჟურნალი „ბოლშევიკი“ აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი მთავარსარდლისა და სახკომსაბჭოს ბრძანებულებებს, სადაც ვკითხულობთ: „ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლება მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. ამ ფაქტის აღსანიშნავად ვბრძანებ: გენერ-

---

[12] 30 წლის შემდეგ, 1973 წლის 14 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ნოვოროსიისკს მიენიჭა „გმირი ქალაქის” წოდება.

[13] გაზ. კომუნისტი, 1943 წლის 17 სექტემბერი.

[14] უმაღლესი ჯილდო, რომლითაც სსრ კავშირის მთავარსარდალი ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აჯილდოებდა მარშლებს, გენერლებს და ოფიცრებს სანიმუშოდ ჩატარებული ბრძოლისა და ოპერაციებისათვის, რომელთა შედეგად მიღწეულ იქნა გამარჯვება.

ალ-ლეიტენანტ კ. ლესელიძეს მიენიჭოს გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება“. „ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე დაჯილდოვდეს კუტუზოვის I ხარისხის ორდენით“.

კავკასიის ბრძოლების შემდეგ იყო ბრძოლა უკრაინისთვის.

უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულებით გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე დაინიშნა I უკრაინული ფრონტის მე-18 არმიის სარდლად. მთლიან ფრონტს ხელმძღვანელობდა არმიის გენერალი ნ. ვატუტინი. უკრაინასთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ სტალინი ბრძანებს: „ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ ლიკვიდაცია უყო ფაშისტების მძლავრ თავდაცვას დნეპრზე, სწორედ გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის გონიერების წყალობით მიხვდნენ მტრის სარდლები, რომ ომის წარმატება შეუძლებელი იყო“.[15]

უკრაინასთან მიმდინარე ბრძოლების დროს არმიის პოლიტსამუშაოებს ხელმძღვანელობდა ლესელიძის გამორჩეული ოფიცერი და შემდგომში სსრ კავშირის ცეკას გენერალური მდივანი, ლეონიდ ბრეჟნევი. ამ ბრძოლების დროს ეტაპობრივად განთავისუფლდა ქალაქები: ბრუსილოვი, კორნინი და პოპელინი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის წარდგინებით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე დააჯილდოვა ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით.

ჟიტომირის ოლქის ქალაქ ბერდიჩევში ფაშისტებმა დახვრიტეს 30 000 ადამიანი, აწამეს და ცოცხლად დამარხეს ბავშვები. უკრაინული ფრონტის სხვა არმიებმა ვერ შეძლეს ამ რაიონიდან გერმანელების უკუგდება, მაგრამ ეს შეძლო ლესელიძის ჯარებმა. ეს იყო დიდი მხედართმთავრის უკანასკნელი ბრძოლა.

1944 წლის თებერვალში გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე ავად გახდა გრიპის ვირუსით, რასაც დაერთო სახსრების ანთებაც, აუცილებლი შეიქმნა მისი ჰოსპიტალიზაცია უკრაინის, კერძოდ, ჟიტომირის ოლქის ქალაქ ბერდიჩევის ახლოს მდებარე სოფელ პოლიჩინცაში, სადაც განთავსებული იყო სამხედრო-საველე ჰოსპიტალი.

მე-18 არმიის ექიმის თამარ გოთუას მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ: „ექიმების ცდა ამაო იყო. ავადმყოფის მდგომარეობა შესამჩნევად უარესდებოდა. მას მეტად დაუსივდა ფეხები, დაეწყო ფილ-

[15] **გაზ. “Тбилиси”, 1944, №12.**

ტვების ანთება და სახსრების საშინელი რევმატიული ტკივილი. ფეხებზე გავუკეთეთ თაბაშირი, მთელი ღამეები არ ეძინა. დღითიდღე უფრო ნერვიულობდა და მტკიცე ხასიათი უდუნდებოდა.

— პატივცემულო კოტე, ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად მიდის, რამდენიმე ხნის შემდეგ შეძლებთ ადგომას, – ვეუბნებოდი მას“.[16]

აუცილებლობიდან გამომდინარე, იგი მატარებლით გადაიყვანეს და 1944 წლის 14 თებერვალს ავადმყოფი მოათავსეს სსრ კავშირის თავდაცვის სამხედრო კომისარიატის ცენტრალურ ჰოსპიტალში. გარდაცვალების საექიმო დასკვნაში წერია: „სიკვდილის მიზეზია გულის მოქმედების გაჩერება. მნიშვნელოვანი დაავადებანი სიკვდილის მომენტისთვის: მარჯვენა ქვედა კიდურის სისხლძარღვების თრომბოფლებიტი, ტვინისა და ფილტვების ემბოლია. პაციენტი გარდაიცვალა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ჰოსპიტალში, 1944 წლის 21 თებერვალს“.

გასაკვირი არ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის, თავდაცვისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელების, ასევე ათიათასობით ადამიანის გულწრფელი მწუხარება მხედართმთავრის ნაადრევი და მოულოდნელი გარდაცვალების გამო: რასაც იმ დროინდელ პრესაში ვკითხულობთ, ეს არის მართლაც გულწრფელი მწუხარებისა და გულისტკივილის გამოვლინება.

ჯერ მოსკოვში, ომის ქარცეცხლში და მერე თბილისსა და მთელს საქართველოში არ შემწყდარა გლოვა და გოდება, დაშვებული იყო დროშები, ოფიცერთა სასახლე ჭირისუფლებისა და მხედართმთავართან გამოთხოვების მსურველებს ვერ იტევდა.

გაზეთი კომუნისტი წერს: „დიდი ხანია არ ახსოვს თბილისს ასეთი ამბავი. მთელი საზოგადოება, ხალხი, ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები, არმიის სარდლები, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები ემშვიდობებოდნენ მამაც და ღირსეულ მხედართმთავარს. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობის სახელით თანამებრძოლს გამოეთხოვა არმიის გენერალი ივან ტიულენევი: „ჩვენგან წავიდა უდიდესი ტალანტისა და სახელის მქონე მხედართუფროსი, მაგრამ სწორედ ლესელიძის დამსახურება იქნება ის, რომ დიდი სტალინის მთავარსარდლობით მალე გავწმენდთ ჩვენს სამშობლოს ჰიტლერული სიბილწისაგან“.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, რომელმაც სიტყვა ქართველი მეცნიერებისა და ინტელიგენციის სახელით წარმოთქვა, უთქვამს: **„კონ-**

[16] **არქივი, ფ. 2514, ს. 303, ფ. 10.**

სტანტინე ლესელიძე იბრძოდა ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ღირსებისათვის, მან ღირსეულად შეასრულა მხედართმთავრის მოვალეობა და წინ აღუდგა გააფთრებულ მტერს, რომელსაც სურდა ჩვენი აყვავებული ქვეყნის მოსპობა“.[17]

როგორც ჩანს, გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძეს [18] გვიან შეუტყვია ძვირფასი მეგობრისა და თანამებრძოლის გარდაცვალების ამბავი და მის მეუღლეს წერდა: **„მან არ იცოდა, რა არის შიში, მას ჰქონდა ერთი ამოცანა — მტრის განდევნა ჩვენი ქვეყნიდან და მისი მოსპობა, ამას იგი პირნათლად ასრულებდა. ამით ვამაყობდით ჩვენ, ქართველი ხალხი. ის მტრისთვის რისხვა იყო. კოტე იყო ჩვენი ერის საამაყო და ღირსეული შვილი“.**[19]

ქართველმა ხალხმა თავისი გამორჩეული შვილი, საბჭოთა ჯარების მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე 40 წლის ასაკში, 1944 წლის 26 თებერვალს დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქართულ მიწას მიაბარა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 13 მაისის ბრძანებულებით კონსტანტინე ლესელიძეს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ).

კონსტანტინე ლესელიძის შესახებ ვკითხულობთ: **„საბჭოთა კავშირის გამორჩეული მხედართმთავარის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის დამსახურებით, ფაშისტურმა გერმანიამ ვერ შეძლო დაეპყრო კიევი, ნოვოროსიისკი, ტამანის ნახევარკუნძული, ამიერკავკასია... მისი ბრძოლა სამშობლოსა და საბჭოთა ხალხისთვის იყო გმირობის და უკვდავების უდიდესი მაგალითი...“**[20]

„მე მომიხდა ბრძოლა ერთ-ერთ უნიჭიერეს საბჭოთა მხედართმთავართან – მე-18 არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძესთან ერთად. ფრონტზე ძალიან მალე მჟღავნდება ადამიანების ბუნება, იქ მაშინვე იგებ, ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამამახსოვრდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება, ეს იყო სიცოცხ-

---

[17] ხეც, აკად. ს. ჯანაშიას არქივი, საქ. 213

[18] საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა 1901 წელს ოზურგეთში, იბრძოდა სტალინგრადის ბრძოლაში, ყირიმთან, სევასტოპოლთან, სარდლობდა ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის განმათავისუფლებელ ჯარებს. იყო მე-2 გვარდიული არმიის სარდალი. გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, 1950 წელს. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის პანთეონში.

[19] არქივი. ს. 2514, ფ 25.

[20] **В. Гнеушев, А. Попутько, «Тайна Марухского ледника». Книга первая и вторая. Издательство «Советская Россия». Москва. 1966.**

ლით სავსე ვაჟკაცი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისთვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი და გულმგზნებარე“, — ასე შეაფასა სსრ კავშირის გენერალურმა მდივანმა ლენიდ ბრეჟნევმა თანამებრძოლი მის მშობლიურ საქართველოში სტუმრობისას, 1971 წელს.

1998 წელს ედიშერ ხოშტარია-ბროსემ გამოაქვეყნა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წერილები სათაურით „სტუმრად სტალინთან“ (აღსანიშნავია ისიც, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივი კარგა ხნის განმავლობაში მუშავდებოდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ნ. ბერძენიშვილის კაბინეტის ხელმძღვანელის, დოდო ლომიძის მიერ), სადაც კონსტანტინე ლესელიძეზე ვკითხულობთ: **„სტალინმა საუბარი ლესელიძეზე გადაიტანა, ნანობს მის სიკვდილს, ჩვენ ის გვინდოდა მთავარსარდლად, ჭკვიანი იყო, ნებისყოფაც ჰქონდა, ქვეითი არტილერიიდან იყო გამოსული, ცუდუბრალოდ დაიღუპა თავი, ნაადრევად ადგა“**.

ამაზე დიდი და გულწრფელი შეფასება უიშვიათესია. კონსტანტინეს რომ ეცოცხლა, დამსახურებულად მიიღებდა საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის (მარშალი) საპატიო წოდებას.

მრავალი გამორჩეული ლექსი უძღვნეს ცნობილმა პოეტებმა და რიგითმა ადამიანებმა[21] დიდებული მამულიშვილის ხსოვნას, მაგრამ განსაკუთრებით გულისამაჩუყებელია პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის გრძნობით სავსე სტრიქონები:

„ხანდახან მართლა მავიწყდება შენი სიკვდილი,
და როცა მესმის რადიოში მარშლის ბრძანება,
მე ისევ შენს გვარს ველოდები სულგაკმენდილი
და სიხარულში უშენობა დღეს მენანება.

ო, როგორ მსურდა, როგორ მსურდა, შენი სახელი
კვლავ ეთქვა ჩვენთვის გამარჯვების ახალ თარიღებს;
ბევრი წუხილი შევირიგე, ბევრი ნაღველი,
მაგრამ შენს სიკვდილს, მეგობარო, რა შემარიგებს.

დაჰკრავს საათი, დამყარდება ზავი საჯარო,
დაიშლებიან, დაუშვებენ ფარდებს ფრონტები

[21] კ. ლესელიძეს ლექსები უძღვნეს გ. ტაბიძემ, ხ. ბერულავამ, ა. შენგელაიამ, ბ. სტურუამ, მ. ფარულავამ, დ. გაჩეჩილაძემ, ი. ნონეშვილმა და სხვებმა. რ. ჯაფარიძემ მას დოკუმენტური მოთხრობა „მარუხის თეთრი ღამეები“ მიუძღვნა.

და როგორ მინდა, როგორ მინდა არ დავიჯერო,
რომ ნაომარი სამშობლოში არ დაბრუნდები“.[22]

ასევე, უაღრესად საინტერესოა უცნობი პოეტის, სერგო ყურაშვილის პოემა „სიტყვა გენერალ ლესელიძეზე“, რომელიც გამოქვეყნდა 1952 წელს და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ამ პოემაში ავტორი გადმოგვცემს კონსტანტინე ლესელიძის მიერ განვლილ ცხოვრების გზას დაბადებიდან ძეგლის დადგმამდე. მოკრძალებული, უბრალო, მაგრამ გულწრფელი სიტყვებით ამკობს დიდებული გენერლის ხსოვნას და შთამომავლობის სახელით ეფერება მის უკვდავ სულს.

ერთი წუთით არ დაუხევია უკან კონსტანტინეს, არც ერთხელ გადაუდგამს ნაბიჯი უკან, მუდამ წინ მიიწევდა – მედგრად, უშიშრად, ამაყად, ვაჟკაცურად. „საქართველოს მხსნელი“ — ასეთი ეპითეტით ამკობს პოეტი გმირ მეომარს. იგი იხსენებს ჩვენს გმირ წინაპრებს, რადგან სწორედ მათ აგონებს ლესელიძის ვაჟკაცობა:

„ქართველი ხალხი მხურვალე გულით
ავარვარებულ ლითონს გვაგონებს,
ახლაც ჩაგვესმის დავითის თქმული
— მკერდით ვიცავდი მშობელ მთაგორებს.
მხურვალე გული ქართველი ხალხის
სამშობლოსათვის ომში სალია,
სამგორის ველზე მხედარი დაჰქრის
და ეს მხედარი გორგასალია.
მამულისათვის გმირთა მახვილებს
ჟანგი არასროს არ ჩაჰყოლიათ,
და ზედ ბრწყინავდა წარწერა სისხლით:
— მეფე ერეკლე ისევ ლომია!
ხმალი ელავდა სააკაძისა
მტრის თავზე მძაფრად შემოქნეული,
სისხლის მწოველთა ურდო დაფლითა
და თქვა – არ ვნახოთ ჩვენში წყეული.
იქნებ გიძღოდა მათი აჩრდილი,
როცა მოკვეთე მკვლელებს თათები,
როცა საბრძოლო რუკა გაშალე,
სტალინზე ფიქრში ღამეს ათევდი!

[22] **გაზ. კომუნისტი, 1945 წლის 30 იანვარი.**

ბევრი ლამაზი ეპითეტი უძღვნა პოეტმა მხედართმთავარს, მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც ამ სტრიქონებში გამოხატა:

„ჩვენ ვერ მოგვისპობს სიკვდილი ღიმილს,
რადგან ასე სწამს ხალხს გამარჯვება.
შენი სახელი – მამაცი შვილის
შთამომავლობას ლამპრად დარჩება.

ლამპრად დარჩება... და ჟამის გასვლით
არ დაგივიწყებს ხალხი მშრომელი,
საფლავის თავზე ყვავილებს გაშლის
ჩვენი მაისი დაუჭკნობელი“.

თბილისში, მთაწმინდის რაიონში იყო ლესელიძის სახელობის ქუჩა, მას ახლა კოტე აფხაზის სახელი ჰქვია. იქვე, პატარა კეთილმოწყობილ სკვერში დგას ლესელიძის ძეგლი, რომლის ავტორი გახლავთ უდიდესი ქართველო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

უაღრესად სამწუხაროა, რომ წინა მთავრობის დროს თბილისის მესვეურებმა ამ ქუჩას სახელი შეუცვალეს.

ალბათ მოვა დრო და ლესელიძის ქუჩა დაიბრუნებს თავის კუთვნილ სახელს, რადგან ერთეულების შეხედულებისა და გემოვნების მიხედვით ისტორია არ უნდა იწერებოდეს. მაშინ, როცა მთელს თბილისში უამრავი უსახელო, ან არაფრისმთქმელი სახელების მატარებელი ქუჩებია, შეიძლებოდა რომელიმე მათგანს მინიჭებოდა კოტე აფხაზის სახელი და ლესელიძის ღირსება არ შეგველახა.

წელს მთელმა პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიომ დიდი ზეიმით აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო 70-ე წლისთავი. ამიტომაც გავიხსენეთ ჩვენი გმირი წინაპარი, კაცი, რომელმაც თავისი ღვაწლითა და თავდადებით დაიმკვიდრა ადგილი სახელოვან ქართველთა შორის.

გამორჩეული და გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის სული უფალმა მოიხსენოს და დაუმკვიდროს მას განსასვენებელი სავანესა მართალთასა, ამინ!



ნათელა არველაძე

იუპიტერ, შენ ცხარობ, მაშასადამე, მართალი არა ხარ!

რამდენიმე ხნის წინათ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის ხელმძღვანელობამ მორიგ პრემიერაზე მიგვიპატიჟა. ამჯერად დამდგმელმა გუნდმა **ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“** წარმოადგინა. ტრადიციისამებრ, სპექტაკლის შემდეგ ახალგარემონტებულ, მშვენიერ დარბაზში გაიმართა შეხვედრა სემოქმედებით გუნდთან. საზეიმო განწყობას, ქათქათა გარემოსთან ერთად, აჟიტირებული ახალგარზდობაც ქმნიდა. ამ თეატრს ჰყავს თავისი მაყურებელი, სამხატვრო ხელმძღვანელისა და მსახიობების ახალგაზრდა „ფანები“, მხარდამჭერი კრიტიკოსებიც. თეატრი მონაწილეობს არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებსა თუ თემატურ სასცენო ფორუმებზე, არაერთი გამარჯვება უზეიმიათ და ჯილდოც დაუმსახურებიათ.

არ შემიძლია, თავდაპირველად არ აღვნიშნო ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, **დავით დოიაშვილის,** დამსახურება: სათეატრო კრიტიკოსებსა და მასმედიის წარმომადგენლებს გვეძლევა საშუალება, საჯაროდ გამოვხატოთ მოსაზრებები სპექტაკლზე და ვიმსჯელოთ მომძლავრებულ სათეატრო ტენდენციებზე. ამგვარი „სამუშაო ატმოსფეროს“ შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია, მით უფრო ამჟამად, როდესაც საგაზეთო პუბლიკაციებისა თუ სატელევიზიო გადაცემების მონაწილეთა შორის იშვიათად წააწყდებით პროფესიონალ თეატრმცოდნეთა ანალიზით გამორჩეულ გამოსვლებს. ახლა, თითქმის, ყოველ გაზეთს საკუთარი ჟურნალისტ-მიმომხილველი ჰყავს, მას აქვს მინიჭებული უფლება-მოვალეობა გამოთქვას აზრი ქვეყნის კულტურის თაობაზე, მათ შორის სასცენო შემოქმედთა ნა-

მუშევარზე. ამ „ჯადოსნური წრის“ გარღვევა ადვილი არ არის.

სათეატრო კრიტიკოსებს ისევე გვესაჭიროება ტრიბუნა, როგორც რეჟისორებსა და მსახიობებს — სცენა. ამ თვალსაზრისითაც მეტად საგულისხმოა დავით დოიაშვილის ინიციატივა — დაგვითმოს ასპარეზი თეატრმცოდნეებს და ამით ხელი შეუწყოს ჩვენს დაოსტატებას, რაც აგრერიგად საშური ვითარებაა. სადღეისოდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამოისობით, თეატრმცოდნეებს მეტად შეზღუდული ასპარეზი გაგვაჩნია მსჯელობისათვის. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ასეთი შეხვედრები ღირსშესანიშნავია მრავალმხრივ, რადგანაც ამდიდრებს ორივე მხარეს, ბადებს ახალ მოსაზრებებს და არაერთ საგულისხმო პრობლემაზე დააფიქრებს თეატრსაც, თეატრმცოდნეებსაც, ჟურნალისტთა კორპუსსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეხვედრის დროს ზოგჯერ თეატრის ხელმძღვანელს ღალატობს სიდარბაისლე, მასპინძლის სიდინჯე და უჭირს კრიტიკის მოსმენა, მაინც ვფიქრობ: იმდენად საგულისხმოა თეატრისა და კრიტიკოსთა ამგვარი ურთიერთობა, რომ ღირს კრიტიკოსებმა გავუძლოთ გულჯავრიან შემოტევას. ამიტომაც შევუნდე ერთი ასეთი, გაცხარება დავით დოიაშვილს. ჩვენში კრიტიკის მოსმენის კულტურა იშვიათობაა, მით უფრო, როცა „გულმხურვალე ფანები“ ხოტბას არ იშურებენ, ხოლო კრიტიკოსთა ნაწილი სიფრთხილეს იჩენს. ამ ფონზე შენიშვნების მოსმენა, ან პროფესიული ანალიზის შესმენა ძალიან ჭირს და თუ მაინც მავანი თეატრმცოდნე გამოიჩენს გაბედულებას და გულწრფელად გამოხატავს კრიტიკულ ნააზრევს — ის შერისხული ხდება.

ამ შეხვედრის დროს დავით დოიაშვილი და სპექტაკლის დამდგმელი, **მიხეილ ჩარკვიანი,** მშვიდად ისმენდნენ ხოტბას, ყმაწვილი ქალბატონების აღფრთოვანებულ გამოსვლებს, რამდენიმე თეატრმცოდნის მორიდებულ კრიტიკას. ერთმა ისიც განაცხადა: დანარჩენს მერე გეტყვით, ახლა მეჩქარებაო და რამდენიმემ დატოვა დარბაზი. თეატრის ხელმძღვანელი და დამდგმელი რეჟისორი წყნარად შეჰყურებდნენ „ბრძოლის ველს“ გარიდებულ თეატრმცოდნეებს, არც მაშინ გამოუხატავთ პროტესტი, როცა ახალგაზრდა ქალბატონმა რიხით განაცხადა: „რეჟისორმა არ დაკარგა დრამატურგი“... არც ერთს გასჩენია სურვილი — ეკითხათ მაინც, რას გულისხმობდა ამ სენტენციით ემოციური ყმაწვილი ქალი. მთავარი იყო ის, რომ გამომსვლელი სპექტაკლს აქებდა!

სიტუაცია დაიძაბა მას შემდეგ, როდესაც მიკროფონი გადმომცა

ჩემმა კოლეგამ და გამომწვევად შემომხედა. როგორც ჩანს, სახეზე მეწერა — აღფრთოვანებული რომ არ ვიყავი სანახაობით. დავიწყე საუბარი და თან ვცდილობდი მღელვარება დამეფარა, მშვიდად და წყნარად გამომეთქვა მოსაზრება პიესის ინტერპრეტაციის თაობაზე, პერსონაჟთა შინაგანი სვლების მოტივაციასა და გამოსახვის საშუალებათა ადეკვატურობაზე, ყოველთვის მომხრე ვარ და მხარს ვუჭერ დამდგმელის რისკიან გადაწყვეტას, პიესის ახლებურ წაკითხვას, მით უფრო კლასიკური რეპერტუარის მოდერნულ სასცენო ადაპტაციას. ჩემთვის მთავარია ამ რისკიანი მხატვრული გადაწყვეტის დროს მოტივაცია მკაფიოდ ჩანდეს და ლოგიკური სვლებით განვითარდეს მოქმედება. ამ პრინციპით მივუდექით სპექტაკლს.

ჩემი პოზიცია ასეთი გახლდათ (ვცდილობდი აუღელვებლად მელაპარაკა!): პიესის სასცენო ვარიანტით თუ ვიმსჯელებთ, რეჟისორმა აქცენტი გადაიტანა შედეგზე და ნაკლებად გამოიკვეთა მიზეზი, რის გამოც ირღვევა და თანდათან ინგრევა ოჯახი, წინაპარ-შთამომავლის ურთიერთობანი. უფრო მეტიც — განწირულია ალვინგების მომავალი თაობა, პიესის ხელშეუხებლობას არ ვიცავ, როგორც გინდათ, ისე წარმოადგინეთ ამბავი, მხოლოდ ღრმად ამოხსენით და სახიერი სვლებით წარმოადგინეთ რატომ და როგორ ირღვევა ოჯახი, ოჯახური ურთიერთობანი.

იბსენის პიესის „მთავარი მოქმედი პირი“ — სიცრუეა და სიყალბეა, რომელმაც მიიყვანა ოჯახი, ქალბატონი ალგვინიცა და ოსვალდიც ამ დრამატულ სიტუაციამდე, *ამ შედეგამდე.* აქ „ძეგლს უდგამენ“ ფსევდოკერპს, უზნეობას, ამდენად საძირკველს უმაგრებენ სიყალბეს, რაც თავისთავად ნიშნავს ოჯახის საფუძვლის რყევას, ლპობას. ფაქტის დისტანციურმა შეფასებამაც ვერ იხსნა ოჯახი, რადგანაც ქალბატონი ალვინგი მყარად იცავს მითს, რომელიც შეთხზა და რომელსაც ემსახურა წლების მანძილზე. თავის დროზე მან მიიღო სიყალბე, იცხოვრა ამ სიყალბეში და ახლა თავშესაფრის სახით ძეგლს აღუმართავს უზნეო მეუღლის ხსოვნას, ე. ი. უზნეობას! ამ თვალთახედვით თუ წარმოვადგენთ სანახაობას, ჩემი ფიქრით, უფრო აქტუალური იქნება იგი. ჩვენც ხომ სიყალბის ჭაობში ჩავიძირეთ, ჩვენც ხომ ფსევდოკერპებს არაერთგზის აღვუმართეთ ძეგლები!..

კი ბატონო! შეცვალეთ აქცენტი, ქვეტექსტი, გაემიჯნეთ პიესის ტრადიციულ ინტერპრეტაციას, გაემიჯნეთ იბსენ — ფრეიდის კონცეფციას, მაგრამ შემოგვთავაზეთ მოტივირებული და ახალი ვითარება, ასეთივე დამაჯერებლობითა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირით.

საქმეს ვერ შველის შვილის აგრესიის წარმოჩენა დედის მიმართ, თუნდაც, თმებით რომ დაითრევს ოსვალდი მშობელს — ეს აღიქმება თანამედროვე სამყაროს გაუხეშების ფაქტად, და არა უსიყვარულო ოჯახის, მრუშობაზე აღმოცენებული ოჯახური ურთიერთობის სავალალო შედეგად. ახლა მეცნიერება, ხელოვნება, ინტელექტუალური სამყარო ჩაუღრმავდა, შეისწავლა, შეიმეცნა რა წარსული, იქაც დაეძებს თანამედროვე სამყაროს სახეცვლილების რაობას. აქცენტი მიზეზ-შედეგობრივ კავშირის ამოხსნაზეა გადატანილი.

თუკი ოჯახს განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს მიკრომოდელს, მაშინ უფრო მასშტაბური ხდება პრობლემა, რომელიც სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხთა წყებას განეკუთვნება. აღსანიშნავია ისიც, შემთხვევითი ხომ არ არის, რომ კონფლიქტის სათავეს პასტორთან მივყავართ, ისაა ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ფაქტია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერება და მწერლობა ჩაუღრმავდა საზოგადოების ზნეობრივი სიმყარის მიმართ ეკლესიის მამათა პასუხისმგებლობასაც. შემდგომ, ახალ საუკუნეში უფრო მძაფრი რეაქცია მოჰყვა ამ პოზიციას და ინტელექტუალებს რისხვით აღმოხდათ: „ღმერთებს სძინავთ! ღმერთი მოკვდა!“ შემდეგში თანდათან სასიკეთოდ შეიცვალა ვითარება.

იბსენის პიესა იმ მონაკვეთის ამბავს მოგვითხრობს, როდესაც მორალისტი პასტორის ფსევდოპრინციპულობამაც დაუდო სათავე ალვინგების ოჯახის დრამას. ამ თვალსაზისით მეტად საგულისხმოა ქალბატონი ალვინგისა და პასტორის დიალოგი თავშესაფრის გახსნის წინა დღეს. ეს ეპიზოდი რთული შინაგანი სვლებით, ორი ადამიანის ორთაბრძოლის სიმწვავით თუ არ ამოიხსნა, გაუგებარი იქნება სანახაობის მეორე ნაწილი. შესაძლოა აქცენტების გადაადგილებამ, სიღრმისეული სვლების ნიველირებამ, დაპირისპირებულ მხარეთა სურვილების, ქცევისა და შეფასებათა არაადეკვატურობამ სწორხაზოვანი გახადა დიალოგი, მთლიანად მოვლენა, შესაძლოა ამიტომაც მომეჩვენა ხელოვნური ქალბატონი ალვინგის ინტონაცია და საქციელი.

აქ მრისხანედ შემაწყვეტინა სამხატვრო ხელმძღვანელმა მონოლოგი და მკაცრად მკითხა — რას გულისხმობთ ხელოვნურ შესრულებაშიო. რა თქმა უნდა, მოჭარბებული ხოტბის ფონზე ჩემმა შენიშვნამ გააღიზიანა თეატრის ხელმძღვანელი. მშვიდად გავაგრძელე საუბარი — ხელოვნურად ჟღერს მსახიობის რეპლიკა, მისი ინტონაცია. რაც შეეხება სანახაობის მეორე ნაწილს, რეჟისორის აგრესია მეტად საცნაური ხდება, გამოსახვის ფორმაც მკვეთრი და სასტიკი

ხდება. როგორც უკვე აღვნიშნე, შვილი დედას თმით ითრევს, უხეშად მოისვრის. საერთოდ ოსვალდი საკმაოდ დაუნდობლად ექცევა ყველას. აგრესიულობა მისი ხასიათის მთავარი ფერი, მამოძრავებელი ღერძია. ასე აქვს ჩაფიქრებული რეჟისორს და, როგორც ჩანს, მსახიობიც დაჰყვა მის ნებას. იღებ თუ არ იღებ ალვინგების ოჯახის წევრთა ხასიათების ასეთ გადაწყვეტას ფაქტია, რომ დადგმის მეორე ნაწილი, ანუ შედეგი — უფრო გამოკვეთილად გათამაშდა, თვალნათლივ დავინახეთ მათი აგრესიულობაც და ურთიერთუპატივცემულობაც, დაუნდობლობაც და სიყვარულის დეფიციტიც. მკრთალად გაკრთა ნოსტალგიაც გულწრფელობასა და ჭეშმარიტ სიყვარულზეც, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ვიდაოთ გამოსახვის საშუალებათა სიმძაფრეზე, ერთსახოვნებაზე, სიტლანქეზე...

დავით დოიაშვილი არ მისმენს, ის კვლავ მღელვარედ გაიძახის: „რას ნიშნავს ხელოვნური შესრულება? მე ხვალ უნდა შევიდე რეპეტიციაზე და როგორ ავუხსნა მსახიობს, რომ არაბუნებრივად თამაშობს. რას ნიშნავს ეს?“ ის მხოლოდ მოწვეულ დამდგმელ რეჟისორს კი არ იცავს, მას კიდევ უფრო „მნიშვნელოვანი“ ამოცანა ამოძრავებს. ჩვენ ხომ ადამიანთა საქციელის მოტივაციათა ამოცნობის ხელობას ვფლობთ, მივხვდი რატომაც გაცხარდა იგი, გული დამწყდა, რომ ჩვენ ერთ „სათეატრო ენაზე“ ვმეტყველებდით... მან გადახედა დარბაზს და კიდევ უფრო შეგულიანებულმა, მძაფრად აღიმაღლა ხმა. ყვირილში ვერ ავყვებოდი. ის, რაც ეპატიება შემოქმედს, არ ეპატიება კრიტიკოსს! ამიტომაც მშვიდად შევახსენე ერთი „მარტივი ფორმულა“, რომელიც მან ძალიან კარგად იცის (ის ხომ მიხეილ თუმანიშვილის შეგირდია!): „როცა მოცემული პირობები, მოტივაცია, ტექსტი და ქვეტექსტი შეუთავსებელია, საქციელიც და ინტონაციაც არა ბუნებრივია, ეს ხომ...“ ის აღარ მისმენს, ცხარობს: „რას ნიშნავს ხელოვნურობა? რატომ? აი, სხვებს ასე არ მიაჩნიათ!..“

ძნელია მღელვარების დაოკება, მაგრამ წონასწორობის დაკარგვის უფლება არა მაქვს, ეს უკვე პროფესიული და ადამიანური ღირსების საქმეა! ისევ წყნარად ვიმეორებ „ფორმულას“ და ვამბობ: „გამოვთქვი საკუთარი მოსაზრება, როგორც ჩემმა კოლეგებმა, დარბაზმა გადაწყვიტოს ვინ გულწრფელია და ვინ არა. სხვებს მოეწონათ, მე — არა! თქვენ, ახლა მსახიობებიც და მსმენელებიც მყავს მხედველობაში, მოისმინეთ სხვადასხვა მოსაზრება, თქვენი ნებაა რას გაიზიარებთ და რას — არა. კიდევ ერთხელ ვამბობ — კრიტიკოსის შეფასება ხომ არ არის უმაღლესი ინსტანცია, გაიზიარებთ

ჩემს მოსაზრებას — ხომ კარგი და თუ არა — ეს თქვენი ნებაა!..“ აუდიტორია დუმს, მავანი გაოგნებულია, მავანი შემცბარია, სეირის მოყვარულნი იღიმებიან... ზოგიერთის სახეზე თანახმიერებასა და თანაგრძნობასაც „ვკითხულობდი“. გამოცდილებით ვიცი, ჩემი კოლეგები აშკარად მხარს არ დამიჭერენ.

დავით დოიაშვილი არ მისმენს, ისევ მთელი ხმით იმეორებს: რას ნიშნავს, რას ნიშნავსო! და თან დარბაზს გამომცდელად შეჰყურებს. მისი აღშფოთების მოტივაცია ჩემთვის ნათელია: მას ამჯერად ის კი არ აწუხებს, რამდენად სამართლიანი და დასაბუთებულია ჩემი შენიშვნები, მას მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა, დარბაზზე ზემოქმედების გაძლიერება სურს აი, როგორ ვექცევი კრიტიკოსს, რომელიც გაბედავს შენიშვნის მოცემასო; უფრო მეტიც — მისი ამოცანაა, უჩვენოს ყველას (დამდგმელ გუნდს, დამდგმელ რეჟისორს, თეატრმცოდნეებს, ჟურნალისტებს, ყველას, ყველას, ყველას!..), რომ კრიტიკოსი დაუსაბუთებლად მსჯელობს, მას არგუმენტები არ გააჩნია... დათო კმაყოფილია, მოსწონს კიდეც დარბაზზე ძალადობა.

გონებაში მიტრიალებს კითხვა: როგორ მოვიქცე? ერთი პირობა გადავწყვიტე, სრული სიმართლე ხომ არ მეთქვა: ამოხსნილი არ არის პერსონაჟთა შინაგანი სვლები, დიალოგები მიმდინარეობს სწორხაზოვნად, სანახაობის პირველი ნაწილი, სადაც ოჯახური დრამის მიზეზები უნდა გამოიკვეთოს, არ ჩანს როგორ რეაგირებს ქალბატონი ალვინგი (ის თითქმის მთელი ეპიზოდის მანძილზე მაყურებელთან ზურგშექცევით ზის) პასტორის ბრალდებებზე, ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერც ვგრძნობთ, ვერც ვხვდებით რა ემართება ქალს, როგორ მწიფდება მასში სახიფათო გადაწყვეტილება, როგორ რეაგირებს იგი პასტორის რეპლიკებზე. ჩვენ კი მაყურებლები ვართ და ამ შეფასებების სანახავად მოვდივართ თეატრში. ჩვენ რადიომსმენელებად ვიქეცით. ტექსტის მიხედვით კი, ამ ეპიზოდში ურთულესი ორთაბრძოლა იმართება ორ ადამიანს შორის. ეს არის უმძიმესი ბრძოლა პერსონაჟებისა საკუთარ თავთან და პარტნიორთან ერთდროულად. მოცემული პირობები კი, უაღრესად დაძაბულია, კრიტიკულ ზღვარზე იმყოფებიან პერსონაჟები: ხვალ ერთმა მოძულებული მეუღლისადმი მიძღვნილი თავშესაფარი უნდა გახსნას, მეორემ კი — სიტყვა უნდა წარმოთქვას; ხოლო ის, ვისაც ხვალ „ძეგლი უნდა აღუმართონ“, ლოთი, მრუში და უზნეო იყო. ორივემ იცის — სიყალბე რომ არის მათი ქმედება, მაგრამ ისინი ასეთ ცხოვრებას შეეჩვივნენ, თვალთმაქცობენ, ცრუობენ, ძალადობენ... სიყალბეს თვინიერად მსახურებენ!

დიალოგი რადიკალურად იცვლება, როდესაც პასტორი ბრალს სდებს ქალს შვილის მიმართ მკაცრი დამოკიდებულების გამო: რატომ მოსწყვიტე ოჯახს და უცხოეთს რატომ გააგზავნე შვილიო (მან ხომ კარგად იცის, ქალმა ლოთ და მრუშ მამას ჩამოაშორა შვილი, ძალადობა აარიდა შვილს!). ამ მომენტიდან იწყება ახალი მოვლენა: ქალბატონი ალვინგი იღებს გადაწყვეტილებას, აღარასოდეს დაუზავდება სიყალბეს! ოსვალდმა მრუში მამისგან შთამომავლობით „შეიძინა“ სენი, რომელმაც მისი შინაგანი რღვევა, გახრწნა, გონების სისუსტე გამოიწვია. შედეგი მეტისმეტად მძიმეა დედისათვის.

სავალდებულო არ არის ასეთი ლოგიკით ამოიხსნას ეს მოვლენა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დიალოგის სიმძაფრე რელიეფურად რომ მიმდინარეობდეს და ჩანდეს მოქმედ პირთა შინაგანი რყევები, უფრო საინტერესო იქნებოდა დადგმა. სხვა შენიშვნებიც მაქვს, მაგრამ... ჩვენს დიალოგს აზრი არა აქვს, მან დაკარგა მოსმენის, უფრო მეტი — შესმენის უნარი. კამათი კამათისათვის კი, ჩემთვის მიუღებელია...

სამხატვრო ხელმძღვანელს სიტყვა ჩამოართვა დამდგმელმა რეჟისორმა, მიხეილ ჩარკვიანმა. გაღიზიანებულმა მკაცრად და დაჯერებით გვითხრა, რომ წინააღმდეგი იყო ასეთი შეხვედრისა. შემდეგ ახსნა, რატომ აირჩია ეს პიესა და რატომ განახორციელა დადგმა ასეთი ინტერპრეტაციით: „ბათუმში მომიწია კარგა ხანს ყოფნა. ჩვენი სასტუმროს წინ ცხოვრობდნენ ირანელი ცოლ-ქმარი. ყოველ საღამოს ქმარი სცემდა ცოლს. ჩვენ ვრეკავდით პოლიციაში, იჭერდნენ კაცს, მალევე ათავისუფლებდნენ. ქმარი ისევ სცემდა ცოლს, ჩვენ ისევ ვრეკავდით პოლიციაში, ისევ იჭერდნენ კაცს, მალე ისევ ათავისუფლებდნენ. კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ამბავი. ბოლოს ცოლი მოგვივარდა — დაგვანებეთ თავიო. მე არ მინდა ვცხოვრობდე ისეთ ქვეყანაში, სადაც ქალზე ძალადობენ!..“

მიხეილ ჩარკვიანი ლაპარაკობდა ცხარედ, მკაცრად, ნიშნის მოგებით. თავის სისწორესა და ხელშეუხებლობაში ღრმად დაჯერებულმა გააგრძელა სიტყვა... აგრესია ნიაღვარივით გადმოედინებოდა მუქარის ტონით, თითქოს ვინმეს მოსწონდა ძალადობა და თავად გმირულად ეწინააღმდეგებოდა მოზვავებულ ძალმომრეობას. ის ლაპარაკობდა მკაცრად, გაცხარებით, ემოციურად!

ის ამბობდა, რომ წინააღმდეგია ქალზე ძალადობისა — ამაზე დადგა იბსენის დრამა; ამაყობს, რომ აუჯანყდა და იცავს გენდერულ თანასწორობას... გამახსენდა ამ ბოლო დროს ტელეეკრანზე ხშირად მოსაუბრე ყმაწვილი ქალბატონები, აგრესიულად რომ გვმოძღვრავენ

გენდერული თანასწორობის დარღვევის გამო, ისინიც აგრესიულად ლაპარაკობენ. ახლა ამგვარი პოზიცია ძალზე მოდურია. რეჟისორი იცავს ქალის უფლებებს, იცავს ქალს ძალადობისაგან, თავად კი, ყოველი სახის ძალადობის, საერთოდ ძალმომრეობის წინააღმდეგი ვარ! მათ შორის სახელმწიფოს ტოტალური ძალადობისა! მას აწუხებს ქალთა უფლებების პრობლემა, მე — ყოველი ცოცხალი არსებისა, მით უფრო ყოველი ადამიანისა; მას აწუხებს ქალთა უფლებების პრობლემა, მე — ყოველი ცოცხალი არსებისა, მით უფრო ყოველი ადამიანისა; მას აწუხებს ირანელი ქმრის ცოლზე ძალადობის ფაქტი, მე კი გარდა ამისა, ისიც მიფორიაქებს სულს, როგორ მოხვდნენ ირანელი ცოლ-ქმარი ბათუმში, ის მიკლავს გულს, როგორ იყიდება მცირემიწიანი ქართველთა საცხოვრისი უცხოელებზე; იმ სიყალბის ზეწოლით ვარ აღშფოთებული, რომლის ჭაობშიც ვიხრჩობოდით კომუნისტ-კომკავშირელთა ძალმომრეობით, მათი ძალაუფლების რესტავრაციის ეპოქაშიც; სიმშვიდეს მაკარგვინებს, როცა ხელისუფლება ძალადობს ადამიანებზე, ძალადობს ქუჩაში, ციხეებში, დაწესებულებებში, მერე კი ურცხვად „იცავს“ დემოკრატიის პრინციპებს. და... შიში დაძრწის, ანადგურებს ადამიანს, აიძულებს თვინიერად მიიღოს სიყალბე! ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია ძალადობა, სიყალბე, სიცრუე, თვალთმაქცობა, შიში, მძულვარება, სიყვარულისა და სიკეთის დეფიციტი — ყოველივე ის, რაც ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი იავარქმნილი ყოფისა.

გულდამძიმებული შევყურებდი თავდაჯერებულ და აგრესიულ ახალგაზრდა რეჟისორს. ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩვენ არა მარტო სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, არამედ სხვადასხვა პლანეტაზეც ვცხოვრობთ. ამ საწუხარმა გადამაფიქრებინა, გამეგრძელებინა დიალოგი დამდგმელ გუნდთან. ყმაწვილი კაცი კი, კვლავ ცხარედ, იმპერატივით და მკაცრად საუბრობდა. ის არც კი დაფიქრებულა, რომ იმ წუთში ძალადობდა დარბაზზე!

ისღა დამრჩენია, ერთი გამოთქმა მოვიშველიო: „იუპიტერ, შენ ცხარობ, მაშასადამე, მართალი არა ხარ!“

P. S. მხოლოდ იმიტომ გამომაქვს მკითხველის სამსჯავროზე ეს ფაქტი, რომ იგი არ არის ერთი კერძო მნიშვნელობის შემთხვევა. მას შორს მიმავალი პერსპექტივა გააჩნია. საწუხარია მეტისმეტად! ისიც დასანანია, კრიტიკის მოსმენის კულტურის დეფიციტს რომ განვიცდით ამჟამად.



ბორის დარჩია

ბრძოლები იოსებ სტალინის ლექსების წინააღმდეგ

ვიდრე უშუალოდ აღნიშნულ საკითხზე ვიმსჯელებდეთ, მანამ ზოგი რამ ამ ლექსების შესახებ.

თუ როგორ შეიქმნა და გამოქვეყნდა ისინი, გვიამბობს ი. სტალინის თანასემინარიელი მეგობარი **პეტრე კაპანაძე**. ამთავითვე უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჭაბუკი სოსო ჯუღაშვილი დიდი ილიას მიმართ თავიდანვე რა მოწიწებითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული: „მუდამ საღი ატმოსფეროს მაძიებელ სოსოს, — მოგვითხრობს პ. კაპანაძე, — თბილისის პოპულარულ გამ-ომცემლობებთან ცოცხალი კავშირი ჰქონდა. ფხიზლად თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, პუბ-ლიცისტიკას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, ბელეტრისტიკასა და ისტორიას გატაცებით კითხულობდა. სემინარიის მეორე კლასში იყო, რომ თითონაც სცადა წერა. პირველი მისი ნაწარმოები ლექსები იყო. რამდენიმე ლექსი ამხანაგთა მცირე წრეს წაუკითხა.

ამხანაგებს ძალიან მოეწონათ სოსოს ლექსები, ზოგი პირდაპირ აღტაცებული იყო. ამხანაგებმა ურჩიეს ლექსი წაეღო გაზეთში დასაბეჭდად. იმ ხანად გაზეთი «ივერია» გამოდიოდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.

სოსო დიდ უარზე იდგა, მორცხვობდა, ეკრძალებოდა, მაგრამ ბოლოს *ამხანაგთა დაჟინებითი მოთხოვნით, როგორც იყო*, რედა-ქციისაკენ გაემართა. რედაქციაში «მეველე» (დავით მიქელაძე) დახვედროდა და სოსოს განცხადებაზე – მინდა რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ვნახოო, — უპასუხნია, ამჟამად ილია აქ არ არის და ხვალ შეგიძლია ნახვაო.

სოსოს *აღარ უნდოდა მეორედ წასვლა რედაქციაში. ამხანაგები*

აღარ მოეშვნენ. მეორე დღეს სოსომ «მეველის» მითითებით *მოკრძალებით შეაღო* ილიას კაბინეტის კარი და *თავმდაბალი* სალამი მისცა დიდ მწერალს. როცა ილია შეეკითხა, – ახალგაზრდავ, რა გინდაო, – სოსომ *მოკრძალებით* გაუწოდა თავისი დაწერილი ლექსი.

სოსო გულისძგერით მოელოდა ილიას მსჯავრს. გაათავა ილიამ ლექსის წაკითხვა, ცოტა შეისვენა, რამდენჯერმე შეხედა მის ავტორს, წამოდგა, მხარზე ხელი დაადო სოსოს და უთხრა — «კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, სწერე და კარგი მწერალი იქნებიო».

სოსო გახარებული და კმაყოფილი დაბრუნდა. არანაკლებ სასიამოვნოდ დაგვრჩა ეს გარემოება მის მეგობრებსაც. ჩქარა მისი ლექსი «ივერიაში» დაიბეჭდა და ჩვენს სიხარულს დასასრული არ ჰქონდა. მახსოვს, ის ნომერი გაზეთისა მოწაფეთა ხელიდან ხელში გადადიოდა...“[1]

იური სიხარულიძე გვაცნობს ამ ლექსის ზოგიერთ მხარეს, რა რედაქციული ცვლილებები გაიარა მან შემდგომ პუბლიკაციებში: „ეს მართლაც დიდი წარმატება იყო და სიხარულიც კანონიერი, მაგრამ იმ დროს, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა»-შიც შევიდოდა. ამ გარემოებამ დიდად გაზარდა ინტერესი ი. ჯუღაშვილის ამ ლექსისადმი და არაერთ მოაზროვნეს აღუძრა სურვილი მისი საიდუმლოს ამოცნობისა. მათ გულდაგულ შეისწავლეს ლექსის ყოველი სტრიქონი და თითოეული სიტყვაც კი.

ასეთი მუშაობა ჯერ კიდევ მისი «დედა ენაში» შეტანის წინ ჩატარდა.

ამ საქმის შემოქმედთათვის აშკარა იყო, რომ სასწავლო წიგნში ლექსი უსათაუროდ არ შეიძლებოდა დარჩენილიყო და მისი დასათაურებაც სცადეს. ამ ცდის შედეგია ის «დილა», რომლითაც დღემდე იწოდება ეს ლექსი.

გარეგნულად მართლაც გაზაფხულის დილის მშვენიერი სურათია აქ მოცემული, მაგრამ ეს მხოლოდ ბრწყინვალე ფონია იმ აზრის გამოსახატავად, რასაც ასე ესათუთებოდნენ გვიანთერგდალეულები.

ამიტომ გაუღო ასე ფართოდ რედაქციის კარი სწორედ ივერიის» რედაქტორმა ამ ახალგაზრდა და საიმედო მომავლის პოეტს.

თუ სათაურმა ლექსის მთავარი აზრი უნდა გადმოსცეს, მაშინ ამ ლექსის სათაურად «დილა» არ გამოდგება.

არ შეიძლება ამაზე არ დაფიქრებულიყო სათაურის ავტორი, მა-

[1] **პ. *კაპანაძე*, ბელადის ბავშვობა და ყრმობა (მოგონება), თბ., 1945, გვ. 54-55.**

გრამ ეტყობა, უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებია და ბედმაც გაუღიმა, რადგან დღემდე არავინ შეკამათებია.

ამ ლექსის «დედა ენა»-ში შეტანის ჟამს ამ სიახლით (დასათაურებით) არ დაკმაყოფილდნენ და ტექსტშიც რამდენიმე ცვლილება განახორციელეს.

პირველი სიტყვა, რომლის შეცვლა აქ რედაქციამ ცნო საჭიროდ, ეს გახლდათ მეორე ტაეპის პირველი სტრიქონის მეორე სიტყვა «მაღლა». «*ტოროლა მაღლა ღრუბლებში*», — ასე იყო ი. ჯუღაშვილის ლექსის ივერიასეულ პუბლიკაციაში. რედაქციამ ამ სტრიქონის «მაღლა»-ს ამავე სიტყვის სხვა ფორმა «მაღალს» ამჯობინა. ჩვენ არ ვიცით, რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ამას აკეთებდნენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სრულებით არ ჩანს ისეთი შესწორება, რომელიც ლექსის გაუმჯობესებას უწყობდეს ხელს. პირიქით, ის მნიშვნელოვნად აბუნდოვანებს კიდეც იმ აზრს, რომელსაც ასე ნათლად წარმოგვიჩენს ავტორისეული «მაღლა».

აქ რომ «მაღალს» «მაღლა» სჯობს, ამაში სულკურთხეული აკაკი გვაიმედებს, რომელიც 1897 წელს დაბეჭდილ ერთ პოემაში («ნათელა») ტოროლას სწორედ «მაღლა ჰაერში» მიუჩენს ადგილს.

(...) ჩვენი აზრით, ი. ჯუღაშვილის ლექსის მეორე ტაეპის მესამე სტრიქონის ბოლო ორი სიტყვაც (....«გრძნობით აღვსილი») არაადეკვატურადაა შესწორებული. «დედა ენის» რედაქცია ავტორის ამ სიტყვების ნაცვლად «გახარებულს» გვთა-ვაზობს, მაგრამ ეს «გრძნობით აღვსილი»-ს ბადალი სრულებით არ არის და ერთგვარად აუბრალოებს კიდეც ამ დიდებულ ლექსს.

რაც შეეხება არაარსებითი ხასიათის ცვლილებებს, რაც ავტორის მოწოდებაზე წინწკლების მოხსნითა და ყავლგასულ **ჰ**-აეს ამოგდებით გამოიხატა მესამე ტაეპის საწყის სიტყვიდან («აჰყვავდა»), მისაღებია. ასევე შეიძლება ითქვას ავტორის ინციალების («ი. ჯ.-ლი») «სოსელო»-თი შეცვლაზეც“[2].

ი. სტალინის ლექსები ბევრჯერაა გამოქვეყნებული, მათ შორის ცალკე წიგნებადაც და საკმაოდ ფართოდაცაა გაანალიზებული როგორც დადებითად, ისე უარყოფითადაც. ახლა ვნახოთ იოსებ სტალინის დამცველები და მოწინააღმდეგები როგორ უპირისპირებიან ერთმანეთს და ამ თხზულებებს რა სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. კაპანაძის მონათხრობის სიმართლეში ეჭვი შეაქვს ი. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის

[2] **იური *სიხარულიძე*, სტალინი, ბათუმი, 2001, გვ. 61—62.**

მკვლევარ **ალექსანდრე დაუშვილს**: „*ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან*, — წერს იგი, — *რომ ზემოთ მოტანილი მოგონება, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრის ეპიზოდი, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა*, თუმცა მასში არც დაუჯერებელი ამბავი არ არის გადმოცემული“[3].

გიგი ხორნაულსაც მიაჩნია, რომ ჭაბუკი ი. სტალინი „ივერიის“ რედაქციაში ვაჟა-ფშაველამ წიხლისკვრით კიბეზე დააგორა და ამის მიზეზი კომუნისტური იდეოლოგიით გადამლაშებული მისი ლექსები იყო. „საყოველთაოდ ცნობილია, — წერს იგი, — რომ «ივერიაში» იოსებ (სოსო) ჯუღაშვილს გამოუქვეყნა პირველი ლექსები სოსელოს ფსევდონიმით. ამ ლექსებმა, რომელთა შორის იყო «ვარდს გაეფურჩქნა კოკორი», საერთო მოწონება დაიმსახურა. ეტყოდა ილია, რა თქმა უნდა, ასეთი ლექსები კიდევაც მოგვიტანეო. სოსომ კი *კომუნისტური იდეოლოგიით გადამლაშებული* ლექსები მიუტანა. ილიამ უარი უთხრა მათ დაბეჭდვაზე“[4].

ი. სტალინის ლექსები ადრეც (ჟურ. „მნათობი“, 1937, № 5) და ამ ბოლო ხანებში რამდენიმეჯერ თავმოყრილად დაიბეჭდა, — ცალკე ბროშურადაც კი. (ხელთა გვაქვს პატარა კრებული: სოსელო, ახალგაზრდა ი. ბ. სტალინის ლექსები, რედაქტორი ნ. ხომაშურიძე, თბ., „ფანასკერტელი“, 1992).

მათი თემატიკა საგანგებოდ და სათანადოდაც არის განხილული, მაგრამ მათში სოციალისტური და კომუნისტური არაფერია. პირიქით, პატრიოტიზმით, იმჟამინდელ მამულიშვილთა სიყვარულითაა გამსჭვალული. ერთ-ერთია უსათაურო, რომელიც ბუნების მშვენიერი სურათის ფონზე ოპტიმისტურ-პატრიოტული გრძნობითაა გამსჭვალული:

„როდესაც ბადრად მნათობი მთვარე
ცის კამარაზედ გადაცურდება
და მისი შუქი გაბრწყინებული
ლურჯ ჰორიზონტზე შეთამაშდება.

ოდეს ბულბულის სტვენა-სიმღერა
ჰაერში ნაზად გაიწკრიალებს,
როს სალამურის სულისკვეთება
მთისა მწვერვალზედ შეისრიალებს.

[3] **ალექსანდრე *დაუშვილი*, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი პირველი, სოსელო, თბ., 2000, გვ. 122.**

[4] **გიგი *ხორნაული*, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 2008, გვ. 364-365.**

ოდეს მტრისაგან გადახვეწილი
კვლავ ეღირსება თვის ჩაგრულ მხარეს
და როს სნეული, შუქს მოკლებული
კვლავ დაინახავს მზესა და მთვარეს.

მაშინ მეც, ჩაგრულს, სევდისა ნისლი
თავიდან მწყდება, მყისვე მშორდება,
და იმედები კეთილდღეობის
უბედურს გულში მიღორძინდება!“

და ამ იმედით გატაცებულსა
სული მიხარის, მშვიდად ძგერს გული.
ნუთუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!“

ეს ნაწარმოები „სოსელოს“ ხელმოწერით „ივერიაში“ დაიბეჭდა 1895 წლის 22 სექტემბერს.

მეორე ლექსიც, სახელწოდებით „მთვარეს“, ბუნების სურათს აღწერს და ოპტიმისტურ განწყობილებას გამოხატავს:

„იარე დაუღალავად —
თავი ნუ ჩაგიკიდია,
გაჰფანტე ნისლი ღრუბლების,
უფლის განგება დიდია.

ნაზად შესცინე ქვეყანას
შენს ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა —
მყინვარს დამღერე ნანინა,
ზეციდან გადმოკიდულსა.

კარგად იცოდე, რომ ერთხელ
ძირს დაცემული, ჩაგრული
კვლავ აღემართვის მთას წმინდას,
იმედით აღტაცებული.

მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში გაიკაშკაშე,

ლურჯ კამარაზედ საამოდ
სხივები შეათამაშე.

მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თაყვანს ვცემ
ქვეყნად შუქ-მომფინარესა“.

ესეც სულ მალე, „სოსელოს“ ფსევდონიმით „ივერიაში“ იმავე 1895 წლის 11 ოქტომბერს, დაბეჭდილა.

გაზეთ „კვალში“ 1896 წლის ივლისში მოთავსებული ლექსი გვაცნობს მშრომელი გლეხკაცის კოლორიტულ სახეს:

„მოხუცი ნინიკა

მოხუცდა ჩვენი ნინიკა,
გაუცვდა მკლავი გმირისა...
რარიგ გატეხა ტიალმა
ჭაღარამ ღონე რკინისა!

ჰაი, დედასა!.. მრავალჯერ
«აფთარა» — ნამგლის ტრიალით
მკერდ-ღია ყანის ბოლოში
წამს გავარდნილა გრიალით.

ხელაურები გორები
გვერდით-გვერდს აუყენია
და ხვითქით მორთულ სახეზე
ალმური გადადენია!..

ახლა კი მუხლებს ვეღარ ძრავს
სიბერით მოკვეთილებსა,
წევს, ან ოცნებობს, ან წარსულს
უამბებს შვილიშვილებსა...

ხანდახან ახლო ყანებში
ყურს მოჰკრავს ხოლმე მღერასა

და გული, ჯერეთ მაგარი,
უწყებს სიამით ძგერასა —

წამოიწევა ცახცახით
ყავარჯენს დაებჯინება
და, რა გაჰხედავს ბიჭებსა
შვებითღა გაეღიმება“...

გაზ. „ივერიაში“ 1895 წლის 25 დეკემბერს ისევ „სოსელოს“ ფსევდონიმით იბეჭდება უსათაურო ლექსი:

„ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი,
კარისკარ დაწრიალებდა —
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმატკბილად აწკრიალებდა —

მის საოცნებო ჰანგებში,
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური.

ბევრს აუძგერა იმა ხმამ
გული, ქვად გადაქცეული,
ბევრს გაუნათლა გონება,
ბნელ-უკუნეთად ქცეული.

მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდეგილს ბრბომ აქ დაუდგა
შხამით აღსავსე ფიალა...

და უთხრეს: «შესვი, წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!..»“

არ ვიმოწმებთ და აღარაფერს ვამბობთ რაფიელ ერისთავისადმი საიუბილეოდ მიძღვნილ საყოველთაოდ ცნობილ ლექსზე. აქედან რომელიმე მათგანში არის რაიმე „გადამლაშება“?! ასე რომ, გა-

მორიცხულია, ამ ლექსების ავტორს ამ ლექსების გამო ვინმესთან რაიმე შეხლა-შემოხლა ჰქონოდა!

ამ ლექსებს ფართოდ ეხება ვახტანგ გურული. გვიჩვენებს, რატომ დაუკავშირდა ერთმანეთს ილია და სოსო ჯუღაშვილი, რა ამოიცნეს მათ ერთმანეთში. მათგან განსხვავებით, რა დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდა სოსოს მესამე დასელებთან და ჟურნალ „კვალთან“[5].

უკანასკნელ დრომდე, ვინც ი. სტალინის ლექსებს შეხებია, ყველა მაღალ შეფასებას აძლევდა მათ და ბევრი აღფრთოვანებასაც გამოხატავდა. პირველად ის „გააკრიტიკა“ მწერალმა **რეზო ჭეიშვილმა** და მხატვრულობის თვალსაზრისით წუნი დასდო სწორედ ყველაზე უფრო პოპულარულ ლექს „დილას“, მის პირველ-მეორე სტრიქონს: *„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა“*. აქაოდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერებაო. მოვუსმინოთ მას: „ყმაწვილკაცობაში დაწერილი იმის ლექსები შემოგვენახა, — ერთი საქრესტომათიოდ: «ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა» და სხვა. ცოტა ძნელი წარმოსადგენია იაზე გადახვეული ვარდი. სხვადასხვა დროს იწვერებიან და იფურჩქნებიან ისინი, მაგრამ ვარდი და ია ერთად იხსენებიან ქართულ ფოლკლორში, ია-ვარდებით მოფენილ საქართველოში. ზეპირი სიტყვა სხვაა მაინც, პოეტს კი მეტი დაკვირვება მართებს. აკაკიმ მარტივად და უსაყვედუროდ გადაწყვიტა ეს პრობლემა:

«გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნახი ია,
ჩვენ სალხენად კოკობ ვარდსაც
ეშხით გული გაუღია».

სხვათა შორის, აკაკის ეკუთვნის (პოემა «ნათელა») ეს სტრიქონები:

«ტოროლა მაღლა ჰაერში
ზარს აწკარუნებს რიკრიკით».
(აკაკი)

«ტოროლა მაღლა ჰაერში
წკრიალ-წკრიალით გალობდა».
(სოსელო)

[5] ვახტანგ *გურული*, მეფე-მამა, სტალინის დიდი ექსპერიმენტი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., „არტანუჯი“, 2014, გვ. 18-30.

აკაკის ლექსი, უფრო სწორად, პოემა «ნათელა», საიდანაც ეს სტრიქონებია ამოღებული, 1897 წელს გამოქვეყნდა. დაწერილი, რა ლაპარაკი უნდა, ადრე ექნებოდა, მაგრამ სოსელოზე ადრე – არა, და – მაინც მისგან დამოუკიდებლად — შეიძლება არც კი. ყველაფერი ხდება. *ყოველ შემთხვევაში პრიორიტეტობა არც ერთს დაუჩემებია, არც მეორეს, თავი არ დაუმადლებიათ ერთმანეთისათვის*“[6].

როგორც ვხედავთ, რ. ჭეიშვილი კიდეც ჭრის და კიდევაც კერავს. იმის მაგალითსაც უჩვენებს, რომ არა მარტო ფოლკლორში, ქართულ ლიტერატურაშიაც (აკაკისთან) ია და ვარდი ერთადაა წარმოდგენილი, მაგრამ კრიტიკას მაინც კრიტიკად ტოვებს.

ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, არავინ გაიზიარა. გივი ბერძენიშვილმა იგი მკაცრად დაგმო: „საქართველოში არც XIX და არც XX საუკუნეში არავის დაუყენებია ეჭვქვეშ ამ ლექსის ლიტერატურული ღირებულება — არც პროფესიონალს და არც არაპროფესიონალს, ჩვენი «პირველი მერცხლის» რ. ჭეიშვილის გარდა, რომლისთვისაც სტრიქონები «ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა» იმდენად ძნელი წარმოსადგენი აღმოჩნდა, უნებურ კრიტიკამდე მიიყვანა (აღსანიშნავია, რომ ილიამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დაბეჭდა ეს ლექსი თავის «ივერიაში», თუმცა დიდ რეზოსთან ილია, აბა რა მოსატანია?! რას ვიზამთ, დიდო ილია, თქვენ ვერ დამდგარხართ თქვენს სიმაღლეზე, აი, ბატონ რეზოს კი ძნელად თუ გამოაპარებ რამეს).

ისე საინტერესოა, სახელდობრ რამ აღაშფოთა ასე ქართული სიტყვის ეს კორიფე. 1) იის და ვარდის ერთ დროში მოხსენიებამ («სხვადასხვა დროს იწვერებიან ისინი»). თუ 2) ვარდზე გადახვეულმა იამ?! (ცოტა ძნელი წარმოსადგენია «იაზე გადახვეული ვარდი»).

(...) დაკვირვებულ კრიტიკოსს ვურჩევდი, გადაეკითხა ვაჟას და აკაკის პოეზია“ და მიუთითებს ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის სტრიქონებს. ვაჟა:

„ბაღი ვიხილე გუშინა, ია ვარდითა ჰყვაოდა“.

აკაკი:
„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნახად დახრილ იას“[7].

---

[6] **რ. *ჭეიშვილი*, მედვედევსკოს ტყეში, «ლიტერატურული საქართველო», 18—25 04, 1997, გვ. 8.**

[7] **გივი *ბერძენიშვილი*, სტალინი, პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი (ნამდვილი ბიოგრაფია), გორი, 2006, გვ. 458-459.**

უფრო მოკრძალებით მსჯელობს იური სიხარულიძე: „რეზო ჭეიშვილი ი. ჯუღაშვილის პირველი ლექსის დასაწყისსაც შეეხო და იაზე გადახვეული ვარდის სახე დაიწუნა: ასეთი რამ «ცოტა ძნელი წარმოსადგენია»-ო (...). მწერლის მთავარი საყრდენი აქ ის არის, რომ ეს მცენარეები «სხვადასხვა დროს იწვერებიან და იფურჩქნებიან». ბატონმა რეზომ შესანიშნავად იცის, რომ ზეპირსიტყვიერება არ დაგიდევთ ამ გარემოებასა და ია-ვარდს არ აშორებს ერთმანეთს. «ზეპირი სიტყვა სხვაა მაინც და პოეტს კი მეტი დაკვირვება მართებსო», — შენიშნავს მწერალი.

ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ რა ექნა დამწყებ პოეტს მაშინ, როდესაც თვით ქართული პოეზიის პატრიარქი აკაკი არ თიშავს იასა და ვარდს და გაზაფხულის იდილიას ასე წარმოგვიდგენს“. იმოწმებს იმ სტროფს, რომელიც რ. ჭეიშვილს მოჰყავს: „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას...“ (დასახელებული წიგნი: „სტალინი“, გვ. 63).

რ. ჭეიშვილის შეფასებას მძაფრად გამოეხმაურა **თემურ მირიანაშვილი**. „მე მინდა, — წერს იგი, — რეზო ჭეიშვილს ვთხოვო, გაანალიზოს ვაჟას «ფშავველი ჯარისკაცის წერილის» პირველი სტრიქონი: «გულმკერდიმც აგიყოვდება, დედაო, ია-ვარდითა». ვის უნახავს დედის გულმკერდზე ია-ვარდი ყვაოდეს?!“ თანაც თავთავიანთ სეზონზე კი არა, — ერთდროულად?!

ჭეიშვილი ტიციან ტაბიძის სტრიქონზეც იღადავებს: «მე დავიბადე აპრილის თვეში გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან». ვის გაუგია, იტყვის, ადამიანი ვაშლის ყვავილებიდან დაიბადოსო! მედიცინის თვალსაზრისით, ადამიანის დაბადება სულ სხვანაირად ხდება“[8].

ბოლოს და ბოლოს, ამ კრიტიკამ „დილას“ ვერაფერი დააკლო. მის მხატვრულ ღირსებას კვლავაც და კვლავაც აღნიშნავენ.

იური სიხარულიძე დასახელებულ წიგნში ი. სტალინის ლექსების ისტორიაზე საუბარს განაგრძობს და მოჰყავს ის მაღალი შეფასებანი, რაც „დილას“ მიეცა, მათ შორის საქართველოს გარეთაც: „სოსელოს ლექსის მეორე ამაღლება გასული საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში მოხდა, როდესაც იგი საქართველოს ახალი ჰიმნის ლიბრეტოს დაედო საფუძვლად.

იმავე ნაწარმოების ისტორიაში კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი რუსულ ენაზე თარგმნა, რაც ი. სტალინის დაბადების 70 წლის იუბილის წინ განხორციელდა და მხოლოდ

[8] „საერთო გაზეთი“, 8 თებერვალი, 2012, გვ. 11.

ამ ლექსის თარგმნით კი არ შემოფარგლულან 1949 წელს, არამედ გამოჩენილი რუსი პოეტის არსენ ტარკოვსკისათვის ი. სტალინის ჭაბუკობის ჟამის ყველა ლექსის თარგმნა შეუთავაზებიათ.

ზოგან ამ საქმის ინიციატორად ლ. ბერიაა დასახელებული[9], ხოლო ზოგან გ. მალენკოვი და პოსკრებიშევი[10].

ამას პრინციპული ხასიათი არა აქვს, მთავარია ის, რომ სტალინის თანამებრძოლებს გულწრფელად სურდათ საიუბილეოდ მისთვის სიურპრიზის მომზადება. მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან კონსპირაციამ უმტყუნა და ამ საქმემ სტალინის ყურამდე მიაღწია. სტალინს არ გაძნელებია ამ კეთილი სურვილის შეცნობა, რაც ამ საქმის ინიციატორებს ჰქონდათ, ამიტომაც კი არ გაუწყრა მათ, არამედ თავმდაბლად თხოვა, თავი დაენებებინათ ამისთვის (ნატროშვილი, იქვე). ეს ის დრო ყოფილა, როდესაც თარგმნაზე გახურებული მუშაობა მიმდინარეობდა (ლ. კოტიუკოვი).

ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა სტალინის ამ გადაწყვეტილების საიდუმლოს შეცნობა და საჯაროდაც გამოთქვა მოსაზრება. მათგან განსხვავებით საინტერესო და გამორჩეულია ლ. კოტიუკოვის აზრი: «ჭაბუკობაში ბევრი პოეტად გახდომას ოცნებობს, მაგრამ დროთა განმავლობაში გული უცივდებათ... და ჭარმაგობისას ღიმილით იხსენიებენ ხოლმე თავიანთ ბალღობის დროინდელ კალმის ნაცოდვილარს. ალბათ ამიტომაც ბელადმა საჭიროდ არ ჩათვალა თავისი მონუმენტური ცხოვრების აღწერაში გაეხსენებინა პოეზიისადმი სიყვარულის ამბავი».

და ეს თავისი პოეზიის დაუფასებლობისა და «ნაცოდვილარად» მიჩნევის შედეგად კი არ მომხდარა, არამედ — ამ ლიტერატურული ნაწარმოებების იმ ნიადაგზე აღმოცენების გამო, რის გამოც იგი ბელადის «მონუმენტურ ცხოვრებას» ვეღარ შეერწყმოდა.

როგორც სწორად შენიშნავს ლ. კოტიუკოვი, «ი. ჯუღაშვილს... პოეტურ აღიარებაზე არასოდეს უოცნებია, იგი პოეტი იყო, აღიარეს და აღნიშნეს როგორც პოეტი მისი შორეული ჭაბუკობის ნისლიან ალიონზე».

და შემდეგ:

«მას ხალისით უთმობდნენ თავის ფურცლებს ქართული ჟურნალ-გაზეთები. მის ლექსებს იზეპირებდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურის ცოცხალმა

[9] **ლევ *კოტიუკოვი*, დაფიწყებული პოეტი, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 12.09.1994, გვ. 3.**
[10] **თამარ *ნატროშვილი*, დამჭკნარი კოკორი, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 11. 03. 1995, გვ. 3.**

კლასიკოსმა, დიდმა ილია ჭავჭავაძემ იოსებ ჯუღაშვილი გამოყო ჭაბუკთა კრებულისაგან მგზნებარე ჭვრეტით».

ამით არ კმაყოფილდება რუსი ავტორი და დასძენს: «რომელი დღევანდელი ახალგაზრდა თუ არაახალგაზრდა პოეტი დაიკვეხნის, რომ ასე ნაადრევად ზღაპრულად აღიარეს იგი?» იგივე მკვლევარი გულმოდგინედ შეეცადა «შეძლებისდაგვარად» გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ «რატომ არის, რომ ამაყი, პატივმოყვარე ჯუღაშვილი არ მისდევს თავის მოწოდებას?» და «პოეტად დაბადებული რემბოსავით თავიდანვე სახელგანთქმული რევოლუციაში რატომ მიდის?..» პასუხი საინტერესოა, მაგრამ ამჟამად მასზე სიტყვას ვეღარ გავაგრძელებთ, რადგან იგი ძალიან შორდება იმ ერთი ლექსის თავგადასავალს, რასაც ახლა მივსდევთ ჩვენ.

მაშ ასე: 1949 წელს ი. ჯუღაშვილის ვერც ყველა ლექსის თარგმნა მოესწრო და ისინი ვერც ისე გამოიცა («სასაჩუქრო წიგნებად»), როგორც ჩაფიქრებული იყო, მაგრამ, როცა ითარგმნა, უჯრაში ჩაკეტილი არ დარჩენილა და ნელ-ნელა საზოგადოებისაკენ გაიკაფა გზა. ასეთ ლექსებში ი. სტალინის «დილა»-ც იყო, რომელიც არა მარტო რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებშიც გავრცელდა, არამედ დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში გააღწია და არა ერთი ამერიკელი აღაფრთოვანა, მათ შორის იყო ცნობილი ჟურნალისტი ჰარისონ სოლზბერი, რომელიც არც კომუნიზმის გულშემატკივარი ყოფილა ოდესმე და არც საბჭოეთისა. იყო მხოლოდ ნიჭიერებისა და სიმართლის თაყვანისმცემელი.

ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მრავლისმცოდნე და მნახველი ეს გონიერი ამერიკელი საოცრადაა აღტაცებული სტალინის «დილა»-თი, რომელსაც ის პირველი სტრიქონით («ვარდს გაეშალა კოკორი») ასათაურებს და თავის «საყვარელ ლექსს» უწოდებს (იქვე)“[11].

ამ ამბებზე ქართულად სხვა პუბლიკაციებიც არსებობს. **ვლადიმერ კარანაძე** იმ წერილში, რომელიც, მისივე სიტყვებით, ეყრდნობა იოსებ ირემაშვილის წიგნს „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, სტალინის ლექსებსაც ეხება[12].

ქვეთავში „16 წლის პატრიოტი“ „ივერიაში“ „დილას“ დაბეჭდვის თაობაზე წერს: „«ივერია», ფაქტობრივად, ერთადერთი ქართული გაზეთი იყო, რომლის *ამბიცია ერის გაერთიანებასა და პატრიოტული აზროვნების დამკვიდრებას ემსახურებოდა*“.

[11] ი. *სიხარულიძე*, სტალინი, გვ. 63—65.

[12] სტალინმა პირველი ავჯანყება სკოლაში მოაწყო, ჟურ. „თბილისელები“, 28 მარტი — 3 აპრილი, 2011, № 13, გვ. 68-69.

ბატონი ვლადიმერი გვაცნობს ზემორე დასახელებულ ამერიკელ ჟურნალისტს: „ამერიკელი ჟურნალისტი ჰარისონ სოლზბერი (მინესოტის უნივერსიტეტის ბაკავლავრი, პულიცერის პრემიის ლაურეატი) 1949-1954 წლებში «ნიუ-იორკ ტაიმსის» წამყვანი კორესპონდენტი გახლდათ და სპეციალურად წარგზავნეს მოსკოვში ტარკოვსკის მიერ თარგმნილი სტალინის ლექსების შესასწავლად. ის ზედმიწევნით გაეცნო ბელადის ახალგაზრდობის პერიოდს. რადგან მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენა სურდა, სერიოზული კვლევითი სამუშაოები ჩაატარა და 1951 წელს თბილისსა და გორსაც ესტუმრა სტალინის ლიტერატურული კარიერისა და მისი რომანტიკული ლექსების შესასწავლად, მაგრამ (! — **ბ. დ.**) აღმოაჩინა, რომ სოსო ჯუღაშვილი შორს იყო ზოგადსაკაცობრიო მავნე იდეებისაგან და ნაციონალისტური იდეებით გახლდათ შეპყრობილი. შემდეგ იმოწმებს მის სიტყვებს: „სოსოს არასდროს არ უოცნებია პოეტი გამხდარიყო, უბრალოდ ის გენიოსი იყო, აქტუალურ, პრობლემურ საკითხს შეეხო და ქართველი ინტელექტუალების ყურადღების ცენტრში მოექცა“.

ვ. კარანაძე საუბრობს აგრეთვე სტალინის ლექსების რუსულ ენაზე გადაღების ამბებზეც: „რაც შეეხება ადამიანურ მხარეს, — განაგრძობს იგი, — ჰარისონ სოზლბერმა დაადგინა, რომ სტალინი განდიდების მანიით სულაც არ იყო შეპყრობილი, პირიქით, ზედმეტად მოკრძალებული პიროვნება გახლდათ. ამის დასტურად ტარკოვსკისთან დაკავშირებული მაგალითიც მოჰყავს და ცნობილ რუს კრიტიკოსს, ლევ ოვრუცკის იმოწმებს. 1949 წლის ერთ ღამეს, ტარკოვსკის უცნობი სტუმრები ეწვივნენ. ის მაშინ ლუბიანკის პირდაპირ ცხოვრობდა და «რატომღაც» იფიქრა, რომ იქ წაბრძანებდნენ. ავტომანქანა დიდი თეატრის მიმართულებით დაიძრა, პოეტმა იფიქრა, რომ ბუტირკის ციხეში მიყავდათ, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა – როცა მანეჟს შემოუარეს, მანქანა კრემლის ეზოში შესრიალდა. ის ბოლოს კაბინეტში შეიყვანეს, სადაც მალენკოვი და პოსკრებიშევი ელოდნენ. მათ ტარკოვსკის ქართულიდან რუსულ ენაზე, ბელადის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით, მისი ყრმობის ლექსების თარგმნა დაავალეს. მეგობრებს სიურპრიზის გაკეთება სურდათ. ტარკოვსკიმ რამდენიმე კვირა შესწირა ამ სახიფათო, თუმცა საინტერესო დავალების შესრულებას. ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც დაიწყო. პოეტმა რამდენიმე კვირაში გაართვა თავი

ამოცანას. ტარკოვსკი იმავე მარშრუტით და იმავე კაბინეტში შეიყვანეს და უთხრეს, რომ ამხანაგმა სტალინმა შეიტყო ჩვენი განზრახვის შესახებ და მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ითხოვა — ხელი აეღოთ ამ საქმეზე". შემდეგ პორთფელები გაცვალეს. პოეტისათვის გადაცემულ პორტფელში აღმოჩნდა ჰონორარი, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა პოეტის ჩვეულებრივ გასამრჯელოს. ტარკოვსკი შოკირებული იყო ბელადის საქციელით. აღშფოთებას (! — **ბ. დ.**) ვერც ჰარისონ სოზლბერი მალავს, რადგან მიაჩნია, რომ თარგმანი უშიშროების არქივში არ უნდა იდოს".

ამ ლექსით დაინტერესებულა ნიკიტა ხრუშჩოვი. ვლადიმერ კარანაძე განაგრძობს: „სოსო ჯუღაშვილის უსათაურო ლექსში ნიკიტა ხრუშჩოვმა შენიშნა «ნაციონალისტური მარცვალი» და რეპრესიული ზომები მიიღო — ლექსი, რომელიც წმინდა ილია მართალმა აკურთხა და იაკობ გოგებაშვილმა «დედა ენაში» შეიტანა, სასწრაფოდ ამოიღეს საყმაწვილო სახელმძღვანელოებიდან".

ბოლოს, მინაწერში, აღნიშნულია, რომ პოეტ ასაევთან საუბრის დროს ი. სტალინს უთქვამს, რომ ახალგაზრდობაში ლექსს კბილი მანაც გაუსინჯა, ხოლო, როცა გაიგო, იგი პარტიული არ იყო, წაუხალისებია: ამაზე ბევრს ნუ იფიქრებ, ლექსებს როცა ვწერდი, არც მე ვიყავი პარტიულიო.

მოდი, ერთი ავტორი კიდევ დავიმოწმოთ. **არჩილ ტაკიძე** წერს: „სტალინის მაღალ ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში მის მიერ დაწერილი 5 ლექსი დიდმა ილია ჭავჭავაძემ 1895 წელს თავის გაზეთ «ივერიაში» დაბეჭდა. მათ შორის პირველი ლექსი, რომელსაც შემდეგში «დილა» ეწოდა, დაიბეჭდა გაზეთ «ივერიის» 14 ივნისის 123-ე ნომრის *პირველ გვერდზე* ი.ჯ.-შვილის ხელმოწერით. დიდი ილიას ხელდასხმული და ნაკურთხი ლექსი 1912 წელს ი. გოგებაშვილმა თავის «დედაენაში» შეიტანა და ის ქართველ ბავშვთა მრავალი თაობის საალმზრდელო ჰიმნად იქცა. ამის შესახებ სტალინმა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიტყო. სტალინის მეორე ლექსი «სოსელოს» ფსევდონიმით 1901 წელს ქართული მეტყველების საუნჯეში შეიტანა მისმა შემდგენელმა მ. კელენჯერიძემ, ხოლო მისი კიდევ ერთი ლექსი 1907 წელს მოხვდა «ქართულ ქრესტომათიაში», ანუ ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშების კრებულში. 1899 წელს რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი პოეტის საიუბილეო კრებულში შევიდა

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა გამოჩენილი პოეტების ლექსებთან ერთად. საგულისხმოა, ასეთ მნიშვნელოვან კრებულებში შეტანილი ლექსების ავტორი იმ დროისათვის მხოლოდ 16 წლისა გახლდათ. ცნობილი ფოლკლორისტი მელიტონ კელენჯერიძე 1898 წელს გამოცემულ თავის წიგნში «სიტყვიერების თეორია სამაგალითო ლიტერატურული ნიმუშების განხილვით» შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვა ცნობილი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად სოსო ჯუღაშვილის ორ ლექსსაც განიხილავს"[13].

რადგან „დილას" პირდაპირ ბრძოლაში ვერაფერი დააკლეს, ამ ბოლოს მას **როსტომ ჩხეიძე** სხვა მხრიდან მიუდგა: სტალინის ავტორობა ... საეჭვო გახადა! როცა გელათის აკადემიის ჟურნალში მიხეილ კეკელიძის მოგონების ის მონაკვეთი ჟურნალ „ამერიმერში" გამოვაქვეყნე, სადაც უცნობმა (პეტრე კაპანაძემ — **ბ. დ.**) უთხრა კორნელის, *სოსომ შემოგითვალა, ჩამოდი ჩემთან მოსკოვშიო*. კორნელი ამის თქმაზე გაბრაზდა და გულმოსულად უთხრა: (...) თუ ჩემი ნახვა უნდოდა..." აქ გამოვტოვე და სამი წერტილით აღვნიშნე ბატონი კორნელის სიტყვები: „**მაშინ კარგი კორნელი ვიყავი, ჩემი დაწერილი ლექსები თავისი სახელით რომ მიართვა ილია ჭავჭავაძეს, და ახლა არაფერი დავრჩი**..." ბატონმა როსტომმა ეს სიტყვები აიტაცა და საეჭვოდ და მრავლისმეტყველად ათამაშებს მათ[14]:

„ამჯერად დამაფიქრებელი ის სიტყვებია: ჩემი დაწერილი ლექსები თავის სახელით რომ მიართვა ილია ჭავჭავაძესო...

კიდევ ერთი გამაოგნებელი ფრაზა:

კიდევ ერთი სენსაციური პასაჟი.

ის ლექსები – განსაკუთრებით მაინც «დილა», საყმაწვილო პოეზიის შესანიშნავი ნიმუში — კორნელი კეკელიძის დაწერილი ყოფილა?

კი მაგრამ, რა რჯიდა, დაუნანებლად რომ აჩუქა თანაკლასელს?

თვითონ რა, ვერ გამოაქვეყნებდა თავისი სახელით, მაინცადამაინც «სოსელო» რომ არ მოწეროდა ქვეშ?

სწორედაც ჩუქება ყოფილა, რაკიღა იმხანად არსად გაუპროტესტებია, ამხანაგმა ჩემი ლექსი მიითვისაო.

1945 წელს რაღა დროს გახსენება იყო!..

თანაც, სახელმწიფო ტერორის პირობებში...

[13] **არჩილ *ტაკიძე*, იოსებ სტალინი, თბ., 2013, გვ. 28-29.**

[14] **ვარდს გაეფურჩქნა კოკორი (კორნელი კეკელიძის დაუწერელი მემუარები), ჟურ. „ ჩვენი მწერლობა", 8 თებერვალი, 2013, № 3, გვ. 2-6.**

თუ აჩუქა რაღას ამადლის?!

(...) ეგებ ამჯერადაც ისე მომხდარიყო, რომ კორნელი კეკელიძეს დაუნანებლად კი არ გადაელოცა თავისი დაწერილი ლექსი თანაკლასელისათვის, არამედ მისი ლექსებისთვის გაეკრა ხელი და დაეხვეწა? უამისოდ ის ლექსები «ივერიის» ფურცლებზე ვერ მოხვდებოდა, რედაქციული ჩარევის შემდეგ კი თავისუფლად დაიბეჭდა და შემდგომ ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს *უფლება ჰქონდა თავისი წილი მოეთხოვა იმ პუბლიკაციიდან*.

ისე მაინც ვინ არის «დილას» შემთხზველი?

იოსებ სტალინი?

კორნელი კეკელიძე?

თუ ერთპიროვნული შემქნელი არა ჰყოლია და ეს ორი ინაწილებენ მის ავტორობას?

რაღაც უცნაური ალიანსი კი გამოდის – ლექსი «დილას» ავტორები ... იოსებ სტალინი და კორნელი კეკელიძე“ (გვ. 4—5).

ამის შემდეგ რ. ჩხეიძე გადადის სხვა საკითხზე და ბოლოს იმეორებს იმავე კითხვებს:

„არა, «დილა» მაინც ვის უნდა დაეწერა?

იოსებ ჯუღაშვილ-სტალინს?

კორნელი კეკელიძეს?

თუ ... ორივეს ერთობლივად?“ (გვ. 6).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო: როცა კორნელი კეკელიძეზე ზემოთ აღნიშნული ნაშრომი დავწერე და ჟურნალ „ამერ-იმერში“ გამოვაქვეყნე, მ. კეკელიძის მოგონების ის სენსაციური სიტყვები ჩემით ამოვიღე. მაგრამ, როდესაც მიხეილ ქავთარიას ტელეფონით შევატყობინე, ბატონ კორნელიზე ასეთი და ასეთი ნაშრომი მაქვს დაწერილი-მეთქი, ისე რომ მიხეილ კეკელიძე არ მიხსენებია, მან იმ პასაჟზე თავად გამაფრთხილა, ყურადღება არ მიაქციო, ნაშრომში არ შეიტანოო.

რა, მართლა საჭოჭმანოა, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული ლექსები? იმას რომ თავი დავანებოთ, რომ საამისოდ არსად რაიმე მინიშნება არ არსებობს, ნუთუ ბატონმა როსტომმა არ იცის, ბატონ კორნელის პოეტური ნიჭი და მისწრაფება არასოდეს გამოუმჟღავნებია! პირიქით, ცნობილია, მის კვლევა-ძიებებში პოეზია ყოველთვის შედარებით სუსტი მხარე იყო. განა თავად სამართლიანად არ აკრიტიკებს კ. კეკელიძეს, რომ მან თავის დროზე ჯეროვნად ვერ გაიგო პ. ინგოროყვას უმნიშვნელოვანესი

აღმოჩენა, რომ ძველქართული პროზაულად დაწერილი ტექსტები ლექსის სახეობაა. აი, ამ დიდი მეცნიერის ნათქვამი, რომელსაც რ. ჩხეიძე იმოწმებს: „თუ ჩვენ ჩავუკვირდებით ამ «ლექსის» ნიმუშებს, რომელიც ავტორს მოჰყავს (709—753) დავრწმუნდებით, რომ აქ არავითარი ლექსი არა გვაქვს. აბა, რა «ლექსი» უნდა იყოს ის ლექსი, რომელიც არ ემყარება არც ტერფთთა და მარცვალთა რაოდენობას ტაეპში, არც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეს, არც რითმას, არამედ «შინაარსობრივი ერთიანობის შეკრულ ტაეპს» (719-711). თან რას ნიშნავს ეს სიტყვები? არსებითად ყოველი გონიერი წინადადება მეტყველებაში «შინაარსობრივი ერთიანობითაა შეკრული». აქ არავითარი პოეტიკური განსაზღვრა არ მოგვეპოვება. ჩვენ არ ვიცით, რა «ლექსი» უნდა გამოსჭრა ამ ნაწარმოებიდან“[15] (ვარდს გაეფურჩქნა კოკორი).

მეორე და არანაკლები ფაქტი: სწორედ „ვეფხისტოსნის“ მხატვრული მხარის შეუფასებლობა გახდა ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ გიგანტმა მეცნიერმა მისი დაწერის თარიღი მეცამეტე საუკუნეში გადაიტანა[16]. **ი. სტალინმა კი თავისი ახალგაზრდობის დროინდელი ნიჭი და გატაცება უამრავი საქმეებით დატვირთულმა ჭარმაგობაშიაც შეინარჩუნა და „ვეფხისტყაოსანს“ მოახმარა**.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონ როსტომს ეს მიკერძოება ბატონი კორნელის სიყვარულითა და პატივისცემით არ მოსდის. ისიც ყველგან და ყველაფერში ი. სტალინის მოძულე და მოწინააღმდეგეა და მისი მოსაზრებაც იმითაა გაპიროვნებული, — მას პოეტური ღირსებაც არ დაუტოვოს!

რაც შეეხება **კ. კეკელიძისადმი** უარყოფით დამოკიდებულებას, აქვეა გამჟღავნებული. ამავე წერილში მას აქილევსის ქუსლი მოუძებნა. ისე, რომ დასმულ საკითხს, ი. სტალინის ლექსებს, არ უკავშირდება, იხსენებს ცნობილი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ჭელიძის სტატიას „*ოსტატი და შეგირდი*“, სადაც ავტორი (დიახ, ვ. ჭელიძე) ეხება საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერებაში მომავალი თაობების აღზრდას. ჩამოთვლის, რომ ჩვენში შეიქმნა დიდებული სკოლები ენათმეცნიერების, კლასიკური ფილოლოგიის, ფსიქოლოგიის, მათემატიკის დარგებში, აქებს მათ დამაარსებლებს და „გულისტკივილით“ აღნიშნავს, რომ ამ მხრივ

[15] **კორნელი კეკელიძის დაუწერელი მემუარები, ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 8 თებერვალი, 2013, № 3, გვ. 2-6.**

[16] **ალ. *ბარამიძე*, პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1975, გვ. 30-44.**

გამონაკლისი ყოფილა ძველი ქართული ლიტერატურა, რომელზედაც პასუხისმგებლობა კ. კეკელიძეს ეკისრება.

მოვუსმინოთ, როგორ გადმოგვცემს ამას რ. ჩხეიძე: „თუმც სტატიის ავტორისათვის (ვ. ჭელიძისათვის — **ბ. დ.**) გულდასაწყვეტი ის გახლდათ, რომ ცალმხრივი მოღვაწეობის მაგალითებიც არსებობდა — თუნდ აგერ ფილოლოგიური მეცნიერებიდან, როდესაც დიდ ოსტატს მართლაც დაუფასებელი განძი შეექმნა, ეროვნული მეცნიერება დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაემდიდრებინა, მაგრამ ... ამ ღვაწლის შესაფერისი სკოლა ვეღარ მოემზადებინა, თავისი ღირსეული ცვლა ვეღარ შეერჩია და დაეტოვებინა.

— და ამიტომაც მისი მოღვაწეობა ცალმხრივია, რადგან ის თაობა, ვინც ამ მეცნიერმა დატოვა, წინ წასვლას ვერ ახერხებს და ერთ ადგილს ტკეპნის, სხვადასხვა ვარიაციით იმასვე იმეორებს, რაც მრავალი წლის წინათ გამოუთქვამთ, ვერც იმ მიღწევებს უვლის სათანადოდ, რაც წინაპრებს თავის დროზე მოუპოვებიათ და ახალს კი მით უმეტეს ვერაფერს ქმნის, მეცნიერების ამ დარგს ვერ ანვითარებს...

გულის დამამძიმებელი სურათია.

რამხელა განძიც უნდა შეექმნას ამ დარგის თვალსაჩინო მკვლევარს, განა ეს კმარა საიმისოდ, რომ თავი დავიმშვიდოთ და ისე გავხედოთ მომავალს, სადაც ეს განძი იფანტება და გულისგამაწვრილებლად მეორდება?

კი მაგრამ, თუკი საიმედო ცვლა ვერ გამოუჩნდა ამ სფეროს?

თუ გულანთებული ყმაწვილები არ შემოკრბნენ გამორჩეული მეცნიერის გარშემო?

თუ დაიშრიტა მეცნიერება ამ დარგში?“ (გვ. 6).

ბატონი ვახტანგი თურმე ისე მოქცეულა, როგორც გ. პატარაიას ფილმის „რეკორდის“ პერსონაჟი კოლმეურნეობის თავჯომარეზე ლაპარაკობს და გვარს არ დავასახელებო, — ამბობს. ბატონი როსტომი გვიხსნის: „*დასახელებით არ დაასახელებდა, თუმცა ცალმხრივ მოღვაწედ კორნელი კეკელიძეს იგულისხმებდა*, მის მიერ შექმნილ განძსაც შესაფერისისი მოწაფეები რომ ვერ მოჰყოლოდნენ ახალი და ახალი განძის შემოქმედებად“ (იქვე).

რ. ჩხეიძე წინ წერს, ვახტანგ ჭელიძე ამას „გამჭვირვალე მინიშნებით“ გვეუბნებაო და განაგრძობს: „მაინც რბილად ჩამოაყალიბებდა თავის გულის ტკივილს: ღირსეული ცვლა ვერ შეარჩიაო.

ვერ თუ...

«ვერ»-ს კიდევ რა უშავს!...

(...) ამიტომაცაა, (კ. კეკელიძე — **ბ. დ.**) კოლოსივით რომ წამომართულა თავის მოწაფეებს შორის, მის ნასუფრალს რომ დასჯერებიან და ქართული ფილოლოგიის განვითარებად კორნელი კეკელიძის ნარკვევთა გაუთავებელ ვარირებას რომ სახავენ".

ნუთუ ეს შეიძლება ითქვას ძველ ქართულ ლიტერატურაში მომუშავე ბატონი კორნელის ნაამაგარ მუშაკებზე, როგორიც იყვნენ და არიან: ალექსანდრე ბარამიძე, გაიოზ იმედაშვილი, გივი მიქაძე, ლევან მენაბდე, რევაზ ბარამიძე, ნინო მახათაძე, ლიანა კეკელიძე, ლალი ძოწენიძე, შერმადინ ონიანი, მიხეილ ქავთარია და სხვები. დიდად სამწუხაროა, თუ როსტომ ჩხეიძემ არ იცის, რა დამსახურება მიუძღვით მათ, ხოლო თუკი მიახლოებით მაინც იცის და მაინც ამას წერს, კიდევ უფრო უარესი!

ძველ ქართულ ლიტერატურაში მოღვაწეთა მიმართ ბატონი როსტომის ნიჰილისტური დამოკიდებულების კიდევ უფრო სამწუხარო შემთხვევა სხვაც არის.

თინა იველაშვილი

ცოტა რამ 1915- 1918 წლების „სომხების გენოციდის“ ისტორიიდან

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის დასუსტება-დაშლის მიზნით ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ბრიტანეთი, იმპერიაში მცხოვრებ ყველა ეთნოსის – სერბების, არაბების, ალბანელების, ბულგარელების – დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ყოველგვარ მოძრაობას უჭერდნენ მხარს. ისინი მომხრენი იყვნენ თურქეთის, რუსეთისა და ირანის ტერიტორიაზე „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეისა. თუმცა „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა დაბადებიდანვე მკვდარი იყო, რადგან არც ერთ დიდ სახელმწიფოს, მათ შორის დიდ ბრიტანეთს, სინამდვილეში ეს არ სურდათ.

თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა და რუსეთ-თურქეთს შორის სიტუაციის დაძაბვის მიზნით სომეხთა ე. წ. გენოციდის მოწყობაში ლომის წილი სომხების „მეგობარ“ ევროპის ქვეყნებს (ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, ინგლისი, რუსეთი, იტალია) მიუძღვის. დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ლიდერები ამ მოსახლეობაში აღვივებდნენ აზრს, რომ თითქოსდა თურქეთში მცხოვრებ სომხებს მათი მხარდაჭერით ადვილად შეეძლოთ ამ ტერიტორიაზე „დამოუკიდებელი თავისუფალი დიდი სომხეთის“ შექმნა. მათი მითითებით თურქეთში აუცილებლად უნდა შექმნილიყო მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც დაარწმუნებდნენ ევროპას, რომ სომხები თურქეთში არნახულ დევნასა და ჩაგვრას განიცდიდნენ. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი ევროპის მხარდაჭერის გარეშე თავიანთი ძალებით არ შეეძლოთ.

ინგლისელები ქურთებს იყენებდნენ სომხების მასიური განად-

გურებისათვის და, პირიქით, სომხებს ქურთების მასიური განადგურებისათვის. ორივე კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თვლიდა, რომ ბრიტანეთი მას უჭერდა მხარს „დიდი ქურთისტანის“ თუ „დიდი სომხეთის“ შექმნის საქმეში. მათთვის შეთავაზებული ტერიტორია კი მთლიანად ერთი და იგივე იყო. ამრიგად, სომხები და ქურთები ერთმანეთს დაუპირისპირეს. ინგლისის მიზანი იყო, რომ ეს ე. წ. გენოციდი შემდეგში თურქეთის განადგურებისა და დაშლისათვის გამოეყენებინა.

სომხეთის პოლიტიკურ წრეებში ინგლისელი დიპლომატების ჩარევით, პირველად ლონდონში დაიბადა აზრი თურქეთის ტერიტორიაზე „დამოუკიდებელი თავისუფალი სომხეთის“ შექმნის შესახებ. XIX საუკუნის 90-იან წლებში სომეხი ნაციონალურ-ტერორისტული ორგანიზაციების („დაშნაკცუტუნი,“ „გნჩაკი,“ „არმენია“) წევრები აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ ანატოლიაში მაცხოვრებელ სომხებთან. დაშნაკელების პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ე. წ. თურქეთის არმენიაში შეიარაღებული აჯანყებით თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

1914 წელს კავკასიის ფრონტზე ომის დაწყებისას აღმოსავლეთ ანატოლიაში მაცხოვრებელ ქურთთა და სომეხთა შეფარდება ასეთი იყო: აქ ცხოვრობდა 850 000 სომეხი, სამი მილიონი ქურთი და ორ მილიონზე მეტი თურქი (მათ რიცხვში შედიოდა გამუსლიმებული ქართველებიც).

ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხური მოსახლეობა მხურვალედ უჭერდა მხარს რუსულ არმიას, რომელმაც აიღო ერზრუმის, ყარსის, არდაგანის, ბაიაზეთის, ბაზარდჟინკის, სოგნალოს რაიონები. ამ პერიოდში,სან-სტეფანოს ხელშეკრულების მიმდინარეობის წინა დღეებში, სომხური სასულიერო პირები ედინში, აღმოსავლეთ ანატოლიაში სომხების სტატუსის შესახებ რუსებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. სწორედ ეს ვითარება 1915 წლის გაზაფხულზე, სომხების საბრძოლო რაზმების მიერ ვანის თითქმის მთელი მუსულმანური მოსახლეობის განადგურების წინაპირობად იქცა.

დაშნაკცუტუნის ტერორისტულმა ბანდებმა მონოეთნიკური ტერიტორიის, „ეთნიკურად სუფთა ზონის“ შექმნის მიზნით მუსლიმანური მოსახლეობის სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. მხოლოდ ვანის ოლქში 3000 მშვიდობიანი მოსახლეობა ამოხოცეს. ამასთან დაკავშირებით მალევილი წერდა:”Армянские банды вызывали обыкновенно смуты, резню, а затем скрывались. Находящееся в их руках

оружие служило им для прикрытия своего отступления, а безоружные массы армян должны были затем расплачиваться своей кровью и своим достоянием за подвиги своих вооруженных собратьев». [1]

1914 წელს კავკასიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე ე. ფაიგლი აღნიშნავდა: «Армянские фанатики питали свою общину абсурдными, утопическими и совершенно абсурдными обещаниями относительно армянской независимости. Они неосуществимы уже потому, что нигде и никогда в Османской империи армяне не составляли большинства. Экстремисты становились все наглей, терроризировали без разбора как мусульман, так и армян. А после того, как разразилась I мировая война, они развязали открытую гражданскую войну»[2]. იგი აანალიზებდა რა ოსმალებსა და სომხებს შორის გაჩაღებულ სამოქალაქო ომს, მიუთითებდა: «Это факт истории! Бесчисленное множество невинных жертв, в том числе женщин, детей, стариков, которые погибли в этой войне, на совести не османов, а исключительно руководителей армянской нации, которые толкнули своих соотечественников в заранее проигранный бой. Неоспоримым фактом является то, что депортация армянского населения из зоны военных действий в российское Закавказье, в грузинские земли, Баку, Дербент, Сухуми, Сочи, Туапс, Армавир (нынешний Краснодар), Ставрополь, Ростов-на-Дону началась только после ванской резни турок армянами. Погос Нубар информировал правительство Франции о том, что в 1914-18 гг. из Турции на Кавказ переселилось 250 000 армян, в Персию – 40 000, в Сирию и Палестину – 80 000. Сегодня сведения об армянах, «погибших» почти сто лет тому назад в гражданской войне в Анатолии, добываются очень просто». ე. ფაიგლი ირონიით ხაზს უსვამდა: «Я пришел к выводу, что обоснование фактов насилия против армян условно, но слухи о них возрастают прямо пропорционально расстоянию, отделяющему источник от Турции. Сегодня, армянские лидеры, духовные преемники функционеров из «Арменакана», «Гнчака», «Дашнакцутюна» преследуют цель искажения правды».[3]

1915 წელს, აღმოსავლეთ ანატოლიაში მშვიდობიანი მუსლიმი

[1] **Ж. Малевил, Армянская трагедия 1915 года, Баку. 1990, ст. 62.**

[2] **იქვე, გვ. 66.**

[3] **Э. Файгл, Правда о тероре**, **Баку,** 2000, **ст. 123-124.**

მოსახლეობის დიდი რაოდენობა, თითქმის მილიონ ნახევარზე მეტი, სომეხი ტერორისტებისა და ბანდიტური ფორმირებების მიერ გეგმიურად იქნა განადგურებული. გ. მალევილის მითითებით: ”Несмотря на то, что армянская пропаганда всячески обвиняла турок в жестокости, он был свидетелем обратного: все кровавые события тех лет спровоцированы и осуществлены армянскими бандами. Численность мирного мусульманского населения Восточной Анатолии, планомерно уничтожаемого армянскими террористическими и бандитскими формированиями, едва достигает 1 600 000 человек. Многие русские офицеры, возмущенные этой бойней, применяли силу против армянских головорезов. Естественно, что зверства и погромы мирного населения вкупе с откровенным двуличием армянской пропаганды вскоре переполнили чашу терпения османских властей, и по приказу Верховного командования 24 апреля 1915 года Министерство внутренних дел издало распоряжение о немедленном закрытии всех армянских комитетов - террористических организаций в Стамбуле и других крупных турецких городах”.[4]

უფრო დიდ რიცხვს ასახელებს ჯ. მაკარტი. არსებული წყაროების შესწავლის საფუძველზე იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თურქეთში „მეოცე საუკუნის დასაწყისის სისხლიან მოვლენებს ორმილიონ ნახევარი მუსლიმი მოსახლეობა შეეწირა.“[5] ზოგიერთი ჟურნალისტი თუ საკითხით დაინტერესებული პირი ფიქრობს, რომ 1915 წლის 24 აპრილი „იკავებს მნიშვნელოვან ადგილს არა მარტო სომხების გენოციდის ისტორიაში, არამედ მთლიანად სომეხი ხალხის ისტორიაში. ზუსტად ამ დღეს დაიწყო კონსტანტინოპოლში სომეხი ინტელექტუალური, რელიგიური, ეკონომიური და პოლიტიკური ელიტის მასობრივი დაკავება, რამაც გამოიწვია მთლიანი განადგურება სომხური კულტურის მნიშვნელოვან შემოქმედთა მთელი პლეადისა. დასაკავებელთა სიაში მოხვდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვისა და პროფესიის ხალხი.“ ცოტა მოგვიანებით დაიჭირეს და გაანადგურეს ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც ამავე დროს დაშნაკცუტუნის პარტიის წევრები იყვნენ. დასაჯეს ასევე მთელი რიგი სასულიერო პირები. მკითხველს იმპერიის მეჯლისის წევრების დასჯა არ უნდა გაუკ-

[4] **Ж. Малевил, Армянская трагедия 1915 года, Баку, 1990, ст 23.**

[5] **Дж. и К. Маккарти, Тюрки и армяне, Баку, 1995, ст. 49.**

ვირდეს, რადგან ისინი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საჯარო მოხელეები იყვნენ და პირველ რიგში სახელმწიფოს ერთიანობის დამცველები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ, ამავე დროს ისინი, როგორც სომხური ნაციონალური პარტიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ მის ანტიოსმალურ-ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ასე მაგალითად, ყარსსა და არდაგანში 1914 წლის 21 თებერვალს სომხურმა ბანდფორმირებებმა 30 000 მუსლიმანი დახოცეს. ამ სისხლიანი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი თურქეთის პარლამენტის დეპუტატი სტეფან ტერ-დანიელიანი იყო. „Согласно исследователю Рафаэлю де Ногалесу, одним из руководителей зверских убийств мирных мусульман, поджогов их деревень в тот период являлся депутат Османской Ассамблеи, член армянской террористической организации «Дашнакцутюн» Гареген Пасдермаджан“.[6] გარდა ამისა, ომის დაწყებასთანავე სომხების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე და მეჯლისის სომეხი დეპუტატების ფარული მხარდაჭერით დაიწყეს არალეგალური რაზმების შექმნა რუსების დასახმარებლად. ამავე დროს თურქეთის მეჯლისის ორი დეპუტატი რუსეთში გაიქცა. მოტანილი ეს მცირეოდენი იფაქტებიც საკმარისია, რათა გავიაზროთ, სომეხი დეპუტატები თურქეთის სახელმწიფო ინტერესების როგორი დამცველები იყვნენ. მეჯლისში მოკალათებული მათი უმრავლესობა მთელი რიგი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ინიციატორები თუ არა, რიგითი შემსრულებლები მაინც იყვნენ, ამიტომ ისინი, როგორც ქვეყნის მოღალატეები, უნდა დასჯილიყვნენ და დაისაჯნენ კიდეც.

რაც შეეხება სასულიერო პირების დასჯას, ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე 1914 წლის 5 აგვისტოს სრულიად სომხეთის ეკლესიის კათალიკოსის გეორგ V მიმართვა კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი. მასში ხაზგასმითაა ნათქვამი: „Пока Турецкая Армения состоит в пределах Турции, то для окончательного разрешения этого мучительного для всего армянского народа вопроса, мое личное и всей армянской нации мнение заключается в следующем.

А. Образовать из армянских провинций в Анатолии одну нераздельную область.

Б. Во главе управления этой областью должно быть поставлено

[6] **Геноцид армян в Османской империи, Ереван, 1983, ст. 38.**

лицо христианского вероисповедания, независимо от Порты, с высоким титулом или чином и избранное Россией.

В. Ввести в этой области широкое самоуправление на выборных началах, с равным числом представителей от христиан и мусульман.

Г. Для этого чтобы армянское население верило в прочность и жизнеспособность новой организации и порядок управления, право котроля над ведением и осуществлением всей реформы предоставить одной России.“[7]

რა თქმა უნდა, სომხეთის სასულიერო ელიტის დიდი ნაწილი ანატოლიაში დამოუკიდებელი დიდი სომხეთის შექმნის მომხრე იყო და ამის გამო დაშნაკცუტუნელებთანაც თანამშრომლობდა. ეს კარგად იცოდნენ თურქეთის სადაზვერვო თუ უშიშროების სამსახურებმა და ამიტომაც, როგორც ქვეყნის მოღალატეები, ისინიც დასაჯეს.

გ. მარხულიას სამართლიანი შენიშვნით: „სულთანის ქრისტიანი ქვეშევრდომების მიერ ყველაზე წმინდა სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობა ევროპელებს არ განუსჯიათ, რადგანაც ევროპა, რომელიც სომხებისათვის ხან დამოუკიდებლობას, ხან კი ავტონომიას ითხოვდა ახალისებდა მათ მოღალატურ ქმედებას. ამასთან ერთად ვის შეუძლია თურქების განსჯა იმისათვის, რომ მათ მთელ მსოფლიოში მოქმედი კანონის თანახმად მტერთან თანამშრომლობა სამშობლოს ღალატად მიიჩნიეს?“[8]

სომხები არა მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე, არამედ საქართველოშიც და საერთოდ კავკასიაშიც ცდილობდნენ მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ გაეჩაღებინათ სისხლისმღვრელი ომი. ამის ნათელი დასტურია 1905 წელს თბილისსა და ბაქოში დატრიალებული სისხლიანი ამბები.

საქართველო-სომხეთს შორის 1918-1921 წლების სამოქალაქო ომის გაჩაღებაში საკმაოდ დიდი წვლილი სწორედ მიგრანტ სომხებს მიუძღოდათ. მათ ისარგებლეს ამ პერიოდისათვის შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით და გამაჰმადიანებული ქართველებისა თუ შემოსახლებული თარაქამების არაერთი სოფელი დაარბიეს და გადაწვეს. ახალციხის ამბების გასარკვევად თბილისიდან გაგზავნილი საგანგებო კომისიის თავჯდომარე კ. ანჯაფარიძე შედგენილ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ

[7] **Кариби, Красная книга, Тб., 2007, ст. 29.**

[8] **გ. მარხულია, „დაშნაკცუტუნის“ სისხლიანი ნაკვალევი, თბ., 2015, გვ. 132.**

სამოქალაქო ომის გამჩაღებლად ადგილობრივი მაჰმადიანები ჩანან, აქაურმა სომხებმა ამ კუთხეში აჯანყების ქარცეცხლის დანთებას დიდად შეუწყვეს ხელი“.[9]

1919 წლის ბათუმის ხელშეკრულებით, 4 ივლისს ქართულმა ჯარმა ქალაქი ახალციხე რომ დატოვა, იმ ღამეს სომხებმა ქალაქის ქართული ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა სასტიკად დაარბიეს და ააოხრეს. ამ ვანდალიზმში სერვერ-ბეგ ქვაბლიანის ხალხს მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ისინი დარბეულ ახალციხეში მეორე დღეს შემოვიდნენ.

ასეთივე სისასტიკით მოქმედებდნენ ახალქალაქში შემოსახლებული სომხებიც. ასე მაგალითად: „ჯავახეთის სომხობა დასცემიან სოფელ გოკიოს თარაქამებს და აუოხრებიათ. საბედნიეროდ, ისინი მეზობელი სოფლის - კოთელიელების გმირობამ იხსნა სიკვდილისაგან და ტყვეობისაგან.“ სომხებმა ასევე სოფელ ხოსპიოს ბეგების, ფალავანდიშვილების ოჯახი ჯერ დაარბიეს და მერე ამოწყვიტეს (დატყვევებული ბეგები ოჯახის წევრებთან ერთად მეჩეთში შეყარეს და შიგ გამოწვეს).[10]

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველი ერიუს ფეინი, რომელიც ე.წ. „სომხების გენოციდის“ საკითხის შესახებ ევროპისა და თურქეთის არქივებში არსებულ მასალებს სწავლობდა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ «Армянские бандиты убили 2 миллиона турок. Белый Дом проводил расследование в связи с событиями в Османской империи в 1915 году. Об этом рассказал Брюс Фейн – бывший советник бывшего президента США Рональда Рейгана. Он заявил, что разговоры о «геноциде армян» не имеют под собой почвы, поскольку в 1915 году гораздо больше, чем армян, погибли турки: «По заданию президента Рейгана мы тогда провели расследование в связи с этим вопросом. Были обнаружены материалы, которые хранились в военном архиве стран Европы и архиве тогдашней Османской империи. В результате расследования было установлено, что в тот период погибло гораздо больше турков, нежели армян. Сказки о «геноциде армян» являются плодом воображения армянских историков. Армянские бандитские группировки убили более 2 млн. Турков Все религиозные и этнические меньшинства во

[9] სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 47.

[10] ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთის თავზე, თბ., 1964, გვ. 78.

времена Османской империи пользовались теми же правами, которыми обладали турки: «Греки, курды, черкесы, арабы и армяне в тот период занимали в Турции достаточно высокие должности. В годы первой мировой войны армяне предали родину, и примкнули к врагам Османской империи. Армяне воевали плечом к плечу с русскими. Они грабили турецкие и грузинские села, убивали мирных жителей. В ходе расследования турецкая сторона разрешила пользоваться их архивами, армяне же категорически отказывались открывать свои архивы. На мой взгляд, если удастся открыть эти архивы, правда обязательно всплывет. Тогда армянам придется извиниться перед миром, и особенно перед турками за историческую ложь».[11]

1914 წლისათვის თურქეთში სომხური მოსახლეობა 1 300 000 კაცს შეადგენდა. არსებული წერილობითი წყაროების მიხედითა და ერთა ლიგის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევე, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 420 000 სომეხი რუსეთში გადავიდა, 100 000 - სირიაში, 5000 - ლიბანში, 10 000 - იორდანიაში, 40 000 - ეგვიპტეში, 2 5000 - ერაყში, და 50 000 - ირანში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში კი 50 000 კაცი გაიფანტა. თუ 1 300 000 გამოვაკლებთ აქ მოტანილი ციფრების ჯამს, ვნახავთ, რომ სომხების საერთო დანაკარგი 300 000 კაცს არ აღემატება.[12] მომდევნო წლების განმავლობაში სომეხ ისტორიკოსთა და პოლიტიკოსთა გამიზნული ქმედებითა თუ ფაქტების შეგნებულად გაყალბების მცდელობით ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და მან 1980 წელს უკვე 2 000 000 მიაღწია.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში სომხების მიერ მოწყობილ ქმედებებთან დაკავშირებით ვ. ველიკო სამართლიანად შენიშნავდა: „როგორც არ უნდა დაადანაშაულო თურქები ყოველგვარ სისასტიკეში, ვიტყვი ერთს: ყველაფერი ის, რაც ჩემთვის ცნობილია თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი შეტაკების შესახებ, მარწმუნებს იმაში, რომ სისხლიანი ქმედებები ყველგან თავად სომხების ინიციატივით დაიწყო.“[13]

იგივე შეიძლება ითქვას 1915-1918 წლების მთავარი დამნაშავე სომხების წინაშე იყო პოლიტიკური პარტია „დაშნაკცუტუნი,“ რომლის მიზანს ოსმალეთის ტრიტორიაზე დამოუკიდებელი სომხური სა-

[11] **Сайт «Qafqaz online».**

[12] **გ. მარხულია, „დაშნაკცუტუნის“ სისხლიანი ნაკვალევი, გვ. 166-167.**

[13] **И. Л. Величко, Кавказ. Русские дело и международные вопросы, СПб., 1904, ст. 101.**

ხელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. მიზნის მისაღწევად კი არა მარტო სხვის, არამედ საკუთარი ხალხის გაწირვასაც არ ერიდებოდნენ.

„სომხების გენოციდის“ დაგეგმვაში ლომის წილი სომხების იმდროინდელ „მეგობარ მოკავშირეებს“ (ევროპის ქვეყნები და ამერიკა) მიუძღვის. დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ლიდერები ამ მოსახლეობაში აღვივებდნენ იმ აზრს, რომ თითქოსდა თურქეთში მცხოვრებ სომხებს მათი მხარდაჭერით ადვილად შეეძლოთ ამ ტერიტორიაზე „დამოუკიდებელი თავისუფალი დიდი სომხეთის“ შექმნა. მათი მითითებით აუცილებლად უნდა შექმნილიყო მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც დაარწმუნებდნენ ევროპას, რომ სომხები ამ ქვეყანაში არნახულ დევნასა და ჩაგვრას განიცდიდნენ. მათ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი ევროპის მხარდაჭერის გარეშე მხოლოდ თავიანთი ძალებით არ შეეძლოთ. ამ ინციდენტის გაღვივებით ისინი ფიქრობდნენ, რომ თურქეთის საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევის ხელსაყრელი პირობები შეექმნებოდათ.

გენოციდის შესახებ შექმნილი მითი აღმოსავლეთ ანატოლის ტერიტორიაზე კონკრეტული ამოცანის, ე. წ. დამოუკიდებელი „დიდი სომხეთის,“ თავისებურ იდეის განხორციელების მცდელობას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს. ამის ნათელი დასტურია თუნდაც 2006 წელს სტამბულში მომხდარი ერთი მკვლელობა. კერძოდ, 2005 წლის სექტემბერში, სტამბოლში ერთ-ერთ შეხვედრაზე სომხური წარმოშობის ცნობილმა თურქმა ჟურნალისტმა ჰრანტ დინკმა განაცხადა: „ხომ იცით ჩემი აზრი სომეხთა გენოციდის შესახებ, მაგრამ თუკი ევროპაში კანონი დაავალდებულებს ყველას ამის აღიარებას, ხოლო უარყოფას დანაშაულად გამოაცხადებს, მე წავალ ევროპაში და საჯაროდ ვიტყვი, რომ გენოციდი არ ყოფილა.“ ამ შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ დინკი თითქოსდა თურქმა ულტრა ნაციონალისტებმა მოკლეს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ მკვლელობის ორგანიზატორები თურქეთში მოქმედი სომეხი ულტრა ნაციონალისტები უნდა ყოფილიყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთის თავზე, თბ., 1964.

2. გ მარხულია, „დაშნაკცუტუნის“ სისხლიანი ნაკვალევი, თბ., 2015.

3. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 47.

4. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.

5. И. Л. Величко, Уавказ. Русские дело и международные вопросы, СПб, 1904.

6. Геноцид армян в Османской империи, Ереван, 1983.

7. Кариби, Красная книга, Тб., 2007.

8. Дж. и К. Маккарти, Тюрки и армяне, Баку, 1995.

9. Ж. Малевил, Армянская трагедия 1915 года, Баку, 1990.

10. Э. Файгл, Правда о тероре, Баку, 2000.



გრიგოლ რუხაძე

გამოცხადება ახალშესვენებულთა მოსახსენიებელ დღეთათვის

ოდიდან დადგენილი საეკლესიო წესის მიხედვით, ქრისტიანები ახალგარდაცვლილ ადამიანებს განსაკუთრებით მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს მოიხსენიებენ. ერთ-ერთი უძველესი პატერიკული წყარო, რომელიც აღნიშნულ საკითხზე განმარტებებს გვაუწყებს, ცნობილი მეგვიპტელი მეუდაბნოის, წ˜ა მაკარი დიდის (IV ს.) გამოცხადებას უკავშირდება. მისი ძველი ქართული თარგმანი XI ს-ის ათონური და სინური ხელნაწერებით არის მოღწეული; კრიტიკულად დადგენილი ტექსტიც გამოცემულია, მაგრამ იგი კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ამიტომ, როგორც მნიშვნელოვან საღმრთისმსახურო პირველწყროს, განმეორებით ვაქვეყნებთ.

ამასთან, ტექსტს დავურთეთ მიცვალებულის სახელზე გაღებული შესაწირავის კურთხევასთან დაკავშირებული წესი, რომელიც წ˜ა ექვთიმე მთაწმიდელმა მის მიერ შედგენილ მცირე სჯულისკანონში შეიტანა. იგი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს საეკლესიო შესაწირავისა და საკვლელის მიმართ, რათა ძველი სჯულის მიმდევარნი არ აღმოვჩნდეთ და უზიარებლობით არ დავისაჯოთ.

გუთხრობდა მოწაფე ამბა მაკარისი ალექსანდრიელისაჲ, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე ერთად უდაბნოსა შინა და იყო იგი წინა ჩემსა და მე უკუანა მისა. და ვიხილე: ორნი ანგელოზნი შეუდგეს, ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით, და ვიდოდეს მის თანა. და

მიემთხჳნეს მკუდარსა რასმე ცხოველთაგანსა, დაყროლებულსა ფრიად. და ვითარცა აგრძნა მამამან მაკარი სიმყრალე იგი, დაიბურნა საყნოსელნი თჳსნი სულისა მისგან, და ყვეს ანგელოზთაცა მათ ეგრეთვე.

და რაჟამს იხილა ბერმან, ჰრქუა მათ: «და თქუენცა ესრევე გეცემისა სიმყრალე სოფლისაჲ ვითარცა ჩუენ?» მაშინ ჰრქუეს მათ: «არა, არამედ ოდეს განახეთ, ვყავთ ჩუენცა, ვითარცა შენ. ხოლო ჩუენ არა ვაგრძობთ სიმყრალესა სოფლისასა, არამედ სიმყრალესა სულთა ცოდვილთასა ვიყნოსებთ, ვითარცა შენ იყნოსე აწ სიმყრალე ამის კორცისა მკუდრისაჲ».

და დაუკჳრდა ბერსა და ჰრქუა მათ: «ვითხოვე თქუენგან და მაუწყეთ: ესე სიმყრალე, რომელი არს სულთა ცოდვილთაჲ ცხორებასა მისსა, ამას სოფელსა აგრძნობთ ანუ შემდგომად სიკუდილისა? და მითხართ მე, უკუეთუ მიპოვნიეს მადლი წინაშე თქუენსა, ვითარ გამოგყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან, რომელთა ჰრწამს უფალი და რომელთა არა ჰრწამს?»

მაშინ ჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: «ჱ მაკარი, გამორჩეულო ღმრთისაო, რამეთუ სული ცოდვილი ვიდრე კორცთაღა შინა არნ, გამოსცემს სულსა სიმყრალისასა საქმეთაგან მისთა ბოროტთა, და კუალად შემდგომად სიკუდილისა ორკეცად. რამეთუ საქმენი ცხად არიან მის ზედა, რამეთუ ვითარცა ბნელმან და შავმან დაფარიან იგი, რამეთუ სული ბუნებით ნათელ არს, უბიწოჲ, რამეთუ შთაბერული არს ღმრთისა უკუდავისაჲ. არამედ ოდეს კორცთა შინა დაიმკჳდრის, მცირე-მცირედ შეიგინის ცოდვისაგან და მას შინა რომელნიმე მცირედ შეიგინიან და რომელნიმე დიდად.

ხოლო ვითარ გამოგუყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან, მორწმუნეთანი და ურწმუნოთანი, აწ ისმინე, მაკარი, მონაო ღმრთისაო. რამეთუ ყოველი ქუეყანისაჲ მცირედ მიემსგავსების ზეცისასა, და ვითარცა მკედარნი წარივლინნიან მეფისაგან ქუეყანისაჲსა, რაჲთა მოიყვანონ კაცი, და ვითარ მიიწინიან მისა და შეიპყრიან და უთხრიან ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ და მაშინ კაცი იგი შეშინდის სახელისაგან მეფისა და შეძრწუნდის მოსლვითა შემპყრობელთაჲთა და იგინი ასწრაფებედ უწყალოდ წარყვანებად, ეგრევე, ოდეს მიივლინნიან ანგელოზნი, რაჲთა წარიყვანონ სული კაცისაჲ, გინათუ მართალი არიან, გინათუ ცოდვილი, შეძრწუნდის იგი შიშისა მისგან და ძრწინ მოსლვითა მით ანგელოზთა მოსწრაფეთაჲთა წარყვანებისა მისთჳს სულისა. მაშინ ხედავნ ყოვლით კერძო

მოდგომილსა ხუასტაგსა და ნათესავთა და მოყუარეთა უსუსურად და უკმრად და ურგებად. და აგრძნობნ ცრემლთა და გლოვასა, რომელნი მდგომარე იყუნიან გარემოჲს მისსა, რამეთუ არა ოდეს გამოცდილ იყო წოდებასა მისსა ესევითარსა საშინელსა. და კუალად შეშინდის სიძნელისაგან გზისა და გარდაცვალებისაგან და ჰჭირნ განშორებაჲ, რომელთა ხედავნ მონაგებთა და სტკივინ მოყუასობისათჳს გუამისა და იგლოვნ განშორებასა მათგან, რამეთუ განეშორებინ, რომელსა თანა იგი ჩუეულებაჲ აქუნ. ხოლო ნუგეშინის-ცემასა ერთსა შემძლებელ არნ, რაჲთა იყოს მისა, რომელი არნ თანა-მოსაჯულისაგან, უკუეთუ იცინ, თუ არა ჰქონან საქმენი კეთილნი. ხოლო უკუეთუ იცინ სულმან, ვითარმედ თჳნიერ არს საქმეთა კეთილთა ვიდრე გამოსლვამდე სასჯელისა მსაჯულისაგან მის ზედა, განიკითხვინ თანა-მოსაჯულისა მისგან დაუცხრომელად».

ჰრქუა მათ ამბა მაკარი კუალად: «ჱ უფალნო ჩემნო, ვითხოვთ თქუენგან და ესეცა კუალად გამომიცხადეთ, რამეთუ მამათაგან მოცემულ არს მორწმუნეთა, რაჲთა მიუპყრან შესაწირავი ღმერთსა ეკლესიასა შინა მესამესა დღესა და მეცხრესა და მეორმეოცესა. მიუპყრობენ ღმერთსა შესაწირავსა ეკლესიასა შინა. რომლისა საქმისათჳს დაიწესა ესე, და რაჲ სარგებელ ეყოფის სულსა, რომელი გარდაცვალებულ არს?»

მაშინ ჰრქუეს ანგელოზთა მათ: «ისმინე, ჱ მაკარი, პატიოსანო. წინაშე ღმრთისა არა მიუშუა უფალმან ცოდვასა რასმე და ურგებსა, რაჲთა იყოს ეკლესიასა შინა ღმრთისასა, არამედ ყოველი საჲდუმლოჲ ლოცვაჲ აღსრულებად ეკლესიასა შინა. რამეთუ დღესა მესამესა შემდგომად სიკუდილისა კაცისა, ოდეს იკსენის ეკლესიასა შინა და მიუპყრიან მისთჳს შესაწირავი, მიიღის სულმან ნუგეშინის-ცემაჲ მწუხარებასა მას განშორებისა მისთჳს კორცთაჲსა. რამეთუ ანგელოზმან, რომელმან გამოიყვანის, აუწყის, ვითარმედ შეწირულა მისთჳს შესაწირავი და ლოცვაჲ ეკლესიასა შინა ღმრთისასა და ექმნის იგი მას დიდ ნუგეშინის-ცემა და სასოება კეთილის.

რამეთუ სული ორთა მათ დღეთა შინა განუტევიან ანგელოზთა მათ, რომელცა არიედ მის თანა, რაჲთა წარვიდეს, ვიდრეცა უნდეს ქუეყანასა ზედა. რამეთუ სულსა, რომელსა უყუარედ კორცნი იგი, წარვიდის ერთჯერ ადგილსა თჳსსა, რომელსა განშორებულ არნ გუამისაგან. და კუალად წარვიდის გარემო საფლავსა მას,

რომელსა დამარხულ არნ გუამი. და ესრეთ აღასრულის ორი იგი დღე და ეძიებნ გუამსა თჳსსა, ვითარცა ეძიებნ მფრინველი თჳსსა ბუდესა. და ეგრეთვე სული პატიოსანი წარვიდის ადგილთა მათ, რომელთა ჩუეულ იყო ყოფად სიმართლისა.

და დღესა მესამესა ბრძანა ქრისტემან, ღმერთმან ყოველთა-მან, რომელი ადგა დღესა მესამესა მკუდრეთით, რაჲთა აღიყვანონ ყოველი სული ქრისტეანე ქუეყანით ზეცად მსგავსად ადგომისა მისისა. და მას დღესა შინა აღიყვანიან სული, რაჲთა თაყუანის-სცეს მან ღმერთსა ყოველთასა. ამისთჳს კეთილ არს, რომელთა უპ-ყრია ეკლესიასა შინა მესამესა დღესა ყოფად ლოცვისა და შეწირ-ვად მისთჳს შესაწირავისა სულისა მისთჳს.

და შემდგომად თაყუანის-ცემისა ღმრთისა, უბრძანის, რაჲთა უჩუენონ მრავალფერი კარვები სიხარულისაჲ, რომელ არს წმი-დათაჲ, რომელთა ყვეს ნებაჲ მისი, და შუენიერებაჲ სამოთხისაჲ, და ესე ყოველი ცნის სულმან ექუსთა დღეთა შინა. დაუკჳრდის ესე და უგალობნ ღმერთსა, რომელმან განჰმზადა ესევითარი. ხოლო ოდეს იხილის ესე, გარდაიქცის და დაავიწყდის მწუხარებაჲ, რომელ იყო მის თანა განშორებისა მისთჳს ჯორცთაჲსა.

და მოიწიის მისა მწუხარებაჲ სხუაჲ, უკუეთუ იცინ, ვითარმედ მოიწევის მის ზედა პატიჟი საქმეთა თჳსთათჳს ბოროტთა. რამეთუ სულმან მან, ოდეს იხილის გალობაჲ წმიდათა მონათა ღმრთისა-თაჲ, იწყის მწუხარებად და მოსძაგდის თავი თჳსი და თქუის: „ვი-თარ განვცოფდი, სოფელსა ამას შინა საწუთროსა უცალო ვიყავ და მას შინა აღვასრულენ დღენი ცხორებისა ჩემისანი და არა ვჰმ-სახურე ღმერთსა, ვითარ შეჰგვანდა, რაჲთამცა ღირს ქმნულ ვი-ყავ მეცა ამას სიხარულსა და გალობასა. ვაჲ მე, ამას უბადრუკსა, რაჲსა-მე სარგებელ მეყო, რომელ-იგი ვიშენე სახლები? და არარას მერგების ნერგვაჲ ვენაკთაჲ და ზეთის-ხილთაჲ მუნ. რაჲ სარგებ-ელ არს ჩემდა აწ ვეცხლი იგი, რომელი მოვიგე, და რაჲ ვირგო ოქროჲსა მისგან, რომელ იგი დაუტევე მუნ? ვაჲ ჩემდა, რამეთუ ცუდად დავშუერ. ვაჲ ჩემდა, რამეთუ უგუნურად ვცხოვნდებოდე. ვაჲ ჩემდა, რამეთუ მცირედისათჳს შევიყუარე დიდებაჲ ცუდი და მოვიგე სიგლახაკე საუკუნოჲ და ტანჯვაჲ. ვაჲ მე, რაჲ-ესე შემემ-თხუაჲ? ვაჲ მე, ვითარ დავბნელდი და არა ვცან? ვაჲ, რამეთუ არა არს აწ შემძლებელ კაცი მწე ჩემდა, რაჲთამცა მე უბადრუკი ესე მივემთხჳე წყალობასა უფლისასა“.

და შემდგომად, ვითარცა იხილის ერთბამად ყოველი სიხარული

წმიდათაჲ და შუენიერებაჲ სამოთხისაჲ მათ ექუსთა დღეთა შინა, მიიყვანიან კუალად, რაჲთა თაყუანის-სცეს ღმერთსა. ამისთჳს კეთილ არს პყრობაჲ ეკლესიასა და ყოფად დღესა მეცხრესა ლოცვაჲ და საკსენებელი გარდაცვალებულისათჳს. და შემდგომად კუალად მეორედ თაყუანის-ცემისათჳს უბრძანის უფალმან ყოველთამან, რაჲთა შთაიყვანონ ჯოჯოხეთად და უჩუენნენ სატანჯველნი მუნნი და მრავალ-ფერნი ორმონი ჯოჯოხეთისანი და პირად-პირადნი სატანჯველნი, რომელნი განუმზადებიან უსჯულოთათჳს, რომლისა სულნი მათნი მსხდომარე არიან ახლოს მისა და იგლოვენ მარადის და იღრჭენენ კბილთა, უკუეთუ დასჯის თანა-მოსაჯულისა. და ესევითართა მრავალსახეთა შინა იქცევინ სული ოცდაათსა დღესა, ძრწინ და იგლოვნ გონებასა თჳსსა, რაჲთა არა განიბჭოს მის ზედა დამარხვად იგიცა ესევითარსა ადგილსა.

და განსრულებასა მეორმეოცისა დღისასა აღიყვანიან კუალად, რაჲთა თაყუანის-სცეს უფალსა. და მაშინ-ღა მსგავსად სულისა საქმეთაებრ უბრძანის მსაჯულმან ადგილი დაცვად, ვითარსაცა ღირს არიან დაცვად სული იგი მუნ. და მეორმეოცესა დღესა არნ სული ადგილსა თჳსსა და მისთჳს კეთილ არს, რაჲთა იყოს ეკლესიასა საკსენებელი, მეორმეოცესა დღესა საკსენებელი გარდაცვალებულისათჳს.

და ესე იყოფის სულთათჳს, რომელთა თანა არს ნათლის-ღებაჲ. ხოლო რომელთა თანა არა არს ნათლის-ღებაჲ, არა ესრე არს, არამედ ანგელოზთა ყოველთა სიქადულითა გამოიყვანნიან სულნი და მიზიდვედ და სცემედ და ჴმობედ: „მოვიდოდე, ჶ სულო უღმრთოვო. ცან, ვინ არს მეუფე შენი და უფალი ყოვლისაჲ, რომლისა არა გინდა ცნობაჲ. და შენ შუებასა შინა იყავ საწუთროსა შინა, არამედ ცან აწ, ვითარ ტანჯვად ხარ უკუნისამდე“. და ვიდრე პირველად ცადმდე მიაწიიან და დააყენიან და უჩუენიან შორით გალობაჲ მთავარ-ანგელოზთა წმიდათაჲ და ეტყჳედ, ვითარმედ: „იესუ ქრისტე, ძელისა ცხოელისაჲ, იგი არს უფალი ამათ ყოველთაჲ, რომლისაჲ არა გინდა ცნობაჲ და თაყუანის-ცემაჲ შენ. და აწ წარგიყვანოთ უსჯულოთა თანა, რომელნი არიან მსგავსნი შენნი, რაჲთა დაიმკჳდრო ცეცხლი საუკუნოჲ ეშმაკთა თანა და მთავართა მათთა თანა, რომელთა-იგი თაყუანის-სცემდი ცხორებასა შენსა, ვითარცა ღმერთთა“».

ესე თქუეს ანგელოზთა მათ და მისცეს მშჳდობაჲ მაკარის და უჩინო იქმნეს ჩუენგან და არღარა ჩნდეს. და წარვედით ჩუენ გზასა

ჩუენსა და ვჰმადლობდით ღმერთსა, მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, მადლი და ძალი თანა ძით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.[1]

ამონაწერი მცირე სჯულისკანონიდან მიცვალებულის მოსახსენებელი საკურთხისა და საკვლელის შესახებ:

«უკუეთუ ვინ საკსენებელსა გარდაიკდიდეს წმიდათასა ანუ შესუენებულთასა, მიიღოს ეკლესიას ზეთი და საკუმეველი და სანთელი და სეფე, ზედაშე და თესლი, და თესლისა კურთხევად წართქუას მღდელმან და განუყოს შემოკრებულთა მათ სეფისა განატეხი და თესლი და საძღუნელი და ესე კმა იყავნ ეკლესიასა შინა. ხოლო საკლველსა თუ დაჰკლვიდეს, ლოცვათა წართქუმაჲ საკლველსა ზედა არა განწესებულ არს, არამედ თჳთ იგი, რომელი დაჰკლვიდეს, მადლობაჲ თქუას და დაკლას გინა თუ ცხოვარი იყოს, გინა თუ ზროხაჲ, და დაკლას იგი გარეშე საზღვარსა ეკლესიისასა და კორცი იგი გინათუ მგბარი, გინათუ უმგბარი განუყოს გლახაკთა, ანუ ტაბლასა დააგოს და წოდებულნი ისტუმრნეს გარეშე ეკლესიისა. და მღდელთა თუ ნაწილსა მისცემდეს, სახლსა წარსცეს, რომელიცა ჯერ უჩნდეს საკსენებელის მოქმედსა მას, ხოლო რომელნი ამას წესსა გარდაჰკდენ და ძუელისა შჯულისა წესთა იქმოდინ, უზიარებლობაჲ დაესაჯოს».[2]

[1] შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბ., 1974. გვ. 288-292.
[2] მცირე სჯულისკანონი, გამც. ე. გიუნაშვილი, თბ., 1972. გვ. 75.

ჩვენი ავტორები

ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია მონოგრაფიებისა: წიგნი და საჭრეთელი (პროფესიული განათლების პედაგოგიკური ასპექტები, 1985), განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები (1991), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (I ნაწ., აღზრდის თეორია, 1997), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (II ნაწ., განათლებისა და სწავლების თეორია, 1999), ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში (2001), განათლების თანამედროვე თეორიები (2005), განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო კონცეფციების შედარებითი ანალიზი (2009); 500-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

გვანცა ვახტანგის ასული კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეხუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

ანზორ ბაგრატის ძე თოთაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დემოგრაფი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე (1999), საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2009), კავკასიის მოსახლეობა (თანაავტ. პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ინგლ. ენაზე, ნიუიორკი, 2009); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბორის შაქროს ძე დარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცამეტი წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა (1986); ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო (1988); უვი-

ცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში (2008); იაკობ შემოქმედელი (2009); რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I (2010); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) (2011); სალაღობო და ნაღვლიანი ამბები (2012); ფილოლოგიური ძიებანი (2013). რუსთველოლოგიური გამოკვლევები, II (2015) და სხვა.

მამუკა ავთანდილის ძე ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელობა და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ნათელა დავითის ასული არველაძე

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, თეატრმცოდნე. 1961 წლიდან აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე პუბლიცისტურ სტატიებს, რეცენზიებს საქართველოსა და უცხოეთის თეატრების სპექტაკლებზე, წერილებს სცენის ოსტატთა შემოქმედებაზე. 300-მდე პუბლიკაციისა და რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის: მსახიობი, რეჟისორი, რეპეტიცია (978), სანდრო ახმეტელი (1980), თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები (სპექტაკლ „სამშობლოს“ შესწავლა რეკონსტრუქციის მეთოდით) (1998), თეატრის ისტორიის სწავლების საკითხისათვის (2002), ახმეტელები ასწლიან ომში (2006), თეატრმცოდნეობის საფუძვლები (2013) და სხვ. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში. 1973 წლიდან მიჰყავს გადაცემები ტელე-რადიო დეპარტამენტის შესაბამის რედაქციებში.

თინათინ ვლადიმერის ასული იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ

ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

გრიგოლ ნიკოლოზის ძე რუხაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2 (16), 2015
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ

ВЕЛИКАЯ НАРОДНАЯ ВОЙНА

История человечества помнит много войн: непродолжительных и продолжительных, рыцарских и беспощадных, справедливых и несправедливых, сепаратистские и гражданские войны со своими героями и антигероями, однако войны такого разрушительного масштаба и отличающийся особой жестокостью, как Вторая мировая, история не помнит. В военные действия, прямо или косвенно, оказались втянуты все страны Европы, Азии и значительная часть Америки.

После захвата Европы, Гитлер настолько возгордился, что счел поход против Советского Союза простой прогулкой и убедил немцев в бесспорной победе «блиц-крига». Эта вера имела определенно прочные технико-экономическую и социально-политическую основы. Немцы, а вместе сними и западные политики, не учли только один важнейший фактор. Они, как видно, надлежаще не смогли оценить роль личности в истории. В частности, упустили из виду тот факт, что во главе технико-экономически отсталого Советского Союза стоял Иосиф Сталин. В ту великую войну победа, и вправду что чудотворная, полностью зависела от его гения. В свое время это признали все – и враги и доброжелатели.

Когда спросили у Жукова, известного главнокомандующего Второй мировой войны, что обусловило победу Советского Союза в Великой отечественной войне, он ответил: слово Сталина, произнесенное на параде 7 ноября 1941 года. И вправду, этот не был обыкновенным военным парадом, демонстрацией силы или простым смотром. Это было чудодейственным провозглашением надежды и веры, организация которого превышает человеческие возможности.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

ВНУТРЕННИЕ ВРАГИ ИЛИ НАЦИОНАЛЬНЫЕ ДЕЯТЕЛИ

Неоценим вклад св. Илиа Праведного (Чавчавадзе), который он внес в пробуждении и упрочнении национального самосознания грузинского народа во второй половине 19-го и начале 20-го веков. Именно за беззаветную преданность и самоотверженное служение своей родине он вошел в историю Грузии как ее некоронованный король. Объективное изучение борьбы против многочисленных врагов своей отчизны, которую Илиа Чавчавадзе вел «духовным острием» - праведным словом, выявляет один прискорбный факт: идеологическую борьбу против него, наряду с чужаками, чаще и не менее старательно вели грузины, предавшие своё отечество; поэтому логичным был и результат этой борьбы: самоотверженный борец за свободу своего народа был убит рукой грузина. Если мы желаем лучшее будущее для нашей страны, то при оценке исторических событий и личностей грузинская общественность навсегда должна отказаться от двойного стандарта и всем, кем бы он не был, предоставить то место, которое заслужил за свои деяния.

АНЗОР ТОТАДЗЕ

НАСИЛИЕ НАД ЖЕНЩИНОЙ?!

В статье высказывается мнение, что равноправие мужчины и женщины (гендерное равенство) является необходимым условием процесса развития общества; дана ретроспектива правового положения женщины; проанализированы изложенные в грузинских правовых памятниках правовые нормы, защищающие честь и достоинство женщины.

По мнению автора, тревожные данные о насилии над женщинами в Грузии, в основном, не соответствуют реальному положению дел, как это пытаются представить негосударственные организации. Они пытаются создать проблему, чтобы впоследствии получить соответствующие гранты. На основе проведенных исследований и анализа соответствующей литературы, в статье освещено реальное современное положение насилия над женщинами.

БОРИС ДАРЧИЯ

ВОПРОС ПЕРЕДАЧИ АРМЕНИИ ЛОРЕ

В статье сделан вывод: вопрос передачи Армении Лоре не разработан с научной тщательностью, со всей глубиной. Он требует дальнейшего изучения.

НАТЕЛА АРВЕЛАДЗЕ

ЮПИТЕР, ТЫ ГОРЯЧИШЬСЯ, СЛЕДОВАТЕЛЬНО, НЕ ПРАВ!

Театроведение, как приоритетная отрасль, изучающая сценическое творчество, с точки зрения изучения-оценки театрального процесса, теряет роль протагониста. Театроведу для изложения соображений точно также необходима трибуна, как актерам и режиссерам – сцена. Руководство театра музыки и драмы им. Васо Абашидзе для просмотра спектакля накануне премьеры приглашает критиков и журналистов, а затем устраивает встречу с творческой группой и обсуждение спектакля. Это стало традицией, содействует театру и способствует повышению профессионального мастерства критиков. В статье рассматривается случай, произошедший во время обсуждения драмы Генрика Ибсена «Привидения». Художественный руководитель театра и молодой режиссер-постановщик проявили явную неприемлемость к замечаниям критика. Режиссер-постановщик спектакля, который по своей сути направлен против насилия, своим оскорбительным монологом сам насильничал над залом, что само собой говорит о культуре восприятия критики.

БОРИС ДАРЧИА

БОРЬБА ПРОТИВ СТИХОТВОРЕНИЙ ИОСИФА СТАЛИНА

В статье вначале изложена история создания, публикации стихотворений И.Сталина, приведены восторженные отзывы на эти стихи, затем показана необоснованность нигилистической, негативной оценки Г.Хорнаули, Р.Чеишвили и Р.Чхеидзе этих стихов.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

НЕМНОГО ИЗ ИСТОРИИ «ГЕНОЦИДА АРМЯН» 1915-1918 ГОДОВ

К 1914 году количество армян, проживающих в Турции составляло 1 300 000 человек. На основе существующих письменных источников подсчитано, что в период Первой мировой войны количество жертв среди армян не превышало 300 000 человек. С течением времени, по целенаправленным действиям армянских историков и политиков, или же попытками сознательной фальсификацией фактов, это число ежегодно увеличивалось и в 1980 году достигло 2-х миллионов. Как бы не обвиняли турок в организации геноцида армян и жестокости в период Первой мировой войны, инициаторами кровопролития везде были армяне. Главным зачинщиком являлась политическая партия «Дашнакцутун», целью которой было создание на территории Османской империи независимого армянского государства. Для достижения цели они жертвовали жизнями не только других, но и своих соотечественников. В организации «геноцида армян» львиная доля принадлежит тогдашним «друзьям- союзникам» армян (странам Европы и Америке). Политические лидеры западной Европы внушали населению, что их помощь и поддержка поможет проживающим в Турции армянам создать на ее территории «независимую свободную Великую Армению». По их указанию следовало создать ряд организаций, которые смогли бы убедить Европу, о невиданных преследований и угнетении армян в этой стране; своими силами армянам не справиться, им могла помочь только Европа. Раздуванием этого инцидента они предполагали создать благоприятные условия для активного вмешательства во внутренние дела Турции.

Scientific and Social Journal
„SAMI SAUNJE“ (Three Treasures) №2 (16), 2015
(in Georgian)

SUMMARY

ZURAB TSUTSKIRIDZE

THE GREAT WAR

The history of mankind remembers many wars: short-term and long-term, chivalrous and ruthless, fair and unfair, separatistic and civil, with heroes and antiheroes; however, history does not remember a war like the Second World War with its extreme cruelty and large scale of destruction. Every European country including most of Asia and Americagot directly or indirectly drawn in the military actions.

After the conquest of Europe, Hitler became so arrogant that he considered a campaign against the Soviet Union just a stroll in the park and convinced the Germans they would have a successful execution of "blitzkrieg". This kind of faith had a strong technological, economic, social and political basis. The Germans and Western politicians did not take into account one important factor. They, apparently, did not properly estimate the role of a person in history. In particular, they overlooked the fact that the head of technically and economically trailing Soviet Union was Joseph Stalin. The victory of the Great War indeed depended on Stalin's genius. In good time, everybody recognized it, including enemies and allies.

Zhukov, a prominent Commander in the Second World War, was asked a question as to what led to the victory of the Soviet Union. He replied: Stalin's speech during the parade of November 7th, 1941. Indeed, this was not an ordinary military parade or simple exhibition or display of forces. It was a miraculous proclamation of hope and faith, organized by a power that seemed to exceeded human capabilities.

GVANTSA KOPLATADZE

INTERNAL ENEMIES OR NATIONAL STATESMEN

Saint Ilia the Righteous (Chavchavadze) played an important role to awaken and strengthen the Georgian people's national self-conscious-

ness at the end of the 19th and the beginning of the 20th centuries. History christened him as Crownless King of Georgia for that. An objective study of the battle that Ilia Chavchavadze carried out with his "Intellectual sword" against numerous enemies of his motherland unveils a rather deplorable fact. Georgian internal traitors fought against his ideological stand even more viciously and vigorously than strangers did. Hence, the ending result of the battle was logical. The selfless warrior struggling to save his nation was killed by his people, Georgians. If we want a better future for our country, Georgian society must once and for all stop using double standards when evaluating historical events or persons. It should assess everybody according to his or her merit and services performed.

ANZOR TOTADZE

VIOLENCE AGAINST WOMEN?!

The article suggests that the equal rights of men and women (gender equality) are a prerequisite for the development of society. The article provides a retrospective of the legal status of women and analyzes aspects of protecting the honor and dignity of women in the Georgian legal memorials.

According to the author, the alarming data on violence against women in Georgia does not correspond to the real situation that the non-governmental organizations are trying to present. They are fabricating problems to receive grants. Based on the research and analysis of relevant literature, the article illustrates the real current situation of violence against women.

BORIS DARCHIA

THE ISSUE OF TRANSFERRING LORI TO ARMENIA

The article concludes that the issue of transferring Lori to Armenia has not been studied with scientific thoroughness and requires further research.

NATELA ARVELADZE

JUPITER IS ANGRY, THEREFORE, WRONG

Theatre studies, a top field studying performance works is losing its role as a protagonist in terms of study and evaluation of the ongoing theatrical processes. Theater critics need a platform for their arguments just as much as actors and directors need a stage. The management of Vaso Abashidze Theatre of Music and Drama made it a tradition to invite critics and journalists to view the performance a few days before its premiere. Afterwards, a meeting with the creative group and a discussion of the performance takes place. This activity contributes to the improvement of professional skills of the critics as well as the company. The article discusses an incident that occurred during a discussion of Henrik Ibsen's play "Ghosts". The artistic director of the theater and a young stage director showed a clear dissatisfaction towards the critics' remarks. The director of "Ghosts", a play against violence, became verbally abusive towards the audience. The directors actions demonstrate the perception of criticism.

BORIS DARCHIA

THE BATTLE AGAINST THE POEMS OF JOSEPH STALIN

At the beginning of the article, the author outlines the history of how Stalin's poems were created, published and received rave reviews. Later, he critiques nihilistic and negative evaluations of these poems by G.Hornauli, R.Cheishvili and K.Chkheidze.

TINA IVELASHVILI

A FEW WORDS ABOUT THE HISTORY OF 1915-1918 ARMENIAN GENOCIDE

By 1914, the number of Armenians living in Turkey was 1 300 000. According to existing written sources, during the First World War, the number of Armenian victims did not exceed 300 000. Over time, by purposeful actions and deliberate falsification of the facts by Armenian historians and politicians, the number increased every year and in 1980, it reached 2 million. Regardless of the accusations towards Turks for car-

rying out an Armenian genocide during the First World War, initiators of every bloodshed were Armenians. The main instigator was a political party "Dashnaktsutyun". Its purpose was the creation of an independent Armenian state on a territory belonging to the Ottoman Empire. To achieve this goal they sacrificed the lives of everybody including their compatriots. In the organization of the "Armenian Genocide," the lion's share belongs to Armenia's "friends and allies", (of the period) certain European countries and America. The political leaders of Western Europe inspired the Armenian population that their assistance and support would help the Armenians living in Turkey establish "independent free great Armenia" on Ottoman Empire territory. According to their instructions, Armenians needed to create some organizations that would convince Europe about the unprecedented persecution and oppression of Armenians in Turkey and the needed help from Europe to resolve the issue. By provoking the disturbance, they expected to create favorable conditions in order to interfere in the internal affairs of Turkey.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №2(16), 2015

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23

❖

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2(16), 2015
(на грузинском языке)

❖

Scientific and Social Journal
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №2(16), 2015
(in Georgian)

❖

პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.07.2015. ტირაჟი 200.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.

ფასი 3,50 ლ.

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge